საქართველოს საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

**ანგარიში**

# ქვეშეთი-კობის გზის პროექტი

*დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა*

წარდგენილია:

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისათვის**

წარდგენილია:


**Golder Associates S.r.l.-ის მიერ**

Banfo43 Centre Via Antonio Banfo 43 10155 Torino
Italia

+39 011 23 44 211


18101413/11760_rev 5

მარტი, 2019

GOLDER

# გავრცელება:

1 პირი - საავტომობილო გზების დეპარტამენტს

1 პირი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს

1 პირი - Golder Associates Srl

# სარჩევი

**აკრონიმები და აბრევიატურები......1**

**1.0 შესავალი......3**

1.1 ზოგადი ინფორმაცია და ამოცანები......3

1.2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის სტრუქტურა......4

**2.0 პროექტის აღწერა......4**

2.1 პროექტის დასაბუთება და სავარაუდო ზემოქმედება......7

**3.0 მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩო......10**

3.1 ეროვნული რეგულაციები......10

3.1.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017)......10

3.2 საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები......10

3.2.1 აარჰუსის კონვენცია......10

3.3 საერთაშორისო სტანდარტები......11

3.3.1 ევროკავშირი......11

3.3.2 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნები......11

3.3.3 აზიის განვითარების ბანკი......12

**4.0 პროექტის დაინტერესებული მხარეები......13**

4.1 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება......13

4.2 დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი......17

**5.0 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დღემდე განხორციელებული საქმიანობა......22**

5.1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დღემდე განხორციელებული საქმიანობის მიგნებები......27

**6.0 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამა......37**

6.1 ჩართვის ზოგადი პრინციპები......37

6.2 აქტივობების განხორციელება......38

6.2.1 დოკუმენტების გავრცელება......42

6.2.2 მშენებლობის წინა ფაზა......44

6.2.2.1 სკოპინგის განსაზღვრის ფაზა......44

6.2.2.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ფაზა......44

6.2.2.3 გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელების ფაზა......44

6.2.3 მშენებლობის ფაზა......47

6.2.4 ექსპლუატაციის ფაზა ....................51

**7.0 საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი ....................55**

7.1 მიზანი და სკოპინგი ....................55

7.2 საქართველოს რეგულაციები ....................55

7.3 საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის პროცესი ....................56

7.4 საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის თანამშრომლების როლები და პასუხისმგებლობა ....................61

7.5 თვალსაჩინოება და კომუნიკაცია ....................63

**8.0 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის როლი და მათი პასუხისმგებლობა ....................63**

8.1 საავტომობილო გზების დეპარტამენტი ....................63

8.2 კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორები ....................65

**9.0 მონიტორინგი და ანგარიშგება ....................66**

9.1 მონიტორინგი ....................66

9.2 ანგარიშგება ....................67

9.2.1 შიდა ანგარიშგება ....................67

9.2.2 გარე ანგარიშგება ....................68

**ცხრილები**

ცხრილი 1: დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება ....................13

ცხრილი 2: დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი ....................17

ცხრილი 3: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ღონისძიებების შეჯამება (2018 წლის აპრილიდან 2019 წლის თებერვლამდე პერიოდში) ....................23

ცხრილი 4: დაინტერესებული პირებისგან დღემდე წამოჭრილი ძირითადი საკითხები და პასუხები ....................28

ცხრილი 5: ჩართვის ფაზებში გასავრცელებელი დოკუმენტები ....................42

ცხრილი 6: ჩართვის აქტივობების პროგრამა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელების ფაზის განმავლობაში ....................45

ცხრილი 7: პროექტის მშენებლობის ფაზის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივოებების პროგრამა ....................48

ცხრილი 8: აქტივობათა პროგრამა ექსპლუატაციის ფაზის განმავლობაში ....................52

ცხრილი 9: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი ....................57

ცხრილი 10: დუშეთის მუნიციპალიტეტის საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი ....................58

ცხრილი 11: საჩივრების დაკმაყოფილების კომისია ....................60

ცხრილი 12: საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის პროცესი ....................61

**სურათები**

სურათი 1: ლოტი 1 და ლოტი 2 - გზის მონახაზი. 6
სურათი 2: პროგრამის აქტივობათა დიაგრამა 41

**დანართები**

დანართი „ა“ – დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი ჩამონათვალი

დანართი „ბ“ – დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დღემდე ჩატარებული ღონისძიებები

დანართი „გ“ – დაინტერესებულ მხარეთა ჩართვისთვის გამოსაყენებელი მეთოდების მიმოხილვა

დანართი „დ“ – სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის გეგმა

დანართი „ე“ – დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების რეესტრის ნიმუში

# აკრონიმები და აბრევიატურები

| | |
|---|---|
| ADB | აზიის განვითარების ბანკი |
| AP | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირი |
| CSO | სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია |
| EBRD | ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი |
| EIA | გარემოზე ზემოქმედების შეფასება |
| EPC | დაპროექტება, შესყიდვები და მშენებლობა |
| ESIA | გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება |
| ESMP | გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა |
| ESP | გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა |
| EU | ევროკავშირი |
| FGD | დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებში |
| GRCE | საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი |
| GRCN | საჩივრების დაკმაყოფილების კომისია |
| HGV | სატვირთო ავტომანქანა |
| HH | საოჯახო მეურნეობა |
| KII | ინტერვიუ ძირითად რესპონდენტთან |
| LAR | მიწის შეძენა და განსახლება |
| LARP | მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა |
| MoE | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| MoRDI | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| PCP | საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკა |
| PIP | საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკა |
| PMS | პროექტის მართვა და ზედამხედველობა |
| PR | სამოქმედო მოთხოვნა |
| Q&A | კითხვები და პასუხები |
| RAP | განსახლების სამოქმედო გეგმა |
| RD | საავტომობილო გზების დეპარტამენტი |
| SEA | დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობა |

| | |
|---|---|
| SEP | დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა |
| SPS | უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება |
| UNECE | გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისია |
| VHH | მოწყვლადი საოჯახო მეურნეობა |

## 1.0 შესავალი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა Golder Associates S.r.l.-ს (შემდგომში მოიხსენიება როგორც “Golder“) შეუკვეთა დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის მომზადება ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის (ლოტი 1 - გვირაბის სამხრეთი პორტალი კობში და ლოტი 2 - გვირაბის სამხრეთი პორტალი ქვეშეთში) პროექტისათვის (შემდგომში მოიხსენიება როგორც „პროექტი“), რომელიც უნდა შემუშავდეს საქართველოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის წინამდებარე გეგმა მომზადდა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (2014), საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის (2014), აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადების (2009) და საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკის (2011) შესაბამისად.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - პროექტის შემსრულებელ უწყებას, ხოლო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკთან ერთად - კრედიტორს.

## 1.1 ზოგადი ინფორმაცია და ამოცანები

წინამდებარე დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ის პრინციპები, ამოცანები და პროცედურები, რომლებსაც უნდა მისდიოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პროექტის განმავლობაში პროექტში დაინტერესებული მხარეების ღია და გამჭვირვალე ჩართვის უზრუნველსაყოფად. დაინტერესებული მხარეების ჩართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძლიერი, კონსტრუქციული და მოქნილი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, ამგვარი ურთიერთობა კი არსებითია პროექტის გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური ზემოქმედების წარმატებული მართვისთვის.

შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის უპირველესი ამოცანაა ჩარჩოს ჩამოყალიბება დაინტერესებულ მხარეებთან პოზიტიური ურთიერთობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად პროექტის მიმდინარეობისას დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების განხორციელების მეშვეობით. გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმაში მითითებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ასევე ის, თუ როგორ უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების განხორციელების მონიტორინგი და ანგარიშგება.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის ძირითადი ამოცანებია:

- პროექტის ფარგლებში გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის ხელშეწყობა პროექტის დაინტერესებულ მხარეების, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების, ქმედითი მიმდინარე ჩართულობის მეშვეობით;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მიმართ ისეთი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც განმახორციელებელ უწყებას დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ კი იმ თემებთან, რომლებზეც პროექტი უშუალო ზემოქმედებას ახდენს, კონსტრუქციული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში;
- პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში დაზარალებული თემების მისაწვდომი, გამჭვირვალე და ღია ჩართვის საშუალების უზრუნველყოფა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც მათზე პოტენციური უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია პროექტის გეგმისა და მისი გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შესახებ;
- იმის უზრუნველყოფა, რომ დაზარალებული თემებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ საჩივრებზე ხდებოდეს რეაგირება და მათი სათანადო მართვა.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის უფრო კონკრეტული ამოცანებია:

- დაინტერესებულ მხარეთა დადგენა, აღრიცხვა და შეფასება, ასევე იმის შეფასება, თუ რა სახით შეიძლება განიცადონ მათ გავლენა ან დაინტერესებულნი იქნენ პროექტით;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მოხდეს მოწყვლადი და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების იდენტიფიცირება და განხორციელდეს მიზანშეწონილი ზომები მიმდინარე საკონსულტაციო პროცესში მათ ჩასართავად.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა ეხება პროექტის ფარგლებში შესრულებულ ყველა საქმიანობას. გარდა ამისა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა ცოცხალი დოკუმენტია და პროექტის მსვლელობისას მოხდება მისი განახლება.

ყველა დაინტერესებულ მხარეს ვთავაზობთ, განიხილონ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის წინამდებარე გეგმა და თავიანთი შენიშვნები მიაწოდონ საავტომობილო გზების დეპარტამენტს შემდეგი საკონტაქტო დეტალების გამოყენებით:

მისამართი: საქართველო 0160, თბილისი, ყაზბეგის გამზ. #12

ტელეფონის ნომერი: (995 32) 37-05-08

ელ. ფოსტის მისამართი: Info@georoad.ge

კორპორაციული ვებგვერდი: http://www.georoad.ge/

## 1.2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის სტრუქტურა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა შემდეგნაირად არის აწყობილი:

- თავი 1 შესავალი
- თავი 2 პროექტის აღწერა
- თავი 3 მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩო
- თავი 4 პროექტის დაინტერესებული მხარეები
- თავი 5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დღემდე განხორციელებული საქმიანობა
- თავი 6 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამა
- თავი 7 საჩივრების წარდგენის მექანიზმი
- თავი 8 როლები და პასუხისმგებლობები
- თავი 9 მონიტორინგი და ანგარიშგება

# 2.0 პროექტის აღწერა

საქართველოს მთავრობამ წამოიწყო პროგრამა (საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 წ.წ.) ქვეყნის მთავარი გზების გასაუმჯობესებლად. პროგრამას მართავს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში და მის გარშემო მდებარე ქვეყნებში საქონლის ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის გაუმჯობესებას.

პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ჟინვალი-ლარსის E117 მონაკვეთის მოდერნიზაცია. ჟინვალი-ლარსის დერეფანი კვეთს კავკასიონის მთებს და გამიზნულია ტრანსპორტირების გაუმჯობესებისთვის რუსეთის მიმართულებით და უკან. მასში სამი მონაკვეთი შედის: ჟინვალი - ქვეშეთი, კვეშეთი-კობი და კობი-ლარსი. ქვეშეთი-კობის მონაკვეთი (შემდგომში პროექტი) პირველია სამი პროექტიდან, რომლის განვითარება უნდა მოხდეს და წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ამ გეგმის საგანს. KK მონაკვეთი ყველაზე რთულია, რადგან ის მოიცავს 9 კილომეტრიან ძირითად გვირაბს, რომელიც კვეთს კავკასიონის ქედს და გუდაურის ზონის და ჯვრის უღელტეხილის გავლით შემოუვლის ქვეშეთის წკერესთან დამაკავშირებელ არსებულ გზას.

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის ინვესტიციიდან მოსალოდნელი ძირითადი შედეგი ითვალისწინებს უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფას ზამთრის პერიოდში, როდესაც ტრანსპორტირებას ტრადიციულად სირთულეები ექმნებოდა, აგრეთვე უსაფრთხოების გაუმჯობესებას, დაღუპვის, დასახიჩრების და უბედური შემთხვევების მაჩვენებლის კლებას და მგზავრობის დროის დაზოგვას მგზავრებისა და სატვირთო ტრანსპორტისთვის.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, შემოთავაზებული პროექტი მთლიანად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების გასწვრივ მდებარეობს. კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტში შემავალი ქვეშეთის ზონისა და ხადას ხეობიდან დაწყებული პროექტი ვრცელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის ზონამდე.

სამშენებლო და სატენდერო მიზნებიდან გამომდინარე გზის ღერძი ორ მონაკვეთად გაიყო:

- ლოტი 1 – წკერე-კობი (10 კმ), რომელიც ძირითად გვირაბს შეიცავს, და
- ლოტი 2 – ქვეშეთი-წკერე (12 კმ).

პირველი და მეორე ლოტის საპროექტო მახასიათებლები ქვემოთ არის შეჯამებული, ხოლო გზის ღერძის ლოკაცია წარმოდგენილია №1 სურათზე.
ლოტი 1 მოიცავს:

- გზის 178 მ სიგრძის მონაკვეთს წკერედან გვირაბის სამხრეთ შესასვლელამდე;
- 8.86კმ სიგრძის ორმხრივი, ორხაზიანი გვირაბი (მაქსიმალური გრადიენტი 2.35%);
- 9.06კმ სიგრძის საავარიო გალერეა გვირაბის პარალელურად და 17 შეერთება მთავარ გვირაბთან;
- ტექნიკური შენობები ჩრდილოეთ და სამხრეთ შესასვლელებთან; შენობები მოიცავს სათავსოების შენობას, სატუმბო სადგურს და სავენტილაციო ოთახს;
- საპროექტო სიჩქარე 80 კმ/სთ.

ლოტი 2 ქვეშეთთან იწყება და წკერემდე გრძელდება, სანამ სოფლამდე მიაღწევს ნიშნულზე 12+720. მარშრუტში შედის გვირაბების 2.5 კმ და ხიდების 1.5 კმ. ამ მონაკვეთის ძირითადი ელემენტებია:

- ქვეშეთის შემოვლითი გზა;
- 6 ხიდი;
- 4 გვირაბი, საიდანაც ორი ბურღვის/აფეთქების ტექნიკით აშენდება, ხოლო დანარჩენი ორი - ღია წესით გაყვანის ტექნიკით.
- ხუთდონიანი გზაჯვარედინი და 3 მეორეხარისხოვანი გზა;
- საპროექტო სიჩქარე 80 კმ/სთ.

გვირაბების მშენებლობის და მიწის სამუშაოების შესრულების შედეგად დაგროვდება შესაბამისი მასალები, რომლებისთვისაც საჭირო გახდება ნარჩენი მასალებისა და მიწის საყრელის მოწყობა.




**სურათი 1: ლოტი 1 და ლოტი 2 - გზის მონახაზი.**

## 2.1 პროექტის დასაბუთება და სავარაუდო ზემოქმედება

ამ ნაწილში მოცემულია პროექტის დასაბუთება და სავარაუდო ზემოქმედება, როგორც ეს განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშზ) ანგარიშში.

### არსებული გზის მდგომარეობა

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია როგორც ძირითად სატრანზიტო ქვეყანას. უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში გაიზარდა საქონლის ტრანსპორტირება საქართველოში და ქვეყნის გავლით. საქონლის თითქმის ორი მესამედის ტრანსპორტირება საქართველოში სატვირთო მანქანებით ხდება ადგილობრივი და უცხოური სატვირთო გადამზიდი კომპანიების მიერ. თუმცა ბევრი გზა ცუდად არის აღჭურვილი, რომ პროპორციულად გაუმკლავდეს სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიურ მოძრაობას და მძიმე ტექნიკას. სხვა ფაქტორები, როგორიცაა არასაკმარისი ორმაგი სავალი გზები, დასახლებულ ტერიტორიებზე გამავალი მარშრუტები, არასათანადო მოვლა და შეკეთება, აფერხებს გამტარუნარიანობას და ზრდის ტრანზიტის დროს. ეს სირთულეებს უქმნის გადამზიდ კომპანიებს და მათ კლიენტებს, სატვირთო მანქანების მძღოლებს, ქართველ ავტომძღოლებს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს. გზების ამჟამინდელ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- არსებული გზების გაუარესება, რომლებიც ზამთრის თვეებში ხშირად იკეტება დიდთოვლობის გამო, რაც ხელს უშლის პროექტის გავრცელების ზონის და ზოგადად რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას;
- საცობების მნიშვნელოვანი ზრდა არსებულ გზებზე, განსაკუთრებით ტურისტული სეზონის პერიოდში, რაც გუდაურის შიგნით და მის გარშემო არსებული ჰაერის ხარისხის გაუარესებას იწვევს;
- მძიმე სატვირთო მანქანების მანევრირების სირთულეები, რომლებიც იწვევს დაგვიანებებს და შესაბამის ზარალს.

### ახალი გზით მოტანილი სარგებლები

- ჩრდილოეთ-სამხრეთის ტრასის სამუშაო დროის გაუმჯობესება, მათ შორის ზამთრის პერიოდში;
- უსაფრთხოების გაზრდა, მათ შორის დაღუპვის, დასახიჩრების და უბედური შემთხვევების მაჩვენებლის კლება განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც გუდაურისკენ მიმავალი ტურისტების ნაკადი გაემიჯნება სატრანზიტო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს კობის მიმართულებით, და
- მგზავრობის დროის დაზოგვა სამგზავრო და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებებისთვის. ამავე დროს არსებულ გზას შეუნარჩუნდება მოქმედი სტატუსი და იქნება ექსკლუზიურად გუდაურის მისასვლელი გზა.

### პროექტის სხვადასხვაგვარი ზემოქმედება

გზშ-ით დადგინდა, რომ პროექტის განხორციელებით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედება მეტწილად მთლიანად ექვემდებარება პრევენციას ან შესაძლებელია ადეკვატურად შერბილდეს. გზშ-ით გამოვლენილი სხვადასხვაგვარი ზემოქმედება ქვემოთ არის განსაზღვრული და მოკლედ აღწერილი:

- მნიშვნელოვანი ჰაბიტატები: მართალია გარკვეული ჰაბიტატები დაიკარგება, მაგრამ შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები შეამცირებს აღნიშნულ ზემოქმედებას დასაშვებ დონემდე. სამუშაოთა შესრულების პერიოდში მნიშვნელოვან ჰაბიტატებზე ზემოქმედებას სავარაუდოდ გამოიწვევს პოტენციური დაბინძურება და ჰაბიტატებზე არაპირდაპირი ზემოქმედების ზრდა.
- მნიშვნელოვანი სახეობები: პირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ჰაბიტატის დაკარგვასთან, გარემოს არსებული მდგომარეობის შეცვლასთან და შემთხვევით სიკვდილიანობასთან. არაპირდაპირი ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იქნეს აგრეთვე ველის

ფრაგმენტაციით და მისი არსებული მდგომარეობის შეცვლით, რაც ადამიანების გაზრდილი რაოდენობით იქნება გამოწვეული. შემარბილებელი ზომების მიღება, პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმასთან ერთად ითვალისწინებს, რომ მოსალოდნელი სხვადასხვაგვარი ზემოქმედება მისაღებ დონემდე იქნება დაყვანილი. გზის ამოქმედება გამოიწვევს პირდაპირ ზემოქმედებას მნიშვნელოვან სახეობებზე საგზაო ავარიების/შემთხვევების შედეგად, აგრეთვე არაპირდაპირ ზემოქმედებას, გამოწვეულს გარემოს არსებული მდგომარეობის შეცვლით, ველის ფრაგმენტაციით, დაბინძურებით და ჰაბიტატებისადმი წვდომის ზრდით, თუმცა ფიქრობენ, რომ საპროექტო გვირაბების და ხიდების რაოდენობის გათვალისწინებით ეს არც თუ მაღალი მაჩვენებელი იქნება.

- ნარჩენები: ზოგადად, თუ განხორციელდება შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები, ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება. თუმცა იმ ზონების აღდგენის მოთხოვნები, სადაც გრუნტის ამოღება მოხდა, მნიშვნელოვანი იქნება და მათ შესრულებას რამდენიმე წელიწადი დაჭირდება.

- სათბურის გაზები: ნარჩენი ზემოქმედება, რაც სათბურის გაზების წარმოქმნას ახლავს, პროექტის არსებობის მთელ პერიოდში იქნება. ეს პროექტის გარდაუვალი შედეგია, თუმცა ელექტრომობილების და საწვავის უფრო ეფექტიანად მხარჯველი ავტომობილების ბაზრის ზრდა სავარაუდოდ მომავალში გამოიწვევს საპროექტო გზაზე გამონაბოლქვის შემცირებას.

  ლანდშაფტი: ფერდობების მოჭრა, გზის პირები და გვირაბები ზემოქმედებას მოახდენს ველის ლანდშაფტზე პროექტის მიმდინარეობის მთელ პერიოდში. თაღოვანი ხიდის შერჩევა ხადას ხეობისთვის და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება გარკვეულწილად აამაღლებს პროექტის ესთეტიკურ ღირებულებას, მითუმეტეს, რომ სამშენებლო ზონებში აღდგება და გაიზრდება მცენარეული საფარი.

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება: სამშენებლო ფაზის დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის პოტენციურ დროებით ზრდას სატრანსპორტო საშუალებებს, ფეხით მოსიარულეებს და სატრანსპორტო საშუალებებს, შინაურ ცხოველებს და სატრანსპორტო საშუალებებს შორის. ასევე იქნება მოკლევადიანი ზემოქმედება ხმაურისა და ჰაერის ხარისხის გაუარესების სახით. მიგრანტ მუშებს შეუძლიათ გაზარდონ რისკები საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან მიმართებით. ამ პოტენციური ზემოქმედების გათვალისწინებით საჭიროა მშენებლობის დროს განხორციელდეს მოსახლეობის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების გეგმა და ასევე შემუშავდეს საგზაო უსაფრთხოებისა და გზებზე მოძრაობის მართვასთან დაკავშირებული გეგმა.

- მატერიალური და კულტურული რესურსები: საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში არსებული მატერიალური და კულტურული რესურსების უმრავლესობა საპროექტო გზიდან 100 მეტრზე მეტ მანძილზეა და ნაკლებად სავარაუდოა მათზე ზემოქმედება მშენებლობის დროს. თუმცა პროექტის დერეფანის გასწვრივ განლაგებულია სასაფლაოები, ეკლესიები, კოშკები, ომის ძეგლები და რელიგიური ჯვრები, რომლების დაშორებაც 50 მეტრია და შესაძლოა სამშენებლო სამუშაოებმა მათზე გარკვეული გავლენა იქონიოს. საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია გათხრების შედეგად არქეოლოგიური ფასეულობები აღმოჩნდეს, ამიტომ კულტურული მემკვიდრეობის მონიტორები დაესწრებიან მიწის სამუშაოებს მაღალი მგრძნობიარობის ზონაში, ხოლო მშენებლობის დროს დაცული იქნება შემთხვევითი ნაპოვნების მიმართ გათვალისწინებული პროცედურა.

- მიწის შეძენა და განსახლება: პროექტის განვითარებისთვის აუცილებელია გზის და ნაგებობების მიერ დაკავებული ტერიტორიის ფარგლებში ან მის სიახლოვეს არსებული მიწის ნაკვეთების და მათზე არსებული საცხოვრებელი სახლების შესყიდვა. აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად შემუშავდება მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა, ხოლო მათთვის, ვისაც უარყოფითი ზემოქმედება შეეხება, განხორციელდება საარსებო წყაროს აღდგენის პროგრამა.

- ხმაური და ვიბრაცია: პროექტისთვის მომზადებული ხმაურის მოდელში აღნიშნულია, რომ პროექტის დერეფანში მდებარე ბევრი სოფელი დროებით დაზარალდება გაზრდილი სამშენებლო ხმაურით. გარდა ამისა, ხმაურის მოდელი შემუშავდა საპროექტო გზის სამომავლო ხმაურის დონის განსაზღვრის მიზნით პროექტის დასრულების შემდეგ და ოცი წლის განმავლობაში. მოდელის შედეგებით გამოვლინდა შემარბილებელი ღონისძიებების აუცილებლობა ხმაურის შემაკავებელი ბარიერების ან გზისპირა მიწაყრილების (ბერმების) ფორმით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხმაურის დონე არ აღემატებოდეს IFC სახელმძღვანელო მითითებებით დადგენილ ლიმიტებს, განსაკუთრებით ღამის პერიოდში. გზშ-თვის მომზადებულ ვიბრაციის შეფასებაში აღინიშნა, რომ მხოლოდ რამდენიმე ობიექტზე შეიძლება გავლენა იქონიოს საგზაო სამშენებლო სამუშაოებმა და აღჭურვილობამ, აგრეთვე ხიდების ხიმინჯების სამუშაოებმა. არცერთი დაგეგმილი გვირაბის თავზე ან მის მახლობლად არ არის კერძო საკუთრება. ექსპლუატაციის დროს საგზაო მოძრაობა სავარაუდოდ რაიმე ზემოქმედებას არ მოახდენს შენობა-ნაგებობაზე ან ზოგადად კომფორტზე.
- განათება: ქუჩის განათებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ადგილობრივ თემებსა და საცხოვრებელ ადგილებზე, თუ განათება სწორად არ არის უზრუნველყოფილი დამცავი ფარებით და ხდება სინათლის „დაღვრა.“ ამ თვალსაზრისით, სინათლის „დაღვრა“ პოტენციურად იმოქმედებს მხოლოდ ქვეშეთისა და არახვეთის დასახლებებზე, ყველა სხვა სოფელი და კერძო საკუთრება ძალიან შორს არის გზიდან, რომ მათზე რაიმე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოხდეს. მარტივი გამოსავალია, უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო ფარები. სწორად შერჩეული დამცავი ფარები მაქსიმალურად გაზრდის განათების სასურველ ეფექტს სინათლის კონტროლით და მისი „დაღვრის“ მინიმუმამდე დაყვანით.
- წვდომა: პროექტში ხიდებისა და გვირაბების ჩართვა იმას ნიშნავს, რომ არსებობს მხოლოდ რამდენიმე უბანი, სადაც წვდომის დაბლოკვა ხდება ახალი გზის გამო. ზოგიერთ ამ რაიონში, ადგილობრივ თემებთან კონსულტაციის საფუძველზე, უზრუნველყოფილია მიწისქვეშა გადასასვლელები ან ადგილობრივი გზები მიმართულია ხიდების ქვეშ, რათა შესაძლებელი გახდეს ველის ირგვლივ ხალხისა და პირუტყვის თავისუფალი გადაადგილება.

# 3.0 მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩო

## 3.1 ეროვნული რეგულაციები

### 3.1.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017)

საზოგადოებასთან კონსულტაციის შესახებ მოთხოვნები ჩამოყალიბებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში (2017), რომელიც ადგენს, რომ საზოგადოებასთან კონსულტაცია უნდა ჩატარდეს სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე, როგორც ეს ქვემოთ არის აღნიშნული.

#### სკოპინგის ეტაპი

საზოგადოებას უფლება აქვს, სკოპინგის განცხადების გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში, წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც სამინისტრომ, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მიიღოს.

სკოპინგის განცხადების გამოქვეყნებიდან მე-10 და მე-15 დღეებს შორის პერიოდში სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე ადგილას შესაბამის ადმინისტრაციულ იურისდიქციაში. საჯარო განხილვის დეტალებისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა. შეხვედრის ოქმს სამინისტრო აწარმოებს.

სკოპინგის განცხადების წარდგენიდან 25-ე და 30-ე დღეებს შორის პერიოდში სამინისტრომ უნდა გასცეს სკოპინგის დასკვნა, რომელიც ეხება იმ კვლევებსა და ინფორმაციას, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

#### გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საზოგადოებისთვის გაცნობის ეტაპი

სამინისტროს მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 40 დღის ვადაში საზოგადოებას უფლება აქვს, წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები, რომლებიც, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სამინისტრომ მხედველობაში უნდა მიიღოს.

გზშ ანგარიშის წარდგენიდან 25-ე და 30-ე დღეებს შორის პერიოდში სამინისტრომ უნდა ჩაატაროს გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე ადგილას შესაბამის ადმინისტრაციულ იურისდიქციაში. სკოპინგის ეტაპის ანალოგიურად, საზოგადოებას შეუძლია შეხვედრაზე დასწრება. მას ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საჯარო განხილვის ჩატარებამდე არაუგვიანეს 20 დღისა. შეხვედრის ოქმს სამინისტროს წარმომადგენელი აწარმოებს.

გზშ განაცხადის წარდგენიდან 51-ე და 55-ე დღეებს შორის პერიოდში სამინისტრო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროექტისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ან საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

## 3.2 საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები

### 3.2.1 აარჰუსის კონვენცია

2000 წლის აპრილში საქართველომ მოახდინა აარჰუსის კონვენციის რატიფიცირება. გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის ეს კონვენცია ადგენს საზოგადოების (ცალკეული ადამიანებისა და მათი კავშირების) რიგ უფლებებს გარემოსთან დაკავშირებით. კონვენცია ითვალისწინებს:

- ყველა ადამიანის უფლებას, მიიღოს ხელისუფლების ხელთ არსებული გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია („გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაწვდომობა“);
- გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის უფლებას („გარემოსთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების მონაწილეობა“);

- პროცედურების გადახედვის უფლებას ზემოხსენებული ორი უფლების ან ზოგადად გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით მიღებული სახელმწიფო გადაწყვეტილებების გასასაჩივრებლად („მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა“).

## 3.3 საერთაშორისო სტანდარტები

### 3.3.1 ევროკავშირი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, როგორც გარემოს დაცვის ევროპული პრინციპების ხელმომწერი, მოწოდებულია, ხელი შეუწყოს, რომ EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მიღებული იქნეს ევროკავშირის გარემოსდაცვითი პრინციპები, მეთოდები და არსებითი სტანდარტები, როდესაც ეს პრინციპები, მეთოდები და სტანდარტები შეიძლება გამოყენებული იქნეს პროექტის დონეზე, მიუხედავად მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. როდესაც მიმღები ქვეყნის რეგულაციები განსხვავდება ევროკავშირის არსებითი გარემოსდაცვითი სტანდარტებისაგან, პროექტებმა უნდა დააკმაყოფილოს ის, რომელიც მათ შორის უფრო მკაცრია.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია. 1985 წელს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ პირველი დირექტივის (დირექტივა 85/337/EEC) მიღების შემდეგ განვითარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების როგორც კანონმდებლობა, ისე პრაქტიკა. 2014 წელს გამოქვეყნდა ახალი დირექტივა, რომლითაც ძველში ცვლილებები იქნა შეტანილი (დირექტივა 52/14/EU).

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვასთან დაკავშირებით დირექტივა აცხადებს, რომ:

- გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების განმავლობაში დაინტერესებულ საზოგადოებას ინფორმაცია, როგორც კი მისი მიწოდება შესაძლებელი იქნება, უნდა მიეწოდოს ელექტრონული სახით და საჯარო შეტყობინებებით, ან სხვა შესაბამისი საშუალებებით,
- დაინტერესებულ საზოგადოებას უნდა ეცნობოს სხვადასხვა ეტაპისთვის გამოყოფილი დრო, რათა მოემზადოს და ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

### 3.3.2 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნები

ვინაიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი პროექტის კრედიტორია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის წინამდებარე გეგმა მომზადდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნების შესაბამისად. EBRD-ის მოთხოვნები პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაჯაროების შესახებ მკაცრია და აღემატება ევროკავშირის მოთხოვნებს (რომლებიც დადგენილია აარჰუსის კონვენციასა და ესპოოს კონვენციაში). დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მოთხოვნები ჩამოყალიბებულია EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალურ პოლიტიკაში (2014 წლის მაისი) მე-10 სამოქმედო მოთხოვნაში: „ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა“, ასევე 2014 წელს დამტკიცებულ საჯარო ინფორმაციის პოლიტიკაში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მოითხოვს, რომ კლიენტებმა დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა განახორციელონ ადგილობრივი თემებისათვის, რომლებზეც პროექტი უშუალო ზემოქმედებას ახენს, და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის დროული, შესაბამისი, გასაგები და მისაწვდომი ინფორმციის მიწოდების საფუძველზე, კულტურული თვალსაზრსით მისაღები გზით და მანიპულაციის, ჩარევის, იძულებისა და დაშინების გარეშე. მე-10 სამოქმედო მოთხოვნის მიხედვით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირებას და ანალიზს;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დაგეგმვას;

- ინფორმაციის მიწოდებას;
- კონსულტაციას და მონაწილეობას;
- საჩივრების წარდგენის მექანიზმს; და
- შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის პერიოდულ ანგარიშგებას.

იმ პროექტებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ გამოიწვევენ უაროფით ზემოქმედებას გარემოზე და სოციალურ ზემოქმედებას, EBRD მოითხოვს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ისეთი გეგმის შემუშავებას, რომელიც შესატყვისი იქნება პროექტის ხასიათის და მასშტაბის ან რისკების, ზეგავლენების და პროექტის განვითარების ეტაპისა.

საზოგადოების ინფორმირების პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია, თუ როგორ ახდენს EBRD ინფორმაციის მიწოდებას და როგორ ატარებს კონსულტაციებს თავის დაინტერესებულ მხარეებთან, რათა ხელი შეუწყოს თავისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ ცოდნის ამაღლებას და მათი გაგების გაუმჯობესებას.

### 3.3.3 აზიის განვითარების ბანკი

ანალოგიურად, ვინაიდან აზიის განვითარების ბანკი პროექტის კრედიტორია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის წინამდებარე გეგმა მომზადდა აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის შესაბამისად. აზიის განვითარების ბანკი პრიორიტეტულად მიიჩნევს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, კონსულტაციას და მათ მონაწილეობას. აზიის განვითარების ბანკის ახალი კორპორატიული სტრატეგია - სტრატეგია 2030: „აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების კეთილდღეობის, ინკლუზიურობის, სიცოცხლისუნარიანობისა და მგრადობის მიღწევა" (2018) ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ გააძლიერებს აზიის განვითარების ბანკი თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ხოლო ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადება (2009) მოითხოვს სრულფასოვან კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ თემებთან.

თავის 2030 წლის სტრატეგიაზე დაყრდნობით აზიის განვითარების ბანკი მოწოდებულია, გამოიკვლიოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ჩართვის გაზრდის შესაძლებლობები, ყურადღების გამახვილებით იმ საქმიანობაზე, რომელიც იყენებს საზოგადოების რიგითი წევრების მონაწილეობის მიდგომას, რათა სამიზნე ჯგუფად აქციოს ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფები, მოახდინოს ქალებისა და ახალგაზრდების მობილიზება და განახორციელოს პროექტის ფარგლებში საქმიანობებისა და საქმიანობათა შედეგების მონიტორინგი.

აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების სტანდარტებთან და ამოცანებთან შესაბამისობის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

- როდესაც შესაძლებელია, თავიდან უნდა იქნეს აცილებული გარემოზე და ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ ადამიანებზე პროექტების უარყოფითი ზეგავლენა;
- მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, შემსუბუქდეს და/ან კომპენსირებული იქნეს გარემოზე და ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ ადამიანებზე პროექტების უარყოფითი ზეგავლენა, როდესაც ამ ზემოქმედების თავიდან აცილება არ არის შესაძლებელი; და
- მსესხებლებისთვის/კლიენტებისთვის დახმარების გაწევა უსაფრთხოების მათი სისტემების გაძლიერებაში და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის უნარის განვითარებაში.

ინფორმაციის გაზიარების საკითხში აზიის განვითარების ბანკი მოწოდებულია, იმუშაოს მსესხებლებთა/კლიენტებთან, რათა უზრუნველყოს, რომ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანებისთვის, მათ შორის დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოებისათვის, დროულად, მისაწვდომ ადგილას და მისაწვდომი ფორმითა და გასაგებ ენაზე (ენებზე) იქნეს ხელმისაწვდომი

შესაბამისი ინფორმაცია (პოზიტიური თუ ნეგატიური) გარემოსდაცვითი უსაფრთხოების საკითხების შესახებ, რათა მათ შეძლონ შეიტანონ გონივრული წვლილი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

გარდა ამისა, 2011 წელს აზიის განვითარების ბანკმა გამოსცა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკა, რომელიც ხელმძღვანელობს ბანკის მცდელობებს, იყოს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ის ემსახურება. პოლიტიკის ამოცანაა აზიის განვითარების ბანკისადმი დაინტერესებულ მხარეთა ნდობისა და მასთან ურთიერთობის უნარის გაძლიერება. 2019 წლის 1 იანვარს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პოლიტიკა შეცვალა ახალმა პოლიტიკამ სახელწოდებით „ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა."

## 4.0 პროექტის დაინტერესებული მხარეები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის წინამდებარე გეგმის მიზნებისათვის, დაინტერესებული მხარეები განისაზღვრებიან როგორც პირები ან ჯგუფები, (i) რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს ან სავარაუდოდ მოახდენს (პირდაპირი თუ ირიბი სახით) პროექტი („ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მხარეები"); ან (ii) რომლებსაც შეიძლება რაიმე ინტერესი ჰქონდეთ პროექტში („სხვა დაინტერესებული მხარეები").

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობათა ეფექტიანად ორგანიზებისა და ადგილობრივ თემებთან მძლავრი ურთიერთობების დამყარების მიზნით გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში იდენტიფიცირებული იქნა რიგი თემის წარმომადგენლებისა, რათა მათ მაქსიმალურად გამოხატონ თემის ინტერესები და ხელი შეუწყონ დიალოგს. თემის წარმომადგენლებს შორის შეიძლება იყვნენ თემის ან რელიგიური ლიდერები, ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, მასწავლებლები და სხვ.

შემდეგ თავებში აღწერილია დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირების პროცესი და მოცემულია პროექტისთვის ჩატარებული დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი რეგულარულად უნდა ჩატარდეს, რათა მასში აისახოს ის ცვლილებები, რომლებსაც პროექტის დაგეგმვის ეტაპზე, მისი განვითარებისა და მოქმედების განმავალობაში განიცდიან პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ან დაინტერესებული მხარეები. ამ მიზნით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლებში შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა რეესტრი, რომელიც მთელი პროექტის განმავლობაში რეგულარულად უნდა განახლდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი ჩამონათვალი **„ა" დანართშია** წარმოდგენილი.

## 4.1 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება მოხდა ამ დროისთვის ჩატარებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების განხილვის და მეორადი ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე. ამ ჩამონათვალს რეგულარულად განიხილავს და განაახლებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში საქმიანობების ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ან დაინტერესებული მხარეების ძირითადი კატეგორიები და ჯგუფები.

**ცხრილი 1: დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება**

| კატეგორია | ჯგუფი | განმარტება და ზემოქმედება |
|---|---|---|
| **ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დაინტერესებული მხარეები** | | |
| თემები | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები და პირები | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები: დასახლებები, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს როგორც პროექტის სხვადასხვა ზემოქმედება, ისე სარგებელი. ზემოქმედება მოიცავს მიწის დაკარგვას, ქონების, მათ შორის კულტურული |

| კატეგორია | ჯგუფი | განმარტება და ზემოქმედება |
|---|---|---|
| | | მემკვიდრეობის ობიექტების, დაკარგვას; ხმაურს, ვიბრაციას და ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას; ქონების დანაწევრების ზემოქმედებას. პროექტით მოტანილი სხვადასხვა სარეგებელია სოფლებში მგზავრობის დროის შემცირება, მომსახურებებზე წვდომის გაზრდა და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებული პირობები.<br>პროექტის უშუალო ზემოქმედებას შემდეგი დასახლებები განიცდიან:<br>■ ქვეშეთი,<br>■ არახვეთი,<br>■ ზაქათკარი,<br>■ წკერე,<br>■ მუღერე,<br>■ კობი,<br>■ სვიანა-როსტიანი,<br>■ გომურნი,<br>■ ბეგონი და<br>■ ბენიანი |
| | | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირები: ადამიანები, რომლებზეც ზემოქმედებას მოახდენს მიწის, ქონების ან საარსებო წყაროს დაკარგვა, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილზე წვდომის დაკარგვა ქონების დანაწევრების ზემოქმედების შედეგად, და რომლებისთვისაც საჭირო იქნება კომპენსაციის გადახდა და/ან განსახლება, მათ შორის:<br>■ მწყემსები |
| | | მოწყვლადი ჯგუფები: EBRD-ის განმარტებით, ეს არიან ადამიანები, რომლებზეც, სხვადასხვა ფაქტორის ძალით, *„შესაძლოა უფრო ნეგატიურად იმოქმედოს პოექტის სხვადასხვა ზემოქმედებამ, ვიდრე სხვა ადამიანებზე და რომელთაც შესაძლოა შეზღუდული უნარი ჰქონდეთ, მოითხოვონ ან მიიღონ პროექტის სარგებლები.“*[1] საქართველოს მარეგულირებელ გარემოში მოწყვლადი ჯგუფები განიმარტებიან როგორც საოჯახო მეურნეობები, რომელთა სათავეში ქალი დგას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ან სხვა პირები, რომლებიც მთავრობისგან იღებენ შეზღუდული შესაძლებლობებისთვის დახმარებას, სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანები, პენსიონერები და იძულებით გადაადგილებული პირები. |

[1] წყარო: EBRD. 2014. გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა. იხ. შემდეგ მისამართზე: https://www.ebrd.com/downloads/research/policies/esp-final.pdf

| კატეგორია | ჯგუფი | განმარტება და ზემოქმედება |
|---|---|---|
| ბიზნესები, კომუნალური მომსახურების კომპანიები და ინფრასტრუქტურის სხვა მფლობელები | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ბიზნესები | ბიზნესები, რომლებიც განიცდან პროექტის როგორც ზემოქმედებას, ისე სარგებლებს. ზემოქმედება მოიცავს მიწის, ქონების ან შემოსავლების დაკარგვას; ამ ბიზნესებს შორის არიან გზისპირა ბაზრებში დახლების მფლობელები და ოფიციალური და არაოფიციალური ბიზნესები, რომლებზეც ზემოქმედებას მოახდენს მიწის შეძენა. სარგებლებია მგზავრობის დროის შემცირება, ეკონომიკურ შესაძლებლობათა გაზრდა და ბაზრებსა და მომხმარებლებზე უფრო ადვილი წვდომა. |
| | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი კომუნალური მომსახურების კომპანიები და ინფრასტრუქტურის სხვა მფლობელები | სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ან კერძო კომუნალური მომსახურების კომპანიები და ინფრასტრუქტურის მფლობელები: კავშირგაბმულობისა და ენერგომომარაგების კომპანიები, ნარჩენების მართვის ობიექტები, ადგილობრივი გზები. |
| მთავრობა | მუნიციპალური და რეგიონული ადმინისტრაციები | შესაბამისი ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტი, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი და მცხეთა-მთიანეთის რეგიონი. |
| | სახელმწიფო მთვრობა და ხელისუფლების ორგანოები | წამყვანი უწყებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ მანდატი, განიხილონ და კონსულტაცია გაუწიონ პროექტის განვითარებას, მათ შორის:<br>■ საქართველოს საგზაო დეპარტამენტი<br>■ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>■ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br>■ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო<br>■ დაცული ტერიტორიების სააგენტო<br>■ ეროვნული სატყეო სააგენტო<br>■ გარემოს ეროვნული სააგენტო<br>■ საჯარო სამართლის იურიდიული პირი<br>■ პოლიცია<br>■ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| **დაინტერესებული მხარეები** | | |
| თემები | გარშემო მდებარე თემები | დასახლებები, რომლებიც დანტერესებულნი არიან ან აქვთ გავლენა პროექტის განვითარებაზე, როგორიც არის, მაგალითად, გუდაური. |
| ბიზნესები, უწყებები | გარშემო მდებარე ბიზნესები | ბიზნესები, რომლებიც ფუნქციონირებენ ან გეგმავენ ფუნქციონირებას პროექტის მახლობლად ან რომლებიც დაინტერესებულნი არიან პროექტით, მათ შორის: |

| კატეგორია | ჯგუფი | განმარტება და ზემოქმედება |
|---|---|---|
| | | ■ გუდაურის სათხილამურო კურორტი<br>■ სავაჭრო პალატა<br>■ პროფესიული კავშირები<br>■ გაზის ტრანსპორტირების კომპანია |
| სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები | პროექტის გავლენის სფეროში აქტიური ორგანიზაციები, მათ შორის:<br>■ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF)<br>■ საქართველოს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - CENN<br>■ საქართველოს მწვანეები<br>■ მწვანე ალტერნატივა<br>■ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა<br>■ არასამთავრობო ორგანიზაცია Georgia's Environmental Outlook (GEO)<br>■ საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევის ცენტრი „ნაკრესი“<br>■ ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრი<br>■ კავკასიის ბუნების ფონდი<br>■ საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)<br>■ ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF)<br>■ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)<br>■ მთის განვითარების ცენტრი (MDC)<br>■ SABUKO (ბუნების კონსერვაციის საზოგადოება)<br>■ ასოციაცია საზოგადოების კეთილდღეობისთვის (AWS)<br>■ რეგიონული განვითარების ცენტრი (RDC)<br>■ დუშეთის განვითარების ფონდი<br>■ სტაფანწმინდა<br>■ ქალები რეგიონული განვითარებისთვის<br>■ „ხევის მომავალი“ - სტეფანწმინდაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია |

| კატეგორია | ჯგუფი | განმარტება და ზემოქმედება |
|---|---|---|
| | | ■ საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია |
| სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები | სამეცნიერო წრეები და სექტორის ექსპერტები | სექტორის ექსპერტები, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების გაწევა დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების განმავლობაში დაინტერესებულ მხარეთა კითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის გზით, მათ შორის:<br>■ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი |
| საერთაშორისო პარტნიორები | პროექტის დამფინანსებლები | ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროქტის დაფინანსებას, მათ შორის EBRD და ADB. |
| პრესა და მედია | ადგილობრივი და ეროვნული პრესა და მედია | პრესას და მედიის ჯგუფებს შეუძლიათ ფართო საზოგადოების ინფორმირება პროექტის სხვადასხვა ზემოქმედებისა და სარგებლის შესახებ. |

## 4.2 დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა კატეგორიის პოტენციური მოლოდინებისა და პრობლემების ანალიზი. ცხრილს საფუძვლად უდევს დღემდე ჩატარებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების აქტივობათა შედეგები და ვარაუდები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის მოსალოდნელი.

**ცხრილი 2: დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი**

| ჯგუფი | დაინტერესებული მხარეები | აღწერა და ინტერესი პროექტის შემუშავებაში და მოქმედებაში | პროექტის ზეგავლენა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის ამჟამინდელი მდგომარეობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის კატეგორია |
|---|---|---|---|---|---|
| ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები | - ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დასახლებები<br>- ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირები | - მოხდება მათზე უშუალო ზემოქმედება პროექტის ფარგლებში მიწის შეძენის შედეგად, ასევე ზემოქმედება ჰაერის ხარისხის, ხმაურის, ვიბრაციისა და ქონების დანაწევრების თვალსაზრისით.<br>- მიიღებენ სხვადასხვა | - შეუძლიათ შეაფერხონ პროექტის განვითარება და/ან გამოიწვიონ პროექტის ქონების განადგურება.<br>- შეუძლიათ გამოიწვიონ პროექტისთვის დაფინანსების დაკარგვა.<br>- პროექტის წარმატება დამოკიდებულია | სრული ჩართულობა | საჭიროებე-ბის წინასწარ განსაზღვრა და დაკმაყოფი-ლება |

| ჯგუფი | დაინტერესებული მხარეები | აღწერა და ინტერესი პროექტის შემუშავებაში და მოქმედებაში | პროექტის ზეგავლენა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის ამჟამინდელი მდგომარეობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის კატეგორია |
|---|---|---|---|---|---|
| | | სარეგებელს, მათ შორის სოფლებში მგზავრობის დროის შემცირებას, მომსახურებებზე წვდომის გაზრდას და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებულ პირობებს.<br>- საჭირო იქნება კომპენსაცია საარსეებო საშუალებების, მიწის ან ქონების დაკარგვის გამო.<br>- შესაძლებელია, მათთან მიმართებაში წარმოიშვას გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები (მაგ. ურთიერთობა დროებით მუშახელთან). | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემების მიერ მიღებაზე.<br>- შეუძლიათ წვლილის შეტანა პროექტის განვითარებაში: პოტენციურად სენსიტიური საკითხების, ზეგავლენებისა თუ პრობლემის გადაწყვეტის გზების დადგენა. | | |
| მოწყვლადი ჯგუფები | - საოჯახო მეურნეობები, რომელთა სათავეში ქალი დგას;<br>- პენსიონერები;<br>- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ან სხვა პირები, რომლებიც მთავრობისგან იღებენ შეზღუდული შესაძლებლობე-ბისთვის დახმარებას;<br>- იძულებით გადაადგილებული პირები. | - შესაძლოა არაპროპორციული ზემოქმედება განიცადონ პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შედეგად მათი მოწყვლადი სტატუსის გამო. | - შესაძლოა გაუჩნდეთ სირთულეები დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობებში მონაწილეობის და უკუკავშირის წარმოდგენის მხრივ. | სრული ჩართულობა | საჭიროებე-ბის წინასწარ განსაზღვრა და დაკმაყოფი-ლება; სპეციალური ზომების მიღება დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობებში მონაწილეო-ბის უზრუნველ-საყოფად (იხ. დაინტერესე-ბულ მხარეთა |

| ჯგუფი | დაინტერესებული მხარეები | აღწერა და ინტერესი პროექტის შემუშავებაში და მოქმედებაში | პროექტის ზეგავლენა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის ამჟამინდელი მდგომარეობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის კატეგორია |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ჩართვის პროგრამა). |
| ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი ბიზნესები | - გზისპირა ბაზრებში დახლების მფლობელები<br>- ოფიციალური და არაოფიციალური ბიზნესები<br>- სხვა საწარმოები (კომუნალური მომსახურების კომპანიები) | - ბიზნესები, რომლებიც განიცდიან მიწის, ქონების, შემოსავლების, სერვისებისა და საარსებო საშუალებების დაკარგვას;<br>- ბიზნესები, რომლებიც მიიღებენ სარგებელს, მათ შორის მგზავრობის შემცირებულ დროს, გაზრდილ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და მომხმარებლებსა და ბაზრებზე უფრო ადვილად წვდომას;<br>- ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკის ხელშეწყობა ადგილობრივი თემის წევრებისთვის დასაქმების პირდაპირი შესაძლებლობებით, მთავრობისთვის შემოსავლის მოტანა გადასახადების სახით და სხვ. | - შესაძლოა შეაფერხონ პროექტის განვითარება.<br>- შესაძლოა არ დაეთანხმონ კომპენსაციას და/ან განსახლების პროცესს და მოითხოვონ დიდი კომპენსაცია. | ნაწილობ-რივი ჩართულობა | საჭიროებე-ბის წინასწარ განსაზღვრა და დაკმაყოფი-ლება; |
| მუნიციპალუ რი და რეგიონული მთავრობა | - დუშეთის მუნიციპალიტეტი<br>- ყაზბეგის მუნიციპალიტეტი<br>- მცხეთა-მთიანეთის რეგიონი | - პასუხისმგებელი ადგილობრივი სოფლის განვითარებაზე. | - შესაძლოა იმოქმედოს პროექტის მხარდამჭერის როლში, მაგ. ზედამხედველობა, საჩივრების მართვა;<br>- შეუძლია ხელი შეუწყოს პროექტის შესახებ | ნაწილობ-რივი ჩართულობა | ყოველმხრი-ვი მართვა |

| ჯგუფი | დაინტერესებული მხარეები | აღწერა და ინტერესი პროექტის შემუშავებაში და მოქმედებაში | პროექტის ზეგავლენა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის ამჟამინდელი მდგომარეობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის კატეგორია |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ინფორმაციის მიწოდებას. | | |
| სახელმწიფო დაინტერესე-ბული მხარეები | - წამყვანი უწყებები და სამინისტროები | - აქვთ პირდაპირი დაინტერესება პროექტის ასპექტებით (მაგ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ბიომრავალ-ფეროვნება, სოფლის განვითარება, ტურიზმი).<br>- კანონით აქვთ მინიჭებული პროექტის სხვადასხვა ასპექტის ზედამხედველობის მანდატი. | - პროექტის განვითარებასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებები.<br>- შეუძლიათ პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა.<br>- ინფორმაციის გავრცელება. | სრული ჩართულობა | ყოველმხრი-ვი მართვა |
| არასამთავ-რობო ორგანიზა-ციები | - არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ სოფლის განვითარების და საარსებო წყაროების დივერსიფიცირების, ბიომრავალფეროვ-ნების კონსერვაციის, მმართველობითი უნარის სფეროებში.<br>- სექტორის ექსპერტები გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაში, სასოფლო დაგეგმარებასა და განვითარებაში, გეომორფოლოგიაში და ა.შ. | - დეტალურად ესმით ადგილობრივი საკითხები, თემის საჭიროებები და ადგილობრივი მმართველობა. | - შეუძლიათ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ და დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდონ პოზიტიური ან ნეგატიური ხედვა პროექტის შესახებ.<br>- შეუძლიათ პარტნიორობებისა და დახმარების შემოთავაზება განსახლების სამოქმედო გეგმის და თემის განვითარების პროგრამების განხორციელებაში.<br>- შეუძლიათ ხელი შეუწყონ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას.<br>- შეუძლიათ | ნაწილობ-რივი ჩართულობა | ყურადღების გამოჩენა |

| ჯგუფი | დაინტერესებული მხარეები | აღწერა და ინტერესი პროექტის შემუშავებაში და მოქმედებაში | პროექტის ზეგავლენა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის ამჟამინდელი მდგომარეობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის კატეგორია |
|---|---|---|---|---|---|
| | | | დახმარების გაწევა კონსულტაციების პროცესში თემების მობილიზებაში მათგან უკუკავშირის მიღების და პროექტის განხორციელებ-ისას პროექტისთვის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. | | |
| სამეცნიერო წრეები და სექტორის ექსპერტები | - სექტორის ექსპერტები გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაში, სასოფლო დაგეგმარებასა და განვითარებაში, გეომორფოლოგიაში და ა.შ. | - ინტერესი კონკრეტულ სექტორებზე პროექტით გამოწვეულ ზემოქმედებაში. | - შეუძლიათ ხელი შეუწყონ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას. | ნაწილობ-რივი ჩართულობა | ყურადღების გამოჩენა |
| საერთაშო-რისო პარტნი-ორები | - ADB, EBRD | - უზრუნველყოფენ პროექტის დაფინანსებას.<br>- აქვთ მანდატი, უზრუნველყონ, რომ სრულდებოდეს ორგანიზაციის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების ზომები.<br>- პასუხისმგებელნი არიან პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებზე. | - შეუძლიათ შეაფერხონ პროექტის განვითარება.<br>- შეუძლიათ არ გასცენ დაფინანსება.<br>- შეუძლიათ უზრუნველყონ ტექნიკური დახმარება პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ მართვასა და რისკების შერბილებაში. | სრული ჩართულობა | რეგულა-რული ინფორმი-რება |
| პრესა და მედია | - ადგილობრივი და ეროვნული მასშტაბის გაზეთები, ვებგვერდები, რადიო და ტელევიზია. | - საზოგადოების ინფორმირება პროექტთან დაკავშირებით, სხვადასხვა დაინტერესებული | - შეუძლიათ ხელი შეუწყონ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას | ნაწილობ-რივი ჩართულობა | რეგულა-რული ინფორმი-რება |

| ჯგუფი | დაინტერესებული მხარეები | აღწერა და ინტერესი პროექტის შემუშავებაში და მოქმედებაში | პროექტის ზეგავლენა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის ამჟამინდელი მდგომარეობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის კატეგორია |
|---|---|---|---|---|---|
| | | მხარისაგან შენიშვნებისა და შეხედულებების მოგროვება და გავრცელება. | საზოგადოე-ბისთვის. | | |

## 5.0 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დღემდე განხორციელებული საქმიანობა

2018 წლის აპრილიდან 2019 წლის თებერვლამდე დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის 40-ზე მეტი ღონისძიება ჩატარდა.[2] მე-3 ცხრილში შეჯამებული ღონისძიებების ორგანიზება საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოახდინა ADB-სა და EBRD-ის ექსპერტების, ასევე საკონსულტაციო კომპანიების დახმარებით. ეს იყო საზოგადოებასთან შეხვედრები, დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებში და პირისპირ შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ თემებთან, შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოებასთან და ექსპერტთა კონსულტაციები როგორც მთავრობის, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმაზე დაყრდნობით ღონისძიებები ჩატარდა ეროვნული მოთხოვნების, ასევე ADB-სა და EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად.[3]

40 ღონისძიება სამ თემას შეეხებოდა – გზშ-ს პროცესს, მიწის შეძენისა და განსახლების გეგმას და პროექტის შემოთავაზებულ ეკოტურიზმის კომპონენტს, როგორც ეს ქვემოთ არის აღნიშნული:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი (22 ღონისძიება)
  - 5 შეხვედრა საზოგადოებასთან
  - პირისპირ შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ თემებთან 5 დღის განმავლობაში
  - 2 შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან
- არასამთავრობო ოგანიზაციებთან ექსპერტთა კონსულტაციების 8 ღონისძიება
  - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ექსპერტთა კონსულტაციების 2 ღონისძიება.
- მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა (13 ღონისძიება)
  - 6 საჯარო შეხვედრა ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ თემებთან
  - 7 დისკუსია ფოკუს-ჯგუფებში ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ თემებთან
- პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის კომპონენტი (5 ღონისძიება)

[2] პროექტში ADBს ჩართვამდე (მაისი/2018), საკონსულტაციო ღონისძიებები ჩატარდა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის წინა ეტაპზე, ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლისა და დაპროექტების ეტაპებზე, მაგრამ ინფორმაციის შეზღუდული მისაწვდომობის გამო ისინი არ არის ჩართული ამ შეჯამებაში.

[3] 2019 წლის თებერვალში დასრულდა პროექტის საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის იმ სხვადასხვა აქტივობის ჩატარებას, რომლებიც არ ეხება ღონისძიებებს. მაგალითად, ცოტა ხნის წინ მომზადდა და დარიგდა ხშირად დასმული კითხვები და საინფორმაციო ფურცელი.

- 3 შეხვედრა არასამთავრობო ოგანიზაციებთან/ასოციაციებთან
- 2 შეხვედრა მუნიციპალიტეტების მერებთან - დუშეთსა და ყაზბეგში

ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების ნახევარზე მეტი გზშ-ს ეხებოდა. ამ შეხვედრებზე შეგროვდა საბაზისო გარემოსდაცვითი და სოციალური მონაცემები, საზოგადოებას გაეცნო გზშ-ს სკოპინგის ანგარიში და შემდგომი საერთაშორისო და ეროვნული გზშ-ს ანგარიშების პროექტები, ასევე მიღებული იქნა უკუკავშირი საერთაშორისო გზშ-ს დასახვეწად მის დასრულებამდე და საბოლოო სახით საზოგადოებისთვის გაცნობამდე. საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს საზოგადოებასთან ერთი შეხვედრის ჩატარებას საზოგადოებისთვის გზშ-ს სკოპინგის ანგარიშის გასაცნობად და ერთი შეხვედრისა - ეროვნული გზშ ანგარიშის გასაცნობად. პროექტმა ეს მოთხოვნა გადაჭარებით შეასრულა: ორივე ამ მოთხოვნის ფარგლებში ორ-ორი შეხვედრა ჩატარდა (მე-7, მე-8, 32-ე და 33-ე ღონისძიებები მე-3 ცხრილში).

დეტალური კონსულტაციები, რომლებიც მოითხოვება მიწის შეძენისა და განსახლების გეგმის მოსამზადებლად, კარგად მიმდინარეობს - მიწის შეძენისა და განსახლების გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით 13 ღონისძიება ჩატარდა. გარდა ამისა, უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თითოეული საოჯახო მეურნეობა მიწის შეძენისა და განსახლების გეგმის მომზადების ფარგლებში ჩართული იქნა დეტალურ აზომვით გამოკვლევაში.

პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის კომპონენტი ბოლოდროინდელი ინიციატივაა და, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობასთან საწყისი კონსულტაციების შემდეგ, ჯერ კიდევ დაგეგვის ადრეულ ეტაპზეა. ამჟამად იგეგმება კონსულტაციები ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ თემებთან ეკოტურიზმის პოტენციურ აქტივობებთან დაკავშირებით და, სავარაუდოდ, კონსულტაციები 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

საკონსულტაციო ღონისძიებების მიმდინარეობასთან ერთად პერიოდულად მომზადდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის განახლებული ანგარიშები, როგორც ეს 9.2 ქვეთავშია მითითებული.

**ცხრილი 3: დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ღონისძიებების შეჯამება (2018 წლის აპრილიდან 2019 წლის თებერვლამდე პერიოდში)**

| № | ღონისძიების ტიპი და თემა | თარიღი | ადგილი | დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პირისპირ შეხვედრები - გზშ | 4 აპრილი, 2018 | თეთრი არაგვისა და ხადისწყალის ხეობის დასახლებები | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 2 | პირისპირ შეხვედრები - გზშ | 11 აპრილი, 2018 | ნატვანი, ზაიდარა და თერგი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 3 | პირისპირ შეხვედრები - გზშ | 19 აპრილი, 2018 | წკერე, კობი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 4 | პირისპირ შეხვედრები - გზშ | 8 მაისი, 2018 | ზაქათკარი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 5 | პირისპირ შეხვედრები - გზშ | 12 მაისი, 2018 | ქვეშეთი-კობის გზის გაყოლებაზე განლაგებული | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |

| № | ღონისძიების ტიპი და თემა | თარიღი | ადგილი | დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| | | | დასახლებები | |
| 6 | საზოგადოებასთან შეხვედრა – პროექტის წარდგენა და მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 14 მაისი, 2018 | ქვეშეთი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 7 | საზოგადოებასთან შეხვედრა – გზშ-ს ფარგლებში სკოპინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება | 10 ივლისი, 2018 | ქვეშეთი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები და დაინტერესებული მხარეები |
| 8 | საზოგადოებასთან შეხვედრა – გზშ-ს ფარგლებში სკოპინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება | 10 ივლისი, 2018 | კობი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები და დაინტერესებული მხარეები |
| 9 | შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან - გზშ | 13 აგვისტო, 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსახლეობა, მთავრობის წარმომადგენლები |
| 10 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 30 აგვისტო, 2018 | ბეგონი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 11 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 30 აგვისტო, 2018 | ქვეშეთი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 12 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 31 აგვისტო, 2018 | კობი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 13 | შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოებასთან - გზშ | 4 სექტ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესები, მთავრობის წარმომადგენლები |
| 14 | შეხვედრა საზოგადოებასთან - გზის გაყვანა/ალტერნატივები/ გზშ | 7 სექტემბერი, 2018 | მლეთა | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 15 | ექსპერტებთან შეხვედრა - გზშ | 10 სექტ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |

| № | ღონისძიების ტიპი და თემა | თარიღი | ადგილი | დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| 16 | ექსპერტებთან შეხვედრა - გზშ | 10 სექტ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 17 | ექსპერტებთან შეხვედრა - გზშ | 11 სექტ. 2018 | თბილისი | ცენტრალური ხელისუფლება |
| 18 | ექსპერტებთან შეხვედრა - გზშ | 11 სექტ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 19 | საზოგადოებასთან შეხვედრა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 14 სექტ. 2018 | ბეგონი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 20 | საზოგადოებასთან შეხვედრა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 14 სექტ. 2018 | წკერე | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 21 | საზოგადოებასთან შეხვედრა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 15 სექტ. 2018 | ქვეშეთი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 22 | საზოგადოებასთან შეხვედრა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 15 სექტ. 2018 | ზაქათკარი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 23 | ექსპერტებთან შეხვედრა – გზშ, ბიომრავალფეროვნება | 26 სექტ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 24 | ექსპერტებთან შეხვედრა – გზშ, ბიომრავალფეროვნება | 26 სექტ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 25 | ექსპერტებთან შეხვედრა – გზშ, ბიომრავალფეროვნება | 26 სექტ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 26 | ექსპერტებთან შეხვედრა – გზშ, ბიომრავალფეროვნება | 28 სექტ. 2018 | თბილისი | ცენტრალური ხელისუფლება |
| 27 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 16 ოქტ. 2018 | ქვეშეთი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 28 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 16 ოქტ. 2018 | წკერე | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 29 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 16 ოქტ. 2018 | ბენიანი-ბეგონი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 30 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 17 ოქტ. 2018 | კობი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |

| № | ღონისძიების ტიპი და თემა | თარიღი | ადგილი | დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| 31 | ექსპერტებთან შეხვედრა – გზშ, ბიომრავალფეროვნება | 10 ნოემბ. 2018 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 32 | შეხვედრა საზოგადოებასთან - ეროვნული გზშ-ს გაცნობა საზოგადოებისთვის | 10 დეკემბ. 2018 | კობი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები და დაინტერესებული მხარეები |
| 33 | შეხვედრა საზოგადოებასთან - ეროვნული გზშ-ს გაცნობა საზოგადოებისთვის | 10 დეკემბ. 2018 | მლეთა | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები და დაინტერესებული მხარეები |
| 34 | საზოგადოებასთან შეხვედრა – მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა | 9 იანვ. 2019 | მლეთა | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები, მთავრობის წარმომადგენლები |
| 35 | ექსპერტებთან შეხვედრა - ეკოტურიზმი | 30 იანვ. 2019 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 36 | ექსპერტებთან შეხვედრა - გზშ | 1 თებ. 2019 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 37 | ექსპერტებთან შეხვედრა - გზშ/ეკოტურიზმი | 1 თებ. 2019 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 38 | ექსპერტებთან შეხვედრა - ეკოტურიზმი | 1 თებ. 2019 | თბილისი | არასამთავრობო ორგანიზაციები |
| 39 | შეხვედრა - ეკოტურიზმი | 4 თებ. 2019 | დუშეთი | ადგილობრივი მთავრობა (დუშეთის მერი) |
| 40 | შეხვედრა - ეკოტურიზმი | 4 თებ. 2019 | სტეფანწმინდა | ადგილობრივი მთავრობა (ყაზბეგის მერი) |

## 5.1 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დღემდე განხორციელებული საქმიანობის მიგნებები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის განხორციელებული საქმიანობის შედეგად დაინტერესებულმა მხარეებმა დაადგინეს სხვადასხვა სარგებელი, რომლებსაც ისინი ელიან პროექტიდან, მათ შორის:

- ახალი გზა უფრო უსაფრთხო იქნება;
- მგზავრობა უფრო ხანმოკლე და კომფორტული იქნება;
- გაჩნდება უფრო მეტი შესაძლებლობა ადგილობრივ მცხოვრებთათვის საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად, მაგალითად, წინდების და სხვა ნაწარმის გასაყიდად;
- გაჩნდება უფრო მეტი შესაძლებლობა ადგილობრივი სასტუმროებისა და რესტორნებისათვის;
- ტურიზმის და შემოსავლის მომტანი საქმიანობების განვითარება;
- დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის;
- სოფლებამდე მიღწევის შესაძლებლობა მთელი წლის განმავლობაში;
- უფრო მეტი ადამიანი გადაწყვეტს ამ სოფლებში მუდმივად ცხოვრებას;
- ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ბაზრებზე და სხვა შესაძლებლობებზე წვდომის გაუმჯობესება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა; და
- პროექტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სოფლებში, ზოგადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ღონისძიებების შედეგად ასევე მიღებული იქნა მნიშვნელოვანი უკუკავშირი პროექტის საკითხებთან დაკავშირებით ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემებისგან და დაინტერესებული მხარეებისგან. მე-4 ცხრილში ეს შენიშვნები გაერთიანებულია 13 ძირითადი საკითხის სახით, რომელთაგან ცხრა არაერთი კონსულტაციის განმავლობაში წამოიჭრა. ისინი მოიცავს სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს, როგორებიც არის პროექტის ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე, ასევე მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და კომპენსაციის საკითხებს.

ბოლო თვეების განმავლობაში პროექტის გუნდი მუშაობდა და გააგრძელებს მუშაობას ყველა წამოჭრილი საკითხის მოსაგვარებლად. ზოგიერთი ამ საკითხთაგან გაირკვა უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდების შედეგად (მაგალითად, საპროექტო გზის გაყვანის ალტერნატივებთან დაკავშირებით), მაშინ, როცა სხვა საკითხები დამატებით შემარბილებელ ზომებს მოითხოვს, მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის მონიტორის ჩართვას გზშ-ს შემარბილებელი ზომის სახით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე არ მოახდენს ზემოქმედებას მშენებლობა. ეს და სხვა ქმედებები მე-4 ცხრილშია შეჯამებული. დამატებითი ინფორმაციისთვის საკონსულტაციო ღონისძიებებთან, წამოჭრილ საკითხებთან და განხილულ თემებთან დაკავშირებით იხ. **დანართი „ბ“.**

**ცხრილი 4: დაინტერესებული პირებისგან დღემდე წამოჭრილი ძირითადი საკითხები და პასუხები**

| მთავარი წამოჭრილი საკითხები | შესაბამისი შეხვედრებ ი* | წამოჭრილი საკითხების ავტორები | საწყისი დაზუსტებები/პასუხები | ამოცანის საპასუხო საპროექტო ქმედებები | გარემოზე ზემოქმედების შეფასების რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|
| **1. პროექტის ზემოქმედება ისეთ კულტურულ ძეგლებზე, როგორიცაა საფლავები, მონასტრები და ეკლესიები** | 6, 7, 8, 10, 12, 13, 14, 32 | ქვეშეთის, კობის და ალმასიანის მოსახლეობა;<br><br>საქართველოს ტურიზმის ასოციაციის წარმომადგენელი | პროექტის თანახმად კულტურული ძეგლები არ დაზიანდება მშენებლობისას და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პროექტთან თანამშრომლობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. | • ინჟინერი დაიქირავებს კულტურული მემკვიდრეობის დამკვირვებელს, რომელიც ადგილზე იქნება ნიადაგის ზედა ფენის მოხსნისას და მიწის საწყისი სამუშაოების შესრულებისას იმ სენსიტიურ ადგილებში, რომლებიც მითითებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში.<br>• ვიბრაციის საგანგებო მონიტორინგი განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის დადგენილი ობიექტების მახლობლად მათი ზემოქმედებისგან დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.<br>• კულტურული ღირებულების მქონე ნივთის აღმოჩენასთან დაკავშირებული პროცედურა ჩამოყალიბებულია ყველა ტიპის კულტურულ მემკვიდრეობასთან | ფიზიკური კულტურული რესურსები პროექტის ტერიტორიაზე, დადგენილი **E.4.5 თავში - ფიზიკური კულტურული რესურსები**. ზემოქმედება ფიზიკურ კულტურულ რესურსებზე, სასაფლაოებსა და სპეციფიურ ძეგლებზე (მაგ., წმ. გიორგის ჯვარი და ჯარისკაცის ძეგლი კობის მახლობლად) განხილულია **F.8.7 თავში – ფიზიკური კულტურული რესურსები** და **F.7.5 თავში – ნარჩენების გატანა.** სამუშაოების ზედამხედველობა კულტურული მემკვიდრეობის დამკვირვებლის მიერ გათვალისწინებულია ისე, როგორც ეს მოცემულია **F.8.7 თავში – ფიზიკური** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაკავშირებით და მას განახორციელებს კონტრაქტორი. | **კულტურული რესურსები.** კულტურული ღირებულების მქონე ნივთის აღმოჩენა განხილულია **E/ დანართში.** |
| **2. პროექტით გამოწვეული ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედება საოჯახო მეურნეობებზე** | 6, 7, 11, 14, 22 | ქვეშეთის, ბედონის პლატოს სოფლების, არახვეთის, ზაქათკარისა და მლეთის მოსახლეობა | ვიბრაციის და ხმაურის ზემოქმედება და მისი შერბილების ზომები წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ნაწილს. მშენებლობით გამოწვეული ზარალის შემთხვევაში გაიცემა კომპენსაციები. მშენებლობის დაწყებამდე საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საჭიროების მიხედვით, ჩაატარებს ქონების აღწერას. | • ვიბრაცია: მშენებლობის წინა კვლევები ჩატარდება ყველა იმ საოჯახო მეურნეობასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს <50 მ-ის მანძილზე ახალი გზიდან. აღნიშნული კვლევა დაადგენს მშენებლობის მსვლელობისას ვიბრაციით გამოწვეულ პოტენციურ ზემოქმედებას.<br>• მიღებული იქნება ზემოქმედების შერბილებასთან დაკავშირებული სათანადო ზომები და, ასევე, გაიცემა შესაბამისი კომპენსაციები. კონტრაქტორი ასევე გააკონტროლებს ვიბრაციას ობეიქტზე, განსაკუთრებით ისეთ სენსიტიურ ადგილებში, სადაც შენობები ცუდ მდგომარეობაშია.<br>• ხმაური: დადგება ბარიერები | ვიბრაციის ზემოქმედება და მშენებლობის წინა კვლევების მოთხოვნები მოცემულია **F.8.6 თავში – ვიბრაცია.**<br>ხმაურის ზემოქმედების მოდელირება და შერბილება მოცემულია<br>**F.8.5 თავში – ხმაური** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროექტის სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. | |
| **3. პროექტის ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე, მრავალფეროვნებაზე** | 7, 8, 9, 13, 23, 24, 25, 26, 31, 32, 36, 37 | ქვეშეთის და კობის მოსახლეობა; მწვანე ალტერნატივის,<br><br>SABUKO-ს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, NACRES-ის, CENN-ის წარმომადგენლებ ი. | არ არის მოსალოდნელი რაიმე ზემოქმედება ისეთ დაცულ ტერიტორიებზე, როგორიცაა ყაზბეგის ეროვნული პარკი და ზურმუხტის ქსელის ობიექტი. აღინიშნა შემდგომი კვლევის საჭიროება ისეთ ფრინველთან დაკავშირებით, როგორიცაა ფასკუნჯი, და ხეჭრელის ბუჩქის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. გარემოზე პოტენციურ ზემოქმედებიდან გამომდინარე შემარბილებელი ქმედებები საპროექტო ტერიტორიაზე, ხადას ხეობის ჩათვლით, განხილულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში. | • ჩატარდა ხუთი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან (შეხვედრები 23, 24, 25, 26, 31) დამატებითი ინფორმაციის შესადგენად ტერიტორიაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შეტყობინების მიზნით.<br>• პროექტში იმუშავებს ეკოლოგიაზე პასუხისმგებელი პირი და, ასევე, ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო ექსპერტი, რომლებიც გააკონტროლებენ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ზომების და სამოქმედო გეგმის განხორციელებას.<br>• ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მთავრობასთან გაგრძელდება | დაცულ ტერიტორიებზე არსებული ცხოველებისა და ფრინველების მიგრაცია დეტალურად იქნა შესწავლილი, როგორც **E.2 თავის – მრაფალფეროვნების ანალიზის** ნაწილი, მათ შორის, ზურმუხტის ქსელის შესწავლა განხორციელდა, როგორც **E.2.2 თავის – დაცული და მნიშვნელოვანი ტერიტორიები** ნაწილი, ხოლო სპეციფიური ზემოქმედება ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი სახეობებისთვის მოცემულია **თავებში F.6.1 – ჰაბიტატი და სართო ეკოლოგიური ზემოქმედება** და **F.6.2 – მნიშვნელოვანი სახეობები** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროექტის განხორციელების პერიოდში. | |
| **4. პროექტის ნარჩენების გატანა** | 7, 8, 12, 13, 14, 33 | ქვეშეთის, კობის, ალმასიანის, მლეთის და არახვეთის მოსახლეობა; საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგე-ნელი | კონტრაქტორი ვალდებულია განახორციელოს ნარჩენების სათანადო მართვა საქართველოს კანონმდებლობის და გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში მოცემული ნარჩენების მართვის შესაბამისად. ნაგავსაყრელების ადგილები მითითებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში, თუმცა საბოლოოდ განისაზღვრება კონტრაქტორის მიერ. ნაგავსაყრელები პოტენციურად შეიძლება გამოყენებული იქნეს თემის სამშენებლო მიზნებისთვის, მაგალითად, მანქანების დაგომების მოსაწყობად მომავალში. | • პროექტის გუნდი ადასტურებს, რომ ყველა ნაგავსაყრელი განლაგდება საკმაო მანძილზე ყაზბეგის ეროვნული პარკის საზღვრებიდან.<br>• პროექტის გუნდმა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტთან ერთად განიხილა, სად შეიძლება ნარჩენების, როგორც კობის განვითარების გეგმის ნაწილის, გამოყენება თემის ან მუნიციპალიტეტის მიზნებისთვის.<br>• პროექტის გუნდი აცხადებს, რომ ნარჩენების გატანა არ იქონიებს რაიმე ზემოქმედებას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. | გარემოზე ზემოქმედების შეფასების **B თავში** განხილულია ნაგავსაყრელების მოსაწყობად შემოთავაზებული ადგილები. **F.7.5 თავში – ნარჩენი მასალები** განხილულია სპეციფიური ზემოქმედება და მისი შერბილება ნარჩენების გატანასთან დაკავშირებით და ნაგავსაყრელების პოტენციური გამოყენების შესაძლებლობა მანქანების საგომებისთვის, კაფეებისთვის, ბაზრის დახლებისთვის. ნარჩენების მართვის საკითხები განხილულია **F.7.6 თავში – ნარჩენების მართვა** |
| **5. პროექტის ზემოქმედება პოტენციურად** | 6, 7, 10, 11, 14, 19, | ქვეშეთის, არახვეთის, ხადის და წკერეს | აშენდება ახალი გზები სატრანსპორტო საშუალებებისთვის, | • კონსულტაციების შედეგად პროექტში ჩართული იქნა დამატებითი მიწისქვეშა | მისასვლელი გზები ფართოდაა განხილული **B.5.4 თავში,** ხოლო მათი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემების გზებსა და სხვა მისასვლელ საშუალებებზე** | 22 | მოსახლეობა | გადასასვლელები, მიწისქვეშა გზები, ფეხით მოსიარულეთა სავალი ბილიკები - მოძრაობა არ შეკავდება და თემებისა და, ასევე, პირუტყვის გადადენის სამოძრაო გზები შენარჩუნდება ან გაუმჯობესდება. | გადასასვლელები, ხოლო ბედონის მისასვლელი გზა გადალაგდება ისე, რომ იგი არ გაივლის სოფელში.<br>• გვირაბის მონაკვეთი წვერესთან დაგრძელდება ფეხით მოსიარულეებისთვის სასაფლაოზე მისასვლელი გზის შენარჩუნების მიზნით. | ზემოქმედება შეფასებულია **F.7.9 თავში – მისვლის შესაძლებლობა და მისასვლელი გზები.** მიწისქვეშა გადასასვლელები განხილულია **B.4.3 თავში.** |
| **6. პროექტის ზემოქმედება კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე** | 8, 10, 12, 13, 32 | კობის, ალმასიანის, ბედონის პლატოს სოფლების, არახვეთის, ქვეშეთის მოსახლეობა; საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგე-ნელი | კობის გაზის მილსადენი არ იქნება გადატანილი. | | კომუნალური ინფრასტრუქტურის მართვა პროექტის<br>**F.7.2 თავში – სოციალური ინფრასტრუქტურა** მოცემული ზომების მიხედვით. |
| **7. არასაკმარისი ინფორმაცია საწყისი რესურსების და პროექტის ალტერნატივების განხილვის შესახებ** | 7, 9, 11, 13, 14, 21, 32, 33, 36, | არახვეთის, ქვეშეთის, მლეთის მოსახლეობა; მწვანე ალტერნატივის | საავტომობილო გზების დეპარტამენტი ეთანხმება იმ აზრს, რომ საჯარო კონსულტაციები უნდა ჩატარებულიყო ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და | • მე-9 და შემდგომი კონსულტაციებისას საავტომობილო გზების დეპარტამენტმა წარმოადგინა უფრო ფართო ინფორმაცია გზის მოწყობის შერჩევის და | ალტერნატივები დეტალურადაა განხილული **C თავში - ალტერნატივები.** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | და<br><br>GeoGraphic-ის, SABUKO-ს, CENN-ის წარმომადგენ-ლები და ინდივიდუალურ ი აქტივისტები | პროექტის შედგენის ეტაპებზე. მითითებული ცხრა ალტერნატივა შეფასდა დეტალურად და მეტი ინფორმაცია მოწოდებული იქნება გარემოზე პროექტის ზემოქმედების სკოპინგის საბოლოო შეფასების ანგარიშსა და გარემოზე ზემოქმედების საბოლოო შეფასებაში. გეოლოგიური პირობები და გეომეტრიული მრუდები მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია საპროექტო გზის მოწყობის. არსებული გზის გაუმჯობესება მოთხოვნების მიხედვით ჩაითვალა შეუძლებლად. | ალტერნატივების შესახებ.<br>• განმტკიცდა გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სადაც უნდა შევიდეს შემოთავაზებული საბოლოო მარშრუტის დასაბუთება და მეტი მონაცემები, შეგროვებული იმასთან დაკავშირებით, თუ რატომაა შეუძლებელი არსებული გზის ან არსებული დერეფნის გამოყენება. | |
| **8. მიწის რეგისტრირებასთან დაკავშირებული სირთულეები** | 6, 8, 10, 14, 9, 33, 34 | არახვეთის, ქვეშეთის, კობის, ბენიანის, ბედონის პლატოს სოფლების, წკერეს, მლეთის მოსახლეობა | საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ინდივიდუალურ საოჯახო მეურეობებს შესთავაზა დახმარება რეგისტრირების პროცესში. | • საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მიწის რეგისტრირების კომიტეტი ერთად მუშაობენ მოსახლეობასთან თითოეულ ისეთ შემთხვევაზე, სადაც მიწის რეგისტრირებასთან დაკავშირებით წარმოიშვა სირთულეები. თითოეული შემთხვევა ღიაა ხელახალი წარდგენისთვის და შემდგომი ანალიზისთვის. | მიწაზე მფლობელობის რეგისტრირება ჩართულია **F.7.4 თავში - მიწათსარგებლობა და ბუნებრივი რესურსები**<br><br>(*მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა დაწვრილებით ფარავს ამ საკითხს*) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **9. ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი საოჯახო მეურნეობების კომპენსაციის საკითხის განმარტება** | 6, 7, 12, 19, 20, 21, 22 | ქვეშეთის, წკერეს, ზენიანის, ზედონის, არახვეთის მოსახლეობა | მიწის შეძენისა და განსახლების პროცესი განიხილავს არსებულ მდგომარეობას და შესაბამისობაში იქნება აზიის განვითარების ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სახელმძღვანელო მითითებებთან. ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი საოჯახო მეურნეობების შეფასება მიმდინარეობს კერძო კონსულტაციების გზით. | • ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ პირებს განუმარტეს კომპენსაციების საკითხი, რომელიც განხორციელდება მიწის შეძენის და განსახლების გეგმის მიხედვით, და, ასევე, შემდგომი ხელშეწყობის გზები; საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მიწის საკუთრების აღიარების კომიტეტი მუშაობენ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ პირებთან, რომლებსაც არა აქვთ სრული დოკუმენტაცია, რათა შემდგომში ჰქონდეთ პრეტენზიის წარმოდგენის საფუძველი. | კომპენსაციის საკითხი ჩართულია **F.7.4 თავში - მიწათმოხმარება და ბუნებრივი რესურსები**<br><br>(*მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა დაწვრილებით ფარავს ამ საკითხს*) |
| **10. პროექტის ზემოქმედება ეკოტურიზმზე ხადას ხეობაში** | 9 | ადგილობრივი აქტივისტი | | • შედეგად ჩატარდა ეკოტურიზმთან დაკავშირებული ექვსი საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან (შეხვედრა # 34), ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან: CENN, SABUKO, WWF (36, 37, 38) და დუშეთისა და | ადგილობრივი საარსებო პირობების შემსუბუქება ჩართულია **F.7.1 თავში - ზემოქმედება ადგილობრივ ეკონომიკასა და საარსებო პირობებზე** და **Z დანართში** ვიზიტორთა ცენტრის შემოთავაზებული კონცეფცია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ყაზბეგის მერებთან (შეხვედრები 26 და 27). მიღწეული იქნა ფართო კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ ხადას ხეობას აქვს ეკოტურიზმის განვითარების დიდი შესაძლებლობები, რომლის მხარდაჭერაც პოტენციურად შეუძლია პროექტს. აღნიშნულის შედეგად იგეგმება პროექტის ეკოტურიზმის კომპონენტი და ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები. | |
| **11. სამშენებლო ბანაკებით გამოწვეული ზემოქმედება** | 13 | საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგე-ნელი | კონტრაქტორს აქვს უფლება, განსაზღვროს სამშენებლო ბანაკების განთავსების ადგილი. | • გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის ვალდებულებაა სამშენებლო ბანაკების განთავსება >500 მ-ის მანძილზე საცხოვრებელი ადგილებიდან. | სამშენებლო ბანაკის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული მართვის და მასთან დაკავშირებული შერბილების ზომები<br>მოცემულია **F.7.8 თავში – სამშენებლო ბანაკები, ასფალტის საწარმოები, ბეტონის შემადგენლობის შემრჩევი საწარმოები და დროებითი ნაგებობები.** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **12. პროექტში დასაქმების შესაძლებლობები ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემებისთვის** | 6 | | ადგილობრივ მოსახლეობას მიენიჭება უპირატესობა პროექტში დასაქმებაში. | • ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნები ჩართულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში, დაახლოებით, 70% მუშახელისა იქნება ადგილობრივი. | ადგილობრივი მუშახელის გამოყენების პირობები მოცემულია **F.8.2 თავში – მშრომელთა უფლებები და შრომის დაცვა.** |
| **13. გზის უსაფრთხოება მოსწავლეთათვის** | 11 | ბედონის პლატოს სოფლების მოსახლეობა | არ განიხილება (განხილვა ფოკუს-ჯგუფებში) | • გზის პროექტში მოცემულია გვირაბის მონაკვეთი ბედონში, რაც ამცირებს ადგილობრივი ბავშვებისა და მოსახლეობის საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებულ რისკებს.<br>• კონტრაქტორი ჩაატარებს საგზაო უსაფრთოებასთან დაკავშირებულ შეხვედრებს პროექტის ტერიტორიაზე არსებული სკოლებისთვის. | გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში მოცემულია საგანგებო რეკომენდაციები კონტრაქტორისთვის, რომ მან უნდა ჩაატაროს საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეხვედრები პროექტის ტერიტორიაზე არსებული სკოლებისთვის<br>**– დანართი A – გარემოსდაცვითი მართვის გეგმა.** |

*შეხვედრების ნომრები შეესაბამება მე-3 ცხრილში მოცემულ დანომრვას.

# 6.0 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამა

## 6.1 ჩართვის ზოგადი პრინციპები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობები შემდეგი პრინციპების მიხედვით წარიმართება:

- საჯარო შენიშვნებისთვის გამოტანილი დოკუმენტების შინაარსი უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ და ადეკვატურ ინფორმაციას პროექტის შესახებ და არ წარმოშობს უსაფუძვლო შიშს (პოტენციურად უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით) ან მოლოდინს (პოტენციურად დადებით ზემოქმედებასთან დაკავშირებით, როგორიცაა, მაგალითად, სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.);
- წერილობით ინფორმაციასთან ერთად მოცემული იქნება ვიზუალური ილუსტრაციები და განმარტებები, აუცილებელი პროექტის გაგებისთვის;
- ინფორმაცია დაინტერესებული მხარეებისთვის მიწოდებული იქნება ქართულ ენაზე და მისაღები გზით, მოწყვლადი ადამიანების გათვალისწინებით;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან, აზიის განვითარების ბანკისგან და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან მისაღები დოკუმენტები წარმოდგენილი იქნება ქართულად ან ინგლისურად ან, საჭიროების შემთხვევაში, ორივე ენაზე;
- თუ წარმოიქმნება რაიმე მნიშვნელოვანი საკითხები რაიმე კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით, შეიძლება შემოთავაზებული იქნეს სემინარები ტექნიკური პროცესების, ტექნიკის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის ზომების განმარტებასთან დაკავშირებით შედეგების შემოწმების და შესაბამის შემარბილებელი ზომების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით; და
- მიღებული იქნება ყველა ზომა იმისათვის, რომ განმარტებული იქნეს არა მხოლოდ შემოთავაზებული პროექტი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი, არამედ ასევე დაკავშირებული ადგილობრივი კანონები და კანონდმებლობბები, საერთაშორისო პრინციპები და სტანდარტები და თუ როგორ განახორციელებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მათთან შესაბამისობას.

აზიის განვითარების ბანკი მოწოდებულია იმისათვის, რომ ღრმად გაზრებული საკონსულტაციო პროცესი გადაიყვანოს პრაქტიკაში. ღრმად გააზრებული კონსულტაცია ეს არის პროცესი, რომელიც:

(i) იწყება ადრე, პროექტის მომზადების საფეხურზე, და მიმდინარეობს უწყვეტად პროექტის ციკლის განმავლობაში;

(ii) უზრუნველყოფს ისეთი სათანადო და ადეკვატური ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც გასაგები და თავისუფლად ხელმისაწვდომია ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანებისთვის;

(iii) განხორციელებულია მუქარის ან იძულებისგან თავისუფალ ატმოსფეროში;

(iv) ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს და არის გენდერულად სენსიტიური და მორგებული მძიმე მდგომარეობაში მყოფი და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე; და

(v) იძლევა ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების და სხვა დაინტერესებული მხარეების ყველა აზრის ჩართვის საშუალებას ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა პროექტის სტრუქტურა, შემარბილებელი ზომები, განვითარების სარგებლის და შესაძლებლობების გაზიარება და განხორციელების საკითხები.

### მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა

მოწყვლადი ჯგუფები შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანები, რომლებიც გამომდინარე სქესიდან, ეთნიკურობიდან, ასაკიდან, ფიზიკური ან გონებრივი შეზღუდულობიდან, ეკონომიკური მოწყვლადობიდან ან სოციალური სტატუსიდან შეიძლება განიცდიდნენ უფრო განსხვავებულ ან

სპეციფიურ ზემოქმედებას პროექტის შედეგად, ვიდრე სხვები. საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობები ხელმისაწვდომი გახდეს მოწყვლადი ჯგუფებისთვის და ხელს შეუწყობს ჩართულობის მიზანმიმართულ აქტივობებს, მიმართულს მოწყვლად ჯგუფებზე, როგორც ამას მოითხოვს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამოქმედო მოთხოვნა 10.

ქვემოთ მოყვანილი ზომები განხორციელდება იმისათვის, რომ გაფართოვდეს მოწყვლადი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობა მიიღონ ღრმად გააზრებული მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა და პროექტის განვითარების პროცესში:

- მოწყვლადი ჯგუფები დადგინდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების და მიწის შეძენისა და განსახლების გეგმის შედგენის პროცესების განმავლობაში, რაც განხორციელდება თემის კვლევის საფუძველზე საქართველოს მთავრობისგან სტატისტიკური ინფორმაციის დაზუსტების მიზნით;
- რეგულარული დიალოგის საფუძველზე თემის წარმომადგენლებთან საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს მძიმე მდგომარეობაში მყოფი და მოწყვლადი ადამიანების და ამგვარ ადამიანთა ჯგუფების დადგენას და ჩართვას დაინტერესებულ მხარეთა რეესტრში; და
- პროექტის თანამშრომლები დაადგენენ კონსულტაციასთან დაკავშირებულ იმ მიდგომებს და საქმიანობებს, რომლებიც ხელს შეწყობენ მოწყვლადი ადამიანების რეალურ ჩართვას. აღნიშნულ პროცესს შეიძლება დახმარება გაუწიოს ღია (შეხვედრები თემის მასშტაბით) და სელექტიურმა მეთოდებმა (მიზნობრივი ჩართვა):
  - ტრანსპორტით გადაყვანა შეხვედრის ადგილამდე;
  - ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობების ჩატარება ცენტრალურ, ადვილად მისადგომ ადგილებში ან რაიმე შერჩეულ ადგილებში სამგზავრო მანძილის შემცირების მიზნით;
  - რეგულარული ინდივიდუალური შეხვედრები მოწყვლად საოჯახო მეურნეობებთან, სადაც ადამიანებმა ან ოჯახებმა არ იციან ქართული, თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა შეხვედრებზე;
  - უზრუნველყოფა იმისა, რომ მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი იყოს თავისი აზრის მიწოდების მეთოდები საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის და ინფორმაციის მიღება ისე, რომ არ იყოს ამისათვის საჭირო მგზავრობა.
- ჩართვის მეთოდების ეფექტიანობის შეფასების კონტროლი მოხდება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა იმ მოწყვლადი ადამიანების/ჯგუფების რაოდენობის დადგენა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ან ესწრებიან ჩართვასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

### ჩართვის მეთოდები

პროექტის განმავლობაში გამოყენებული იქნება ჩართვის სხვადასხვა მეთოდი იმ დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებით ან ჩართვის მიზნით, რომლებიც ნამდვილად დაინტერესებულნი არიან პროექტით. გამოსაყენებელი მეთოდების დაწვრილებითი აღწერა მოცემულია **C დანართში.**

## 6.2 აქტივობების განხორციელება

ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობები განხორციელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის განმავლობაში და მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზაში. ჩართვის სიხშირე, მოცულობა და მეთოდი იქნება ცვალდებადი გამომდინარე პროექტის საფეხურიდან, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართვასთან დაკავშირებული პროგრამის განხორციელების ძირითადი როლები და პასუხისმგებლობები აღწერილია ქვემოთ მე-8 თავში.

დაინტერესებული მხარეების ჩართვასთან დაკავშირებული პროგრამა მოიცავს პროექტის შემდეგ ფაზებსა და ქვე-ფაზებს:

- მშენებლობის წინა ფაზა
  - სკოპინგის განსაზღვრის ფაზა
  - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ფაზა
  - გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელების ფაზა
- მშენებლობის ფაზა
- ექსპლუატაციის ფაზა

პროგრამის თითოეული ფაზის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები მოცემულია მე-2 სურათზე და აღწერილია თავებში ქვემოთ.

**მშენებლობის წინა ეტაპი**

**სკოპინგის ეტაპი**

აქტივობები:

- მასშტაბის განსაზღვრის შესახებ ანგარიშის გამოცემა და გავრცელება (15 დღე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად);
- საჯარო კონსულტაცია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად;
- ჩართვასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები მასშტაბის განსაზღვრის და გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისას.

**გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება**

აქტივობები:

- საბაზისო ინფორმაციის შეგროვება და საპროექტო ინფორმაციის წინასწარი გავრცელება ფოკუს-ჯგუფებში განხილვის, პირისპირ გასაუბრების, ძირითადი საინფორმაციო ინტერვიუების დახმარებით;
- საჯარო შეხვედრები გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით;
- ჩართულობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები, ჩატარებული მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

**გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გავრცელება**

აქტივობები:

- გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, განსახლების სამოქმედო გეგმის პროექტის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის გამოცემა და გავრცელება;
- საჯარო კონსულტაცია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად;
- ჩართვასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები, ჩატარებული მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით.

მიზნობრივი დაინტერესებული მხარეები: ყველა, განსაკუთრებული ყურადღებით უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ დაინტერესებულ მხარეებსა და მოწყვლად ჯგუფებზე.

**გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დამტკიცება**

**მშენებლობის ეტაპი**

აქტივობები:

- საჯარო შეხვედრები (სულ ცოტა ერთი სამშენებლო საქმიანობების დაწყებამდე და ერთი ყოველწლიურად;
- არაოფიციალური შეხვედრები;
- ბიულეტენები და გამოქვეყნება ინტერნეტში (ბიულეტენები, სულ მცირე, ერთი ყოველ სამ თვეში);
- ჯგუფური შეხვედრები თემის წევრებთან (მოთხოვნის მიხედვით);
- ღია კარის დღეები (მოთხოვნის მიხედვით);
- გარე ანგარიშის გამოქვეყნება (სულ ცოტა, ყოველწლიურად);

მიზნობრივი დაინტერესებული მხარეები: ყველა, განსაკუთრებული ყურადღებით უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ დაინტერესებულ მხარეებსა და მოწყვლად ჯგუფებზე.

**ექსპლუატაციის ეტაპი**

აქტივობები:

- საჯარო შეხვედრები (სულ ცოტა ერთი პროექტის გახსნამდე, ერთი - ექვსი თვის შემდეგ, ერთი - ერთი წლის შემდეგ, ხოლო დამატებითი შეხვედრები დაინიშნება მოთხოვნის მიხედვით;
- არაოფიციალური შეხვედრები;
- ბიულეტენები და გამოქვეყნება ინტერნეტში (ბიულეტენები, სულ ცოტა, სამჯერ პროექტის გახსნის შემდეგ, ხოლო

| |
|---|
| შემდგომში - მოთხოვნის მიხედვით);<br>• ჯგუფური შეხვედრები (მოთხოვნის მიხედვით);<br>• გარე ანგარიშის გამოქვეყნება (სულ მცირე, ყოველწლიურად). |

**სურათი 2: პროგრამის აქტივობათა დიაგრამა**

### 6.2.1 დოკუმენტების გავრცელება

მე-5 ცხრილში მოცემულია ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა გავრცელდეს პროექტის თითოეულ ფაზაში, და მათი გავრცელების მეთოდები.

**ცხრილი 5: ჩართვის ფაზებში გასავრცელებელი დოკუმენტები**

| პროექტის ფაზა | დოკუმენტის გავრცელება | გავრცელების მეთოდები |
|---|---|---|
| მშენებლობის წინა: სკოპინგის განსაზღვრის ფაზა | ▪ ანგარიში სკოპინგის განსაზღვრის შესახებ | ელექტრონული ვერსიის ატვირთვა შემდეგ ვებ-გვერდებზე:<br>▪ საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge/?lang=geo) |
| მშენებლობის წინა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ქვეყანაში გავრცელების ფაზა | ▪ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული ანგარიში, რომელიც მოიცავს არატექნიკურ მოკლე შინაარსს და გარემოს და სოციალური მართვის გეგმას | ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:<br>▪ გარემოს დაცვის სამინისტრო (http://www.moe.gov.ge/en/home)<br>▪ საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge/?lang=geo)<br>ნაბეჭდი ვერსია ხელმისაწვდომი იქნება:<br>▪ ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების სათავო ოფისებში<br>ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ მოთხოვნის საფუძველზე:<br>▪ სოფლის წარმომადგენლებისთვის<br>▪ საჯარო შეხვედრებისას<br>გარდა ამისა, ხშირად დასმული კითხვები და პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი ხელმისაწვდომი იქნება ციფრულად და ნაბეჭდი სახით ქართულ ენაზე. |
| მშენებლობის წინა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების საერთაშორისოდ გავრცელების ფაზა | ▪ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საერთაშორისო ანგარიში, რომელიც მოიცავს არატექნიკურ მოკლე შინაარსს და გარემოს და სოციალური მართვის გეგმას;<br>▪ განსახლების ჩარჩო;<br>▪ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა. | ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:<br>▪ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი - 120 დღის განმავლობაში (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში) (https://www.ebrd.com/esia.html)<br>▪ აზიის განვითარების ბანკი - 120 |

| პროექტის ფაზა | დოკუმენტის გავრცელება | გავრცელების მეთოდები |
|---|---|---|
| | გარდა ამისა, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი გაავრცელებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმას. | დღის განმავლობაში (https://www.adb.org/projects/51257-002/main#project-documents) |
| პროექტის მშენებლობა | ■ მიწის შეძენისა და განსახლების გეგმა;<br>■ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის სულ ბოლო განახლებული ვერსია;<br>■ ბიულეტენები და განცხადებები ინტერნეტში;<br>■ გარე ანგარიშები, როგორც ეს აღწერილია თავში **Error! Reference source not found.**;<br>■ ბიულეტენები და განცხადებები ინტერნეტში;<br>■ სათემო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). | ყველა დოკუმენტის ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:<br>■ საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge/?lang=geo)<br>ყველა დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია მიეწოდება ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ და/ან წარმომადგენელ ორგანოს. გარდა ამისა, ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ მოთხოვნის საფუძველზე და შეხვედრების განმავლობაში.<br>ბიულეტენები და ანგარიშები ხელმისაწვდომი იქნება ყველა ჩართული დაინტერესებული მხარისთვის (ელექტრონული ფოსტით/ „პროექტის მაგიდებზე" მუნიციპალიტეტებში და სხვა საშუალებებით). |
| პროექტის მუშაობა | ■ გარე ანგარიშები, როგორც ეს აღწერილია თავში **Error! Reference source not found.**;<br>■ ბიულეტენები და განცხადებები ინტერნეტში;<br>■ სათემო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). | ყველა დოკუმენტის ელექტრონული ვერსია აიტვირთება შემდეგ ვებ-გვერდებზე:<br>■ საავტომობილო გზების დეპარტამენტი (http://www.georoad.ge/?lang=geo)<br>ყველა დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია მიეწოდება ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ და/ან წარმომადგენელ ორგანოს. გარდა ამისა, ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება უფასოდ მოთხოვნის საფუძველზე და შეხვედრების განმავლობაში.<br>ბიულეტენები და ანგარიშები ხელმისაწვდომი იქნება ყველა |

| პროექტის ფაზა | დოკუმენტის გავრცელება | გავრცელების მეთოდები |
|---|---|---|
| | | ჩართული დაინტერესებული მხარისთვის ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. |

## 6.2.2 მშენებლობის წინა ფაზა

### 6.2.2.1 სკოპინგის ფაზა

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, სკოპინგის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, ორი საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა გარემოს დაცვის სამინისტროში ანგარიშის შედეგების გაცნობის და დაინტერესებული მხარეების აზრის გაგების მიზნით. პირველი შეხვედრა გაიმართა 2018 წლის 10 ივლისს დილით სოფ. ქვეშეთის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ადმინისტრაციულ შენობაში.

მეორე შეხვედრა შედგა 2018 წლის 10 ივლისს შუადღისით სოფ. კობის (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) ადმინისტრაციულ შენობაში. შემგომი ინფორმაცია აღნიშნული შეხვედრების შესახებ მოცემულია მე-4 ცხრილში.

### 6.2.2.2 გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ფაზა

გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ფაზის განმავლობაში დაინტერესებული მხარეების ჩართვა მნიშვნელოვანია საბაზისო ინფორმაციის შეგროვების, დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის, პოტენციური ზემოქმედების და შერბილების ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და ასევე პროექტის შესახებ მათი აზრის და შეშფოთების გაგების მიზნით. პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გარდა, ამ ფაზის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების მიზანს წარმოადგენს ზემოქმედების შეფასების სრულფასოვანი ანგარიშის მომზადება, რომელიც დაეფუძნება საწყის ინფორმაციას და რომელშიც განხილული იქნება ადგილობრივი თემის მიერ გამოხატული შეშფოთება.

ამ ფაზის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების გეგმა მოცემულია მე-4 ცხრილში.

### 6.2.2.3 გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელების ფაზა

დაინტერესებულ პირთა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფაზაში ჩართვის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ზემოქმედების შეფასების შედეგების და მასთან დაკავშირებული მართვის გეგმების შესახებ. საჯარო შეხვედრები გარემოზე ზემოქმედების ადგილობრივი შეფასების გავრცელებასთან დაკავშირებით, როგორც ამას მოითხოვდა საქართველოს კანონმდებლობა, ჩატარდა 2018 წლის 10 დეკემბერს კობსა და მლეთაში, როგორც ეს მითითებულია მე-3 ცხრილში. ჩართვა ამ ფაზის განმავლობაში განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის, აზიის განვითარების ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოთხოვნათა დაცვით, როგორც ეს აღწერილია მე-3 თავში.

ამ ფაზის განმავლობაში დაინტერესებული მხარეები ინფორმირებულნი იქნენ საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის და საჩივრის შეტანის პროცედურის შესახებ.

გარემოზე ზემოქმედების გავრცელების ფაზის განმავლობაში განხორციელებული ძირითადი აქტივობები მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

**ცხრილი 6: ჩართვის აქტივობების პროგრამა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელების ფაზის განმავლობაში**

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| ყველა დაინტერესეული მხარე | ღია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად | გარემოზე ზემოქმედების ეროვნული შეფასების გავრცელება | ჩატარდა 2018 წლის 10 დეკემბერს კობსა და მლეთაში |
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების დახმარებით დადგენილი მოწყვლადი საოჯახო მეურნეობები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება საჯარო შეხვედრებში | პირისპირ გასაუბრება საჭიროების მიხედვით | გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელება, აქცენტით ზემოქმედებაზე საოჯახო მეურნეობებზე და ზემოქმედების შერბილების ზომების დადგენაზე | მალევე პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ / ერთხელ თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე საჭიროების მიხედვით |
| გარემოთი დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი, ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდი, CENN და სხვა | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური ინტერვიუ | გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელება, აქცენტით გარემოს დაცვის საკითხებზე და შერბილების სათანადო ზომების დადგენაზე. | მალევე პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ / ერთხელ, დამატებითი შეხვედრები საჭიროების მიხედვით |
| ტურიზმის, ბიზნესის და ადგილობრივი განვითარებით დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური ინტერვიუ | გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელება, აქცენტით ადგილობრივი განვითარების შესაძლებლობებზე და გაფართოების სათანადო ზომების დადგენაზე | მალევე პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ / ერთხელ, დამატებითი შეხვედრები საჭიროების მიხედვით |
| ყველა დაინტერესებული მხარე, რომელმაც ჩართვის წინა აქტივობებისას გამოხატა | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური | გარემოზე ზემოქმედების შეფასების გავრცელება, აქცენტით გარემოს | მალევე პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ / ერთხელ, |

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| შემდგომ კონსულტაციებში მონაწილეობის სურვილი | ინტერვიუ | დაცვის საკითხებზე და შერბილების სათანადო ზომების დადგენაზე. | დამატებითი შეხვედრები საჭიროების მიხედვით |

### 6.2.3 მშენებლობის ფაზა

ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშენებლობის წინა და მშენებლობის ფაზის განმავლობაში, რადგან ეს ის ფაზაა, როცა ზემოქმედება მიაღწევს პიკს და, აქედან გამომდინარე, ჩართვის გამაფრთხილებელი საკომუნიკაციო არხი დაინტერესებულ მხარეებთან გახსნილი უნდა იქნეს. ჩართვა გაგრძელდება ამ ფაზის განმავლობაში პერიოდული აქტივობებით და რეგულარული ინტერვალებით, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში ქვემოთ:

ცხრილი 7: პროექტის მშენებლობის ფაზის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივოებების პროგრამა

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| ყველა დაინტერესებული მხარე, საგანგებო პირობები შეიქმნება მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობისთვის | ღია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა | აქტივობების და განრიგის აღწერა, დაპროექტების, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორის წარდგენა, აქტივობების მიმდინარეობის და მონიტორნგთან დაკავშირებული ზომების შეტყობინება. ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ასპექტების და ავარიული გეგმების შეტყობინება უზრუნველყოფილი იქნება მშენებლობის ფაზის განმავლობაში. | ერთხელ თითოეული ლოტის სამშენებლო აქტივობების დაწყებამდე. ჩატარდება დამატებითი საჯარო კონსულტაციები, თუ დადგინდება ამის საჭიროება. თუ ეს შესაძლებელი იქნება, საკონსულტაციო შეხვედრები უნდა ჩატარდეს გაზაფხულის/ ზაფხულის თვეებში, როცა სახეზეა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. |
| მოწყვლადი ჯგუფები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი სხვა ჯგუფები | პერიოდული შეხვედრები | პროექტის აქტივობების და მონიტორინგის მიმდინარეობის შეტყობინება | განისაზღვრება საჭიროების მიხედვით |
| დუშეთის და ყაზბეგის გამგებლები | პერიოდული შეხვედრები | პროექტის აქტივობების და მონიტორინგის მიმდინარეობის შეტყობინება | განისაზღვრება საჭიროების მიხედვით, კერძოდ, ყოველკვარტალურად |
| გარემოთი დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი, ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდი, CENN და სხვ. | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური ინტერვიუ | პროექტის აქტივობების და მონიტორინგის მიმდინარეობის შეტყობინება | მალევე სამშენებლო აქტიოვების დაწყების შემდეგ და, სულ ცოტა, ყოველწლიურად |

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| ტურიზმის, ბიზნესის და ადგილობრივი განვითარებით დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური ინტერვიუ | პროექტის აქტივობების და მონიტორინგის მიმდინარეობის შეტყობინება | მალევე სამშენებლო აქტიოვების დაწყების შემდეგ და, სულ ცოტა, ყოველწლიურად |
| ყველა დაინტერესებული მხარე, რომელმაც ჩართვის წინა აქტივობებისას გამოხატა შემდგომ კონსულტაციებში მონაწილეობის სურვილი | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური ინტერვიუ | პროექტის აქტივობების და მონიტორინგის მიმდინარეობის შეტყობინება | მალევე სამშენებლო აქტიოვების დაწყების შემდეგ და, სულ ცოტა, ყოველწლიურად |
| დაინტერესებული მხარეები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტექნიკური ასპექტებით (სტუდენტები, უნივერსიტეტები, პროფესიონალთა ასოციაციბი და სხვა) | ღია კარის დღეები | შესაძლებლობა დაინახო საკუთარი თვალით, თუ როგორ ხორციელდება სამშენებლო აქტივობები და რა ტექნიკები გამოიყენება (განსაკუთრებით გვირაბის მშენებლობისთვის). | განისაზღვრება საჭიროების მიხედვით, კერძოდ,ყოველ სემესტრში |
| ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩართვაში და რომლებიც იმყოფებიან საკონტაქტო სიაში | ბიულეტენი და განცხადება ინტერნეტში | რეგულარული შეტყობინება აქტივობების მიმდინარეობის, განრიგის ცვლილების, მონიტორინგის აქტივოებების და საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის შესახებ. ბიულეტენი გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდოს იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ელექტრონული ფოსტა; გარდა ამისა, აიტვირთოს საავტომობილო გზების | ბიულეტენები გამოიცემა ყოველ სამ თვეში, განცხადება ინტერნეტში განთავსდება საჭიროების მიხედვით, როცა სასურველია ახალი ამბების გაზიარება |

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| | | დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. | |
| ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩართვაში და რომლებიც იმყოფებიან საკონტაქტო სიაში | გარე ანგარიშები, როგორც ეს აღწერილია თავში **Error! Reference source not found.** | რეგულარული შეტყობინება აქტივობების მიმდინარეობის, განრიგის ცვლილების, მონიტორინგის აქტივობების შესახებ. გარე ანგარიში გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდოს იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ელექტრონული ფოსტა; გარდა ამისა, აიტვირთოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. | ყოველ ექვს თვეში ერთხელ |

### 6.2.4 ექსპლუატაციის ფაზა

ექაპლუატაციის ფაზის განმავლობაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა მნიშვნელოვანი იქნება, განსაკუთრებით ორწლიანი საგარანტიო ვალდებულებების პერიოდის განმავლობაში გზის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ. ეს ის პერიოდია, როცა დაინტერესებული მხარეები დაიწყებენ ზემოქმედების აღქმას და როცა შეიძლება გაჩნდეს შეშფოთების რაიმე საფუძველი. თუ ერთი წლის შემდეგ არ წარმოიშვება რაიმე კონკრეტული პრობლემა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვასთან დაკავშირებული აქტივობები შეიძლება შემცირდეს, თუმცა, სულ ცოტა, ერთი ანგარიში უნდა გამოიცეს ყოველწლიურად, ხოლო დაინტერესებულმა მხარეებმა ყოველთვის უნდა მიიღონ ინფორმაცია იმ საკონტაქტო პირის შესახებ, რომლის დახმარებითაც ისინი შეძლებენ დაკავშირებას საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

ექსპლუატაციის ფაზის ძირითადი აქტოვობები მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

**ცხრილი 8: აქტივობათა პროგრამა ექსპლუატაციის ფაზის განმავლობაში**

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| ყველა დაინტერესებული მხარე, საგანგებო პირობები შეიქმნება მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობისთვის | ღია საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები | ექსპლუატაციის ფაზაში მოსალოდნელი მთავარი ზემოქმედება და განხორციელებული შერბილების/ მონიტორინგის ზომების აღწერა. | ერთხელ გახსნამდე, ერთხელ ექვსი თვის შემდეგ და ერთხელ ერთი წლის შემდეგ, ხოლო შემდეგ - საჭიროების მიხედვით. თუ ეს შესაძლებელი იქნება, საკონსულტაციო შეხვედრები უნდა ჩატარდეს გაზაფხულის/ ზაფხულის თვეებში, როცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იმყოფება პროექტის ტერიტორიაზე. |
| გარემოზე ზემოქმედების შეფასების დახმარებით დადგენილი მოწყვლადი საოჯახო მეურნეობები, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება საჯარო შეხვედრებში | პერიოდული შეხვედრები | ექსპლუატაციის ფაზაში მოსალოდნელი მთავარი ზემოქმედება და განხორციელებული შერბილების/ მონიტორინგის ზომების აღწერა. | განისაზღვროს საჭიროების მიხედვით |
| დუშეთის და ყაზბეგის გამგებლები | პერიოდული შეხვედრები | ინფორმაციის გავრცელება მონიტორინგის ზომების შედეგების შესახებ | განისაზღვრება საჭიროების მიხედვით, კერძოდ,ყოველკვარტალურად პორველ წელს, ხოლო შემდეგ - საჭიროების მიხედვით. |
| გარემოთი დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი, მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური ინტერვიუ | ინფორმაციის გავრცელება მონიტორინგის ზომების შედეგების შესახებ | მალევე პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ / ერთხელ, დამატებითი შეხვედრები საჭიროების |

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| ინსტიტუტი, ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდი, CENN და სხვ. | | | მიხედვით |
| ტურიზმის, ბიზნესის და ადგილობრივი განვითარებით დაინტერესებული ჯგუფ(ებ)ი | ინტერვიუები ძირითად რესპონდენტებთან / მცირე ჯგუფური ინტერვიუ | ინფორმაციის გავრცელება მონიტორინგის ზომების შედეგების შესახებ | მალევე პირველი საჯარო კონსულტაციის შემდეგ / ერთხელ, დამატებითი შეხვედრები საჭიროების მიხედვით |
| ყველა დაინტერესებული მხარე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჩართვის ღონისძიებებში და იმყოფებიან საკონტაქტო სიაში | ბიულეტენი და განცხადება ინტერნეტში | რეგულარული შეტყობინება აქტივობების მიმდინარეობის, განრიგის ცვლილების, მონიტორინგის აქტივობების შესახებ. ბიუელეტენი გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდებათ იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ელექტრონული ფოსტა; გარდა ამისა, აიტვირთოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. | ბიულეტენები გამოიცემა ყოველ სამ თვეში პირველი წლის განმავლობაში, შემდგომი გამოცემები დადგინდება. განცხადება ინტერნეტში განთავსდება საჭიროების მიხედვით, როცა სასურველია ახალი ამბების გაზიარება |
| ყველა დაინტერესებული მხარე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჩართვის ღონისძიებებში და იმყოფებიან საკონტაქტო სიაში | გარე ანგარიშები, როგორც ეს აღწერილია **Error! Reference source not found.** თავში | რეგულარული შეტყობინება აქტივობების მიმდინარეობის, განრიგის ცვლილების, მონიტორინგის აქტივობების შესახებ. გარე ანგარიში გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით, ხოლო ნაბეჭდი სახით მიეწოდოს იმ პირებს, რომლებსაც არა აქვთ ელექტრონული | სულ ცოტა, ყოველწლიურად ექსპლუატაციის პირველი ორი წლის განმავლობაში, შემდეგ კი საჭიროების მიხედვით |

| დაინტერესებული მხარეები | ჩართვის მეთოდი | გასავრცელებელი ინფორმაცია | განრიგი / სიხშირე |
|---|---|---|---|
| | | ფოსტა; გარდა ამისა, აიტვირთოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. | |

# 7.0 საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი

## 7.1 მიზანი და სკოპინგი

საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი წარმოადგენს იმ ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც დაინტერესებულ მხარეება აძლევს თავისი აზრის, შეშფოთების და პროექტთან დაკავშირებული საჩივრის მოწოდების საშუალებას. საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მიზანია დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე რეაგირების დემონსტრირება და მათთან ნდობასა და კონსტრუქციულობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ხელშეწყობა სათანადო შემარბილებელი სტრატეგიების ჩამოყალიბების გზით.

ქვემოთ მოცემულია საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მიზნები:

- ზემოქმდების ქვეშ მოყოლილი ადამიანების უზრუნველყოფა მათი საჩივრების კულტურულად მისაღები გზებითა და საშუალებებით ფორმულირების საშუალებით პროექტის განმავლობაში (ობიექტის მომზადებიდან დემონტაჟის ფაზამდე);
- საჩივრების კონფიდენციალურად განხილვის და პროცესის გარეთ მათი გაუმჟღავნებლობის უზრუნველყოფა;
- გამჭვირვალე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება თემებთან;
- გამოსასწორებელი ქმედებების დადგენის და განხორციელების უზრუნველყოფა;
- ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების განხორციელებული გამოსასწორებელი ქმედებებით კმაყოფილების შემოწმება;
- სასამართლო გარჩევების თავიდან აცილება; მიუხედავად ამისა საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი არ უშლის ხელს დაინტერესებულ მხარეებს საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართვაში.

საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმი იმუშავებს პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული მექანიზმი ეხება გარე საჩივრებს, შემოსულს დაინტერესებული მხარეებისგან; იგი არ ეხება შემდეგ საჩივრებს:

- საჩივრებს შემოსული იმ თანამშრომლებისგან, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაქირავებულნი არიან პროექტის მიერ: თანამშრომლების საჩივრების განხილვა და მართვა განხორციელდება მსგავსი პროცედურით, რომელიც საგანგებოდ იქნება ჩამოყალიბებული.

## 7.2 საქართველოს რეგულაციები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული აქტების გამოცემის და აღსრულების პროცედურებს, დაკავშირებულს საჩივრებთან. იგი წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს საჩივრების განხილვის და გადაჭრის წესებსა და პროცედურებს.

კანონის თანახმად, ოფიციალურად შემოტანილი საჩივრების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს საჩივრები, ჩართოს მომჩივანი საჩივრის განხილვისა და გადაჭრის პროცესში და მიიღოს ამასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილება.

181-ე მუხლი განსაზღვრავს საჩივრის შინაარსის და მისი შემოტანის ფორმებს. კერძოდ, საჩივრის პაკეტში უნდა შედიოდეს: ა) საჩივრების ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება; ბ) მომჩივანის სახელი და გვარი, მისამართი და საკონტაქტო დეტალები; გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებები ან ადმინისტრაციული აქტები წარმოადგენს საჩივრის საგანს; დ) იმ ადმინისტრაციული აქტის ან გადაწყვეტილების დასახელება, რომელიც წარმოადგენს საჩივრის საგანს; ე)

საჩივრის შინაარსი; ვ) კონტექსტი და ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება საჩივარი; ზ) დანართების ჩამონათვალი.

194-ე და 198-ე მუხლები განსაზღვრავს მომჩივანის საჩივრის განხილვის პროცესში ჩართვის წესებსა და პროცედურებს.

202-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხილულ საჩივართან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტატუსი.

საჩივართან დაკავშრებული განდაწყვეტილების მიღების სტანდარტული პერიოდია 1 თვე.

## 7.3 საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის პროცესი

დაინეტერესებულ მხარეებს ექნებათ საჩივრის და/ან შეკითხვის შეტანის უფლება პროექტის რომელიმე ასპექტთან, მათ შორის, მიწის შეძენასა და განსახლებასთან, დაკავშირებით, და შეეძლებათ ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების, პრაქტიკისა თუ აქტივობის გასაჩივრების უფლება. საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს პროექტის ნებისმიერი ასპექტიდან გამომდინარე საჩივრის დროულად და ეფექტიანად განხილვას.

პროექტის საჩივრების დაკმაყოფილების მექნიზმის მიზნებია:

- ისეთ გადაწყვეტილებებამდე მისვლა, რომლებიც დამაკმაყოფილებელი იქნება როგორც პროექტისთვის, ასევე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანებისთვის, და საჩივრების გადაჭრა ადგილობრივად;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების მშვიდად მიმდინარეობის ხელშეწყობა, კერძოდ, ხანგრძლივი სასამართლო პროცესების შემცირება და დაგვიანებების პრევენცია პროექტის განხორციელებაში;
- განვითარების პროცესის ხელშეწყობა პროექტის დონეზე და, ამავე დროს, გამჭვირვალობის შენარჩუნება და, ასევე, ანგარიშვალდებულება ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების წინაშე.

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილმა ადამიანებმა მიიღეს სრული ინფორმაცია მათი უფლებების და საჩივრების (ზეპირი თუ წერილობითი) შეტანის პროცედურების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განმავლობაში და მიწის შეძენისა და განსახლების გეგმასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და კვლევების თაობაზე. ისინი კვლავ მიიღებენ ინფორმაციას კომპენსაციის დროის განმავლობაში და პროექტის სამუშაოების დაწყებამდე (კონტრაქტორისგან).

ყურადღება დაეთმობა უფრო საჩივრების თავიდან აცილებას, ვიდრე გამოსწორების პროცესს. ამის მიღწევა შესაძლებელია მიწის შეძენის და განსახლების გეგმის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დაკვირვებული დაგეგმვითა და განხორციელებით, რისთვისაც საჭიროა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების სრული მონაწილეობის და მათთან კონსულტაციების უზრუნველყოფა და, ასევე, ზოგადად, ფართო კომუნიკაციისა და კოორდინირების დამყარება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ ადამიანებს, აღმასრულებელ სააგენტოებსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის მშენებლობის ფაზის განმავლობაში (ყოველთვიური შეხვედრებით კონტრაქტორსა და ადგილობრივ თემებს შორის). თუ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია ამ ძირითადი არხებით, საჩივრები განიხილება ქვემოთ მოცემული პროცესის დახმარებით:

- სოფლის ან მუნიციპალიტეტის დონეზე, საჩირვრების დაკმაყოფილების კომიტეტის მიერ
- ეროვნულ დონეზე, საჩივრების დაკმაყოფილების კომისიის მიერ

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი და საჩივრების დაკმაყოფილების კომისია შეიქმნება პროექტის მთლიანი დროის განმავლობაში საჩივრების გადაჭრის მიზნით და იგი ჩართული იქნება საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმში.

საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი წარმოადგენს არაფორმალურ, პროექტისთვის სპეციფიური საჩივრების გადაჭრის მექანიზმს, შექმნილს საჩივრების მართვისთვის პირველ საფეხურზე. ეს არაფორმალური ორგანო შექმნილია თემის დონეზე ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ თითოეულ მუნიციპალიტეტში (სოფლის/თემის ხელისუფლება). საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტში შედიან მუნიციპალიტეტის მიწის შეძენის და განსახლების გუნდების და ადგილობრივი თემების წარმომადგენლები. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი მუნიციპალური მიწის შეძენის და განსახლების გუნდში კოორდინირებას უწევს საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის შექმნას. იგი პასუხისმგებელია საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის აქტივობების კოორდინირებასა და შეხვედრების (კვლევების) ორგანიზებაზე. გარდა ამისა, საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტში შედიან სოფლის რწმუნებული ან მისი წარმომადგენელი, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების წარმომადგენლები, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ქალები და შესაბამისი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა მოსმენილი იქნეს ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემების აზრები და უზრუნველყოფილი იქნეს გადაწყვეტილების მიღების მონაწილეობაზე დაფუძნებული პროცესი.

საჩივრების დაკმაყოფილების კომისია ჩამოყალიბებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბრძანებით როგორც მუდმივი და მოქმედი არაფორმალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყველა დანაყოფის თანამშრომლების მუშაობას მიწის შეძენის და განსახლების საკითხეზე და საჩივრების გადაჭრაზე. იგი მოიცავს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მართვის უმაღლეს რგოლებს, დაცვის ან მიწის შეძენისა და განსახლების დანაყოფებს, იურიდიულ და სხვა დაკავშირებულ განყოფილებებს (რაც დამოკიდებულია ზემოქმედების შეფასების სპეციფიურ სტრუქტურაზე). საჩივრების დაკმაყოფილების კომისია ფუნქციონირებს საჩივრების გადაჭრის პროცესის მეორე საფეხურზე. ბრძანებაში ნათქვამია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კომისიაში შეიძლება, როგორც კომისიის წევრები, შეყვანილი იქნენ ადგილობრივი ხლისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების წარმომადგენლები და ნებისმიერი სხვა პირები თუ ერთეულები.

საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტები ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტების დონეზე პროექტისთვის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უწყებრივი ბრძანების საფუძველზე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი განთავსდება კობში.

**ცხრილი 9: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი**

| სახელი და გვარი | თანამდებობა | ტელეფონი/ ელ.ფოსტა | სტატუსი |
|---|---|---|---|
| შოთა ბაციკაძე | საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების განყოფილების წარმომადგენელი | 577613302 | პასუხისმგებელი კომიტეტის საქმიანობათა ორგანიზებასა და კოორდინირებაზე, საკონტაქტო პირი |
| არჩილ ჯორბენაძე | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის | 591403038 | წევრი |

| სახელი და გვარი | თანამდებობა | ტელეფონი/ ელ.ფოსტა | სტატუსი |
|---|---|---|---|
| | სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიწის შეძენის და განსახლების კომისიის წარმომადგენელი | | |
| გივი ჩქარეული | მერის წარმომადგენელი სოფელ კობში | 598240334 | წევრი მდივანი |
| კახა ჩოფიკაშვილი | სოფელ კობის წარმომადგენელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოში | 595555918 | წევრი |
| არტურ აბაევი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების წარმომადგენელი | 555446125 | წევრი |
| ფატიმა კობლოვა | კობის მოსახლეობის წარმომადგენელი | 599567894 | წევრი |

დუშეთის მუნიციპალიტეტის საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი განთავსდება ქვეშეთში.

**ცხრილი 10: დუშეთის მუნიციპალიტეტის საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტი**

| სახელი და გვარი | თანამდებობა | ტელეფონი/ ელ.ფოსტა | სტატუსი |
|---|---|---|---|
| შოთა ბაციკაძე | საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების განყოფილების წარმომადგენელი | 577613302 | პასუხისმგებელი კომიტეტის საქმიანობათა ორგანიზებასა და კოორდინირებაზე , საკონტაქტო პირი |
| არჩილ ჯორბენაძე | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიწის შეძენის და განსახლების კომისიის წარმომადგენელი | 591403038 | წევრი |
| თენგიზ ბედოიძე | მერის წარმომადგენელი ქვეშეთში | 551102790 | წევრი |
| ქეთევან კახურაშვილი | სოფელ ქვეშეთის არჩეული წარმომადგენელი | 591113462 | წევრი |

| სახელი და გვარი | თანამდებობა | ტელეფონი/ ელ.ფოსტა | სტატუსი |
|---|---|---|---|
| უშანგი ზაქაიძე | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების წარმომადგენელი | 595012903 | წევრი |
| ვასიკო ბურდული | ქვეშეთის მოსახლეობის წარმომადგენელი (კაცი) | 597212120 | წევრი |
| მართა მეზვრიშვილი | ქვეშეთის მოსახლეობის წარმომადგენელი (ქალი) | 555916273 | წევრი |

საჩივრების დაკმაყოფილების კომისია, # 224 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა საავტომობილო გზების დეპარტამენტის დონეზე, როგორც საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მუდმივი სტრუქტურა. იგი შედგება კომისიის 20 მუდმივი წევრისგან, 2 მდივნისგან და 3 ხმის უფლების არმქონე დროებითი წევრისგან. წევრების სია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

**ცხრილი 11: საჩივრების დაკმაყოფილების კომისია**

| % | წევრის სახელი და გვარი | თანამდებობა |
|---|---|---|
| 1 | ირაკლი ქარსელაძე | კომისიის თავმჯდომარე |
| 2 | ალექსანდრე თევდორაძე | კომისიის თავმჯდომარის მოადგილე |
| 3 | ლევან კუპატაშვილი | წევრი |
| 4 | გიორგი წერეთელი | წევრი |
| 5 | კობა გაბუნია | წევრი |
| 6 | სალომე წურწუმია | წევრი |
| 7 | ფიქრია კვერნაძე | წევრი |
| 8 | დავით საჯაია | წევრი |
| 9 | გიორგი ერაგია | წევრი |
| 10 | ნოდარ აღნიაშვილი | წევრი |
| 11 | მიხეილ უჯმაჯურიძე | წევრი |
| 12 | ნინო მცურავიშვილი | წევრი |
| 13 | გია სოფაძე | წევრი |
| 14 | აკაკი მშვიდობაძე | წევრი |
| 15 | დავით კალაძე | წევრი |
| 16 | დავით გეწაძე | წევრი |
| 17 | პავლე გამყრელიძე | წევრი |
| 18 | გიორგი ცაგარელი | კომისიის დროებითი წევრი |
| 19 | მარიამ ზეგიაშვილი | კომისიის დროებითი წევრი |

| % | წევრის სახელი და გვარი | თანამდებობა |
|---|---|---|
| 20 | არჩილ ჯორბენაძე | კომისიის დროებითი წევრი |

## 7.4 საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის თანამშრომლების როლები და პასუხისმგებლობა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების სამსახურის წარმომადგენელი პასუხისმგებელია კომიტეტის სამუშაოს კოორდინირებაზე და, ამავე დროს, იგი დასახელებულია როგორც საკონტაქტო პირი, რომელმაც უნდა მიიღოს საჩივრები და აწარმოოს საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალი. მუნიციპალურ დონეზე არსებული ადგილობრივი ხელისუფლება, სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი, ზედამხედველობის კომპანია (ინჟინერი) ისევე, როგორც ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანები, ინფორმირებულნი არიან (არაოფიციალური შეხვედრების გზით) საკონტაქტო პირის შესახებ, ხოლო მისი საკონტაქტო დეტალები ხელმისაწვდომია ყველა ხსენებული დაინტერესებული მხარის ოფისებში.

საკონტაქტო პირი აგროვებს საჩივრებს და აკეთებს სათანადო ჩანაწერებს, კომიტეტის ყველა წევრს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას აწვდის ინფორმაციას პრობლემის არსის შესახებ, რთავს შესაბამის საინტერესებულ მხარეებს განხილვებში მომჩივანთან ერთად და ორგანიზებას უწევს მოლაპარაკების პროცესს ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ პირთან საჩივრის გადაჭრის პირველ საფეხურზე. საკონტაქტო პირი ამზადებს შეხვედრის ოქმს და უზრუნველყოფს მის ხელმოწერას. თუ საჩივარი დაგაიჭრება პირველ საფეხურზე, საკონტაქტო პირი აკეთებს ჩანაწერს საჩივრის დახურვის შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალში და წერილობით ატყობინებს აღნიშნულს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას.

თუ მომჩივანები არ არიან კმაყოფილი საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის გადაწყვეტილებით, მათ ყოველთვის შეუძლიათ საჩივრების გადაჭრის პროცესის მეორე საფეხურის პროცედურების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში საკონტაქტო პირი დახმარებას უწევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ ადამიანებს ოფიციალური საჩივრის შემოტანაში (მომჩივანმა უნდა იცოდეს თავისი უფლებები და ვალდებულებები, საჩივრის შეტანის წესები და პროცედურები, საჩივრის ფორმატი, საჩივრის წარდგენის პირობები და ა.შ.).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანები ინფორმირებული იქნენ საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის თაობაზე. ეს მიღწეული იქნა საინფორმაციო კამპანიების განხორციელების, პროექტის საინფორმაციო ბიულეტენების გავრცელების, ძირითადი ერთეულების ინფორმირებულობის და მათთან რეგულარული კომუნიკაციის შენარჩუნების, საჩივრების სხვადასხვა დონეზე შეტანის და საჩივრების შეტანის მარტივი ფორმების შემოღების გზით.

საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის პროცესი შედგება ოთხი ნაბიჯისგან, რომლებიც მოკლედაა აღწერილი ქვემოთ. პროცესის სრული აღწერა მოცემულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში, განსახლების ჩარჩოსა და მიწის შეძენის და განსახლების გეგმაში.

**ცხრილი 12: საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის პროცესი**

| საფეხურები | პროცესი |
|---|---|
| საფეხური 1 | საჩივარი არაოფიცილაურადაა განხილული ძირითად ერთეულებში სოფლის დონეზე, რომლებიც იღებენ დავის მეგობრულად გადაჭრისთვის საჭირო ყველა აუცილებელ ზომას. |

| საფეხურები | პროცესი |
|---|---|
| საფეხური 2 | • თუ საჩივარი ვერ იქნება გადაჭრილი წინა დონეზე, მუნიციპალიტეტის დონის მიწის შეძენის და განსახლების წარმომადგენელი დაეხმარება ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ დაზარალებულ ადამიანებს საჩივრის ოფიციალურად შეტანაში საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტში მუნიციპალიტეტის დონეზე. ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დაზარალებული ადამიანები შეიტანენ საჩივარს, თუ უშედეგოდ დასრულდება მოლაპარაკებები სოფლის დონეზე, და შეადგენენ მისი პრეტენზიის დამხმარე დოკუმენტებს.<br>• საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის წევრი მდივანი განიხილავს საჩივარს და მოამზადებს საქმეს საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტისთვის მოსასმენად და გადასაწყვეტად. ოფიციალური მოსმენა საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტში ჩატარდება საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის წევრი მდივნის მიერ დადგენილ დღეს, რომელიც დადგინდება კონსულტაციის საფუძველზე კომიტეტის საქმიანობათა ორგანიზებასა და კოორდინირებაზე პასუხისმგებელ პირთან, და ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ დაზარალებულ ადამიანებთან.<br>• მოსმენის დღეს ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დაზარალებული ადამიანი გამოცხადდება საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის სოფლის ოფისში და წარმოადგენს მტკიცებულებებს თავისი პრეტენზიის განმტკიცების მიზნით. წევრი მდივანი ჩაინიშნავს მომჩივანის მიერ გამოთქმულ განცხადებებს და განახორციელებს ყველა პროცედურის დოკუმენტირებას.<br>• გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტის საქმიანობათა ორგანიზებასა და კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირი, და მას ხელს აწერენ საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის სხვა წევრები. საქმესთან დაკავშირებული ჩანაწერები გადაეცემა მომჩივანს სოფლის დონეზე მიწის შეძენის და განსახლების გუნდის მიერ.<br><br>საჩივრის დაკმაყოფილება ამ დონეზე დასრულდება 4 კვირაში. |
| საფეხური 3 | თუ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დაზარალებული ადამიანი არ არის კმაყოფილი საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის გადაწყვეტილებით მუნიციპალურ დონზე, შემდეგ ვარიანტს წარმოადგენს საჩივრის შეტანა საჩივრების დაკმაყოფილების კომისიაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის განსახლების დანაყოფში ეროვნულ დონეზე ორი კვირის განმავლობაში საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. მომჩივანმა უნდა წარმოადგინოს მისი საჩივრის დამხმარე დოკუმენტები. საჩივრების დაკმაყოფილების კომისია განიხილავს საჩივრების დაკმაყოფილების კომისიის მოსმენის ჩანაწერებს და გადასცემს თავის გადაწყვეტილებას ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დაზარალებულ ადამინებს საჩივრის მიღებიდან ოთხი კვირის განმავლობაში. |
| საფეხური 4 | თუ საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვერ შეძლებს ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი დაზარალებული ადამიანების დაკმაყოფილებას, მაშინ მათ ექნებათ სარჩელის სათანადო სასამართლოში (ადგილობრივი სასამართლოები) შეტანის უფლება ყოველგვარი საპასუხო ზომების გარეშე. ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ დაზარალებულ ადამიანებს შეუძლიათ სარჩელის აღძვრა კომპენსაციის თანხასთან ან ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, მათი მიწის დაკავება კონტრაქტორის მიერ მათი თანხმობის გარეშე, მათი ქონების დაზიანება ან განადგურება, მიწის/აქტივების გამოყენების შეზღუდვა, გარემოსდაცვითი საკითხები, როგორიცაა კონტრაქტორის მანქანებით გამოწვეული მტვერი და ა.შ. |

## 7.5 თვალსაჩინოება და კომუნიკაცია

ობიექტზე სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი:

- ინფორმაციას საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის შესახებ მიაწვდის პროექტის ზემოქმედების ზონაში მოქცეულ თემებს;
- აამოქმედებს 24-საათიან „ცხელ ხაზს“ საჩივრების შესატანად და შეატყობინებს ამის შესახებ მოსახლეობას;
- უზრუნველყოფს საჩივრების დაკმაყოფილების კომიტეტის, საავტომობილო გზების დეპარტამენტის და კონტრაქტორის საკონტაქტო პირების ვინაობის და მათი საკონტაქტო ტელეფონების ნომრების გამოფენას სპეციალურ საინფორმაციო დაფებზე სამშენებლო ობიექტის გარეთ.

# 8.0 დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის როლი და მათი პასუხისმგებლობა

## 8.1 საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**საავტომობილო გზების დეპარტამენტს** ეკისრება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის არსებული გეგმის განხორციელების უმთავრესი პასუხისმგებლობა პროექტის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**საავტომობილო გზების დეპარტამენტი:** საავტომობილო გზების დეპარტამენტი განსაზღვრავს თანამშრომლებსა და რესურსებს პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების განხორციელებისთვის.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის განხორციელება გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების გზით;
- კავშირი საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, პროექტის მართვის და ზედამხედველობის კონტრაქტორს, დაპროექტების, შესყიდვების და მშენებლობის კონტრაქტორებს, ქვეკონტრაქტორებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის შესრულების მონიტორინგი და გამოსასწორებელი მოქმედებებისა და ანგარიშების მიწოდება საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და კრედიტორებისთვის;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმის განახლების და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა ბუნებასთან და პროექტის მოცულობასთან;
- საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის შესწორებებისა და/ან განახლებების შეთავაზება წინამდებარე პროცედურების და ვარიანტების მიღების მიმართ.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი აწარმოებს ჩანაწერებს ჩართვის აქტივობებთან დაკავშირებით და შეიტანს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების რეესტრში, რომელშიც მოცემული იქნება მართვის ფორმები, შეხვედრების ოქმები და ყველა ის სათანადო მასალა, რომელიც გამოყენებული ან მომზადებული იქნა აქტივობისთვის (განცხადებები, პლაკატები, ბროშურები, პრეზენტაციები, დამსწრეთა სიები, ფოტოები და ა.შ.). დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების რეესტრის საწარმოებლად გამოსაყენებელი ჩანაწერების ფორმები მოცემულია **E დანართში**.

**კომუნიკაციის სპეციასლისტი:** გარე კომუნიკაციის სპეციალისტი დაქირავებული იქნა აზიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით საავტომობილო გზების დეპარტამენტის დასახმარებლად ისეთი აქტივობების განხორციელებაში, როგორიცაა:

- საავტომობილო გზების დეპარტამენტის დახმარება დაინტერესებულ მხარეთა აღრიცხვაში ძირითადი დაინტერესებული მხარეების დადგენის მიზნით;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის დახმარება კომუნიკაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტის (გზის რუკის ჩათვლით) ჩამოყალიბებში;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის და აზიის განვითარების ბანკის დახმარება კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობაში.

კომუნიკაციასთან დაკავშირებული აქტივობები ხშირად ხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ხელშეწყობის მიზნით და, შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის შედეგებს ხშირად შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემოთავაზება კომუნიკაციის სტრატეგიისთვის; ასე რომ, ეს ორი აქტივობა განხორციელდება მჭიდრო კოორდინირებით.

**თემთან მუშაობის სპეციალისტი:** თემთან მუშაობის გარე სპეციალისტი დაქირავებული იქნა აზიის განვითარების ბანკის ხელშეწყობით საავტომობილო გზების დეპარტამენტის დასახმარებლად ისეთი აქტივობების განხორციელებაში, როგორიცაა:

- საავტომობილო გზების დეპარტამენტის და კომუნიკაციის სპეციალისტის დახმარება დაინტერესებულ მხარეთა აღრიცხვის განხორციელებაში;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის და კომუნიკაციის სპეციალისტის დახმარება პროექტის კომუნიკაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში; გარდა ამისა, თემთან მუშაობის სპეციალისტი გამოიყენებს ადგილობრივ ცოდნას ქვეყნის შესახებ იმისათვის, რომ უზრუნველყოს ყველა აქტივობის შესაბამისობა და კულტურული სენსიტიურობა;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის და სხვა სამთავრობო სააგენტოების დახმარება პროექტთან დაკავშირებული საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვაში, ჩატარებასა და დოკუმენტირებაში, რათა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა სათანადო ინფორმირება და საზოგადოების მხრიდან აზიის განვითარების ბანკის როლის გააზრება პროექტში;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის დახმარება საკონსულტაციო და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვასთან დაკავშირებული შეხვედრების შედეგების თავმოყრაში ერთ ანგარიშში, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს აზიის განვითარების ბანკისთვის და შესაბამისი სამთავრობო ოფიციალური პირებისთვის, ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანებისთვის და ნებისმიერი სხვა კონსულტაციის მონაწილისთვის. თემთან მუშაობის სპეციალისტი, ასევე, კოორდინირებას გაუწევს ანგარიშის გავრცელებას და უზრუნველყოფს, რომ მან მიაღწიოს ყველა სათანადო დაინტერესებულ მხარემდე მათთვის მისაღები ფორმით;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის და პროექტის კომუნიკაციის სპეციალისტის დახმარება კომუნიკაციაში.

საკონტაქტო მონაცემები კავშირის დასამყარებლად საავტომობილო გზების დეპარტამენტთან მოცემულია ქვემოთ:

მისამართი: საქართველო 0160, თბილისი, ყაზბეგის გამზირი N12,

ტელეფონი: (995 32) 37-05-08

Email: Info@georoad.ge

კორპორაციული ვებ-გვერდი: http://www.georoad.ge/

## 8.2 კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამის განხორციელება და განახლება წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პასუხისმგებლობას. კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორებს (პროექტის მართვისა და ზედამხედველობის კონტრაქტორის ჩათვლით) არა აქვთ ჩართვის აქტივობების უშუალოდ განხორციელების უფლება, თუმცა მათ უნდა ითანამშრომლონ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამის ფარგლებში. ასევე, კონტრაქტორებს არა აქვთ საჩივრების გარჩევის უფლება, მაგრამ, თუ მათ ამის თაობაზე მიმართავენ დაინტერესებული მხარეები, უნდა გადაამისამართონ ისინი საავტომობილო გზების დეპარტამენტზე. საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, კონტრაქტორებმა და ქვეკონტრაქტორებმა უნდა იქონიონ რეგულარული კავშირი აქტივობების სტატუსის და სხვა წამოჭრილი იმ საკითხების განხილვის საქმეში, რომლებიც უნდა დაემატოს ჩართვის აქტივოებებს. კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები პერიოდულად ანგარიშვალდებულნი არიან საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე აქტივობების მიმდინარეობის შესახებ ისე, რომ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელი გახდეს დაინტერესებული მხარეებისთვის დაგეგმილი აქტივობების მიმდინარეობის განმავლობაში.

## 9.0 მონიტორინგი და ანგარიშგება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის არსებული პროგრამა განახლებას უნდა განიცდიდეს პროექტის მთავარი ცვლილებების მიხედვით და პროექტის ახალ ფაზაში შესვლისას (მაგალითად, როცა დასრულდება მშენებლობა). წინა ვარიანტები დაარქივდება, ხოლო განახლებული ვერსიები ხელმისაწვდომი გახდება დაინტერესებული მხარეებისთვის.

## 9.1 მონიტორინგი

საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელი იქნება იმ აქტივობებთან დაკავშირებული ჩანაწერების მონაცემთა ბაზის წარმოებაზე, რომლებიც განხორციელდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ჩარჩოში.

კერძოდ, მონაცემთა ბაზებში შევა:

- დაინტერესებულ მხარეთა რეესტრი, რომელიც პერიოდულად განახლდება;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების რეესტრი, სადაც თითოეული აქტივობისთვის მითითებული იქნება, სულ ცოტა, სათანადო თარიღი და ადგილი, მონაწილეები, გავრცელებული ინორმაცია და აქტივობის შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამის წინა ვარიანტები;
- პერიოდულად მომზადებული ანგარიშები.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამის სწორად განხორციელება შემოწმდება გარემოს დაცვის და სოციალური აუდიტის/ზედამხედველობის აქტივობების დახმარებით, რომლებიც ჩატარებული იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ან ზედამხედველობის ინჟინრის მიერ, ხოლო სათანადო ანგარიში საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარდგენილი იქნება აზიის განვითარების/ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკებისთვის. აუდიტორული და ზედამხედველობის აქტოვებათა სავალდებულო ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამის სწორად განხორციელება;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროგრამაში მითითებული აქტივობების სიხშირისა და დაგეგმილი განრიგის შესაბამისობა;
- დროული და სათანადო ანგარიშგება.

გუნდი ასევე შეამოწმებს შემდეგს:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების რეესტრს ჩანაწერების სისწორის უზრუნველყოფის მიზნით;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების ფორმებს და დოკუმენტებს ინფორმაციისა და მასალების სწორად დალაგების და დარეგისტრირების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაინტერესებულ მხარეთა რეესტრს ჩამონათვალის უწყვეტი განახლების უზრუნველყოფის მიზნით;
- საავტომობილო გზები დეპარტამენტის მიერ მომზადებულ პერიოდულ ანგარიშებს მათი სწორად აგების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაინტერესებულ მხარეთა აქტივობებში მონაწილეობის დონეებს და დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილებას იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემული იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობის ჩანაწერების ფორმის ნაწილში „მიღებული გაკვეთილები“.

საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის სწორად განხორციელება შემოწმდება წელიწადში ორჯერ შედგენილი გარემოს დაცვის და სოციალური მონიტორინგის საკითხებით პროექტის მშენებლობის და პროექტის ექსპლუატაციის განმავლობაში, სულ ცოტა, ორწლიან საგარანტიო ვადაში.

შიდა აუდიტი დაკავშირებული იქნება შემდეგთან:

- საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მეთოდოლოგიის სწორად განხორციელება;
- დროული და ეფექტიანი რეაგირება საჩივრებზე.

შემოწმებისას აუდიტორთა გუნდი ყურადღებას მიაქცევს, კერძოდ, შემდეგს:

- მონაცემთა ბაზების განხილვა საჩივრებთან დაკავშირებული ჩანაწერების სწორად შეტანის უზრუნველყოფის მიზნით;
- საჩივრის ჩანაწერების ფორმების და დოკუმენტების 20%-ის (ანუ, სულ ცოტა, ოთხი დოკუმენტის) რანდომული განხილვა ინფორმაციის და მასალების სწორად დალაგების და რეგისტრირების უზრუნველყოფის მიზნით;
- იმ საჩივრების ყველა ჩანაწერის ფორმისა და დოკუმენტების განხილვა, რომლებიც განეკუთვნება დოკუმენტების კატეგორიებს 3-5, ინფორმაციის და მასალების სწორად დალაგების და რეგისტრირების უზრუნველყოფის მიზნით;
- საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის ეფექტიანობით კმაყოფილების დონე იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემული იქნება საჩივრების ჩანაწერების ფორმის ნაწილში „მიღებული გაკვეთილები“.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი განიხილავს აუდიტის შედეგებს და მიიღებს გამოსასწორებელ ზომებს, თუ ეს საჭირო იქნება, საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მეთოდოლოგიის და მისი როლისა და პასუხისმგებლობის მიმართ.

გარდა ამისა, მონიტორინგის გარე სააგენტოს დაეკისრება მონიტორინგის და ანგარიშგების წარმოდგენა მიწის შეძენისა და განსახლების გეგმის განხორციელებაზე. სრული ინფორმაცია ამ სააგენტოს როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ მოცემულია მიწის შეძენისა და განსახლების გეგმაში.

## 9.2 ანგარიშგება

შიდა და გარე ანგარიშგება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების შედეგების შესახებ განხორციელდება რეგულარულად.

### 9.2.1 შიდა ანგარიშგება

რაც შეეხება შიდა ანგარიშებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი პასუხისმგებელია რეგულარულ და საჭიროებიდან გამომდინარე კავშირზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან, რათა შეატყობინოს მას გეგმის განხორციელების საერთო მიმდინარეობა და მიიღოს რჩევები საჭიროების შემთხვევაში.

გარდა ამისა, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, თემთან მუშაობის სპეციალისტის დახმარებით, მოამზადებს ოფიციალურ პერიოდულ ანგარიშებს ყოველ სამ თვეში მშენებლობის ფაზის განმავლობაში

და ყოველწლიურად ექსპლუატაციის ფაზის განმავლობაში. ანგარიშებში უნდა შედიოდეს შემდეგი ინფორმაცია:

- საერთო მონაცემები შესრულებული აქტივობების რაოდენობისა და ტიპოლოგიის შესახებ;
- დაინტერესებულ მხარეთა დასწრება და მათი საპასუხო რეაგირება;
- წამოჭრილი პრობლემები და კრიტიკული საკითხები;
- საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის მუშაობის სტატუსი და წამოჭრილი კრიტიკული საკითხები;
- გამოსასწორებელი ქმედებები განხორციელებული გეგმასა და განრიგში;
- ხელმძღვანელობასთან მისაღები გადაწყვეტილებები.

ანგარიშები წარედგინება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, კონტრაქტორებს და ქვეკონტრაქტორებს, კრედიტორებს და ნებისმიერ სხვა მხარეს საჭიროების შემთხვევაში.

### 9.2.2 გარე ანგარიშგება

რაც შეეხება გარე კომუნიკაციას, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ანგარიში უნდა წარუდგინოს თემებს პერიოდული გარე კომუნიკაციის ფორმით. შემდეგი ინფორმაცია მიწოდებული იქნება სათანადო ფორმატში:

- პროექტის მიმდინარეობა სტატისტიკის, დასრულებული ფაზების აღწერის და ფაზაში დაგეგმილი ორიენტირების ჩათვლით;
- გარემოს დაცვის მონიტორინგთან დაკავშირებული აქტივობების შედეგები;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების შედეგები განხორციელებული ინიციატივების და წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების მითითებით;
- საჩივრებთან (ანონიმურ ფორმებთან) დაკავშირებული ინფორმაცია და მონაცემები;
- ადგილობრივი დასაქმების და ადგილობრივი შესყიდვების მონაცემები (თუ ხელმისაწვდომია).

ანგარიში შედგება ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ მშენებლობის ფაზის განმავლობაში და წელიწადში ერთხელ - ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციის პირველი ხუთი წლის მანძილზე. ანგარიში გაეგზავნება წინა აქტივობებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს მაშინაც კი, თუ ისინი აღარ არიან აქტიური მონაწილეები, და კრედიტორებს. ანგარიშის იგივე ვარიანტი უნდა აიტვირთოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე.

გარდა ამისა, ნახევარწლიური გარემოს დაცვის მონიტორინგის ანგარიშები და სოციალური/განსახლების მონიტორინგის ანგარიშები აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის და აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდებზე მშენებლობის ფაზის განმავლობაში, როგორც ეს განსაზღვრულია აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების ზომების პოლიტიკის განცხადების მოთხოვნებში.

დანართი „ა“

# დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი ჩამონათვალი

დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი ჩამონათვალი

| № | დაინტერესებული მხარე | კატეგორია |
|---|---|---|
| 1 | მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი | რეგიონული ადმინისტრაცია |
| 2 | დუშეთის მუნიციპალიტეტი | მუნიციპალური ადმინისტრაცია |
| 3 | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი | მუნიციპალური ადმინისტრაცია |
| 4 | სოფელი ქვეშეთის გამგებელი | მუნიციპალური ადმინისტრაცია |
| 5 | ეროვნული სატყეო სააგენტო | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 6 | საქართველოს საგზაო დეპარტამენტი | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 7 | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 8 | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურს სამინისტრო | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 9 | კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 10 | დაცული ტერიტორიების სააგენტო | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 11 | გარემოს ეროვნული სააგენტო | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 12 | პოლიცია | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 13 | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 14 | საჯარო სამართლის იურიდიული პირი | ცენტრალური მთავრობა და ხელისუფლების ორგანოები |
| 15 | გუდაურის სათხილამურო კურორტი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ბიზნესები |
| 16 | სავაჭრო პალატა | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ბიზნესები |
| 17 | პროფესიული კავშირები | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ბიზნესები |
| 18 | გაზის ტრანსპორტირების კომპანია | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ბიზნესები |
| 19 | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი | სამეცნიერო წრეები და სექტორის ექსპერტები |
| 20 | საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) | სამეცნიერო წრეები და სექტორის ექსპერტები |
| 21 | ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) | სამეცნიერო წრეები და სექტორის ექსპერტები |
| 22 | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | სამეცნიერო წრეები და სექტორის ექსპერტები |
| 23 | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | სამეცნიერო წრეები და სექტორის ექსპერტები |

| | | |
|---|---|---|
| 24 | WWF კავკასია | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 25 | საქართველოს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი - CENN | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 26 | საქართველოს მწვანეთა მოძრაობა | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 27 | საქართველოს მწვანეები | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 28 | მწვანე ალტერნატივა | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 29 | არასამთავრობო ორგანიზაცია Georgia's Environmental Outlook (GEO) | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 30 | ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 31 | საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევის ცენტრი „ნაკრესი“ | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 32 | მთის განვითარების ცენტრი (MDC) | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 33 | SABUKO (ბუნების კონსერვაციის საზოგადოება) | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 34 | ასოციაცია საზოგადოების კეთილდღეობისთვის (AWS) | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 35 | რეგიონული განვითარების ცენტრი (RDC) | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 36 | დუშეთის განვითარების ფონდი | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 37 | ქალები რეგიონული განვითარებისთვის | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 38 | ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრი | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 39 | სტაფანწმინდა | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 40 | საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 41 | მწვანე ალტერნატივა | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 42 | კავკასიის ბუნების ფონდი | არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ასოციაციები |
| 43 | სოფელი ალმასიანის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 44 | სოფელი არახვეთის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 45 | სოფელი ბეგონის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 46 | სოფელი ბენიანის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 47 | სოფელი გუდაურის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |

| | | |
|---|---|---|
| 48 | სოფელი გომურნის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 49 | სოფელი კობის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 50 | სოფელი ქვეშეთის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 51 | სოფელი მლეთის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 52 | სოფელი მუღერეს მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 53 | სოფელი სვიანა-როსტიანის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 54 | სოფელი წკერეს მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |
| 55 | სოფელი ზაქათკარის მცხოვრებნი | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები |

დანართი „ზ“

# დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის დღემდე ჩატარებული ღონისძიებები

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პირისპირ შეხვედრები (x5) | თეთრი არაგვისა და ხადისწყლის ხეობებში მდებარე დასახლებების მცხოვრებნი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 4 აპრილი 2018, სხვადასხვა | დაახლ. 5 | გზშ-თან დაკავშირე-ბული დისკუსია | • ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის წყლის გარემოს შესახებ |
| 2 | პირისპირ შეხვედრები (x5) | სოფლების ნატვანის, ბაიდარასა და თერგის მცხოვრებნი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 11 აპრილი 2018, სხვადასხვა | დაახლ. 5 | გზშ-თან დაკავშირე-ბული დისკუსია | • ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის წყლის გარემოს შესახებ |
| 3 | პირისპირ შეხვედრები (x8) | სოფლების წკერესა და კობის მცხოვრებნი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 19 აპრილი 2018, სხვადასხვა | დაახლ. 8 | გზშ-თან დაკავშირე-ბული დისკუსია | • ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების შესახებ |
| 4 | პირისპირ შეხვედრები (x3) | სოფელი ზაქათკარის მცხოვრებნი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 8 მაისი 2018, ზაქათკარი | დაახლ. 3 | გზშ-თან დაკავშირე-ბული დისკუსია | • ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების შესახებ |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | პირისპირ შეხვედრები (x6) | ქვეშეთი-კობის გზის გაყოლებაზე განლაგებულ დასახლებათა მცხოვრებნი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 12 მაისი 2018 | დაახლ. 6 | გზშ-თან დაკავშირე-ბული დისკუსია | • ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ |
| 6 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფელი ქვეშეთის მცხოვრებნი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 14 მაისი 2018, ქვეშეთი | დაახლ. 16 (15 მამაკაცი, 1 ქალი) | პროექტის სპეციფიკაცი-ების გაცნობა და მიწის შეძენისა და განსახლების გეგმასთან დაკავშირებუ-ლი საკითხების განხილვა | • მონაწილეებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია გზის პროექტის შესახებ<br>• კითხვები მონაწილეებისგან პროექტის ძირითადი ასპექტების შესახებ, როგორებიც არის პროექტის არსი, მასშტაბი და პოტენციური სარგებლები<br>• მიწის რეგისტრაციის პროცესთან და კომპენსაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებული გამოწვევები<br>• დაინტერესება დასაქმების შესაძლებლობებით |
| 7 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფლების ქვეშეთის, არახვეთისა და ხადას მცხოვრებნი, არასამთავ-რობო ორგანიზაციათა წარმომადგენ-ლები | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები და დაინტერე-სებული მხარეები | 10 ივლისი 2018, ქვეშეთი | დაახლ. 16 (11 მამაკაცი, 5 ქალი) | გზშ სკოპინგის ანგარიშის გაცნობა და უკუკავშირის მიღება | • ზოგადი დაინტერესება პროექტის სარგებლებით<br>• პროექტის ზემოქმედება შენობებზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე<br>• დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროექტის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფელი კობის მცხოვრებნი, არასამთავ-რობო ორგანიზაციათა წარმომადგენ-ლები | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები და დაინტერე-სებული მხარეები | 10 ივლისი 2018, კობი | დაახლ. 11 (6 ქალი, 5 მამაკაცი) | გზშ სკოპინგის ანგარიშის გაცნობა და უკუკავშირის მიღება | • პროექტის ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე<br>• პროექტის ზემოქმედება კომუნალური მომსახურების კომპანიებზე და ინფრასტრუქტურაზე<br>• კითხვა - გაიარა თუ არა პროექტმა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება |
| 9 | შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოე-ბასთან | არასამთავ-რობო ორგანიზაციები, მოსახლეობა, მთავრობის წარმომადგენ-ლები | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები, ცენტრა-ლური, რეგიონული და ადგილობ-რივი ადმინის-ტრაციები, არასამთავ-რობო ორგანიზაცი-ები და ადგილობ-რივი ასოციაციები | 13 აგვისტო 2018, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბილისი | დაახლ. 27 (15 მამაკაცი, 12 ქალი) | გზშ-თან დაკავშირე-ბული კონსულტაცია სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებთან | • მოითხოვეს მეტი ინფორმაცია გაანალიზებული ალტერნატივების შესახებ<br>• პროექტის ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე<br>• საზოგადოებასთან კონსულტაციის სკოპინგის პროცედურის ხარისხი და მონაწილეთა რაოდენობა<br>• პროექტის ზემოქმედება ხადას ხეობაში ამჟამინდელ ეკოტურისტულ აქტივობებზე<br>• კითხვები მშენებლობის, კერძოდ, გვირაბის მშენებლობის ტექნიკასთან დაკავშირებით |

| № | დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესებული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწილეთა რაოდენობა | დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა | ბეგონის, ბენიანის, გომურნის, სვიანა-როსტიანის, წკერეს მოსახლეობა | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები | 30 აგვისტო 2018, ბეგონის პლატო | დაახლ. 10 (6 მამაკაცი, 4 ქალი) | მიწის შეძენისა და განსახლების დაგეგმვა | • წკერეს წვდომა ასაშენებელ გზაზე<br>• მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული გამოწვევები<br>• გზის მშენებლობის/ექსპლუატაციის დროს სახლებზე ვიბრაციის ზეგავლენის პოტენციალი<br>• კითხვები - იქნება თუ არა გზაზე განათება<br>• მშენებლობის ეტაპზე კობის მახლობლად განლაგებულ გზის მისალდენზე ზემოქმედება<br>• პროექტის ზემოქმედება იდენტიფიცირებულ საძოვრებსა და თივის შეგროვების ადგილებზე, პლატოზე მდებარე სოფლების წყლის წყაროებზე<br>• არ არსებობს განვითარების კონკრეტული გეგმები ხადას ხეობისთვის, თუმცა არსებობს სახელმწიფო/ეროვნული დონის პროგრამები იმ ადამიანების დასახმარებლად, რომელთაც სურთ ბიზნეს-გეგმის შემუშავება |
| 11 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა | სოფლების არახვეთის, ბეგონისა და ქვეშეთის მოსახლეობა | ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი თემები | 31 აგვისტო 2018, არახვეთი და ქვეშეთი | დაახლ. 11 | მიწის შეძენისა და განსახლების დაგეგმვა | • კითხვები გზის გადასაკვეთ ადგილებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საქონლისთვის<br>• კითხვები დროებითი გზის განლაგებასთან დაკავშირებით<br>• პროექტის ზემოქმედება ტურიზმზე<br>• პროექტის ზემოქმედება არსებულ ინფრასტრუქტურაზე (წყალი, ტელეკომუნიკაციები და სხვ.)<br>• თხოვნა, რომ პროექტის განხორციელებასთან ერთად მოხდეს კანალიზაციის სისტემის განახლება<br>• სოფელი ბედონი: დისკუსია მისასვლელი გზის |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | განლაგებაზე მდინარის კალაპოტში, რათა თავიდან იქნეს აცილებული არსებული გზის გამოყენება, რომელიც სოფელი ბედონის შუაგულში გადის<br>• გზის გაყვანა სოფელ ქვეშეთში და ზემოქმედება, რომელიც პროექტმა შეიძლება მოახდინოს სოფლის მცხოვრებთა ქონებაზე და მათი ცხოვრების ხარისხზე |
| 12 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა | სოფლების კობისა და ალმასიანის მოსახლეობა | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 31 აგვისტო 2018, კობი | დაახლ. 8 (6 მამაკაცი, 2 ქალი) | მიწის შეძენისა და განსახლების დაგეგმვა | • პროექტის ზემოქმედება წმინდა გიორგის ჯვარზე და მის ზემოთ მდებარე ეკლესიაზე<br>• დისკუსია ჯარისკაცთა მონუმენტის შესახებ<br>• ზემოქმედება გაზის მილსადენის განლაგებაზე მშენებლობის დროს<br>• კითხვები პროექტის გრაფიკთან დაკავშირებით<br>• დისკუსია ამოღებული გრუნტის შესაძლო განთავსების ადგილებზე და როდის/როგორ მოხდება ამის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება<br>• მზადდება განვითარების გეგმა, რომელიც უნდა დამტკიცდეს პრემიერ-მინისტრის მიერ; გეგმა ძირითადად ეხება სათხილამურო ლიფტის მშენებლობას |
| 13 | შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოე-ბასთან | არასამთავ-რობო ორგანიზაცი-ები, ბიზნესები, ხელისუფლების წარმომად-გენლები | ცენტრალუ-რი ხელისუფ-ლების ორგანოები, არასამთავ-რობო | 4 სექტემბერი 2018, თბილისი | დაახლ. 28 (17 მამაკაცი, 11 ქალი) | გზშ-თან დაკავშირე-ბული კონსულტაცია სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებთან | • კითხვები გეოფიზიკური ასპექტების შესახებ, განსაკუთრებით გვირაბის მონაკვეთთან დაკავშირებით<br>• გზშ სკოპინგის ანგარიშში ინფორმაციის/დეტალების ადეკვატურობა და მონაწილეობასთან დაკავშირებული გამოწვევები<br>• მიწის საყრელის და სამშენებლო ბანაკების ადგილი |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ორგანიზაცი-ები, ადგილობრი ვი ასოციაცი-ები, ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი ბიზნესები | | | | • მოთხოვნა, რომ ჰაბიტატებზე ზემოქმედების შეფასება ჩატარდეს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად<br>• პროექტის ზემოქმედება სასაფლაობთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიღწევის შესაძლებლობაზე<br>• ზემოქმედება ტურიზმის ამჟამინდელ აქტივობებზე და სამომავლო განვითარების სავარაუდო შესაძლებლობებთან დაკავშირებული მოლოდინები<br>• ზემოქმედება არქეოლოგიურ მემკვიდრეობაზე<br>• ითხოვენ დამატებით ინფორმაციას ალტერნატივების შესრულებულ ანალიზზე |
| 14 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფლების ქვეშეთის, არახვეთის, ბენიანი-ბეგონის, კობის, წკერესა და ზაქათკარის მცხოვრებნი, არასამთავ-რობო ორგანიზაცი-ებისა და მთავრობის წარმომადგენლე ბი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები, ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზაცი-ები, ცენტრალუ-რი და ადგილობ-რივი ხელისუფ- | 7 სექტემბერი 2018, მლეთა | დაახლ. 60 | პროექტის და განხილული ალტერნატივე-ბის გაცნობა | • კითხვები ალტერნატივების შესრულებულ ანალიზზე<br>• კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზეზების გამო შეირჩა ეს გზა<br>• განმარტებები მიწის შეძენასთან და კომპენსაციასთან დაკავშირებით |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ლების ორგანოები | | | | |
| 15 | ექსპერტებთან შეხვედრა | ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის წარმომადგენ-ლები | ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზა-ცია | 10 სექტემბერი 2018, თბილისი | 1 | სამოქალაქო საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია გზშ-თან დაკავშირებით | • დისკუსია თემის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ, ველურ ბუნებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და ხელმისაწვდომი მონაცემები |
| 16 | ექსპერტებთან შეხვედრა | „ნაკრესის“ წარმომადგენ-ლები | ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზა-ცია | 10 სექტემბერი 2018, თბილისი | 1 | სამოქალაქო საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია გზშ-თან დაკავშირებით | • დისკუსია „ნაკრესის“ კონსერვაციის პროგრამების მდგომარეობის, პროექტის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნებისა და ზურმუხტის ქსელში შემავალი ობიექტების საზღვრების განსაზღვრის საფუძვლის შესახებ |
| 17 | ექსპერტებთან შეხვედრა | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალ-ფეროვნების დეპარტამენტის წარმომადგენ-ლები | ცენტრალუ-რი მთავრობა | 11 სექტემბერი 2018, თბილისი | 1 | სამოქალაქო საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია გზშ-თან დაკავშირებით | • დისკუსია პროექტის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების შესახებ |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18 | ექსპერტებთან შეხვედრა | კავკასიის ბუნების ფონდის წარმომადგენ-ლები | საერთაშო-რისო არასამთავ-რობო ორგანიზა-ცია | 11 სექტემბერი 2018, თბილისი | 2 | სამოქალაქო საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია გზშ-თან დაკავშირებით | • საუბარი კავკასიის ბუნების ფონდის საქართველოში საქმიანობის, ველური ბუნების მონიტორინგის დროს ძირითადი საკითხების, გეგმების, თანამშრომლობის გზების შესახებ |
| 19 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფლების ბენიანისა და ბეგონის მოსახლეობა | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 14 სექტემბერი 2018, ბეგონი | დაახლ. 10 (6 მამაკაცი და 4 ქალი) | მიწის შეძენისა და განსახლების დაგეგმვა | • მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული გამოწვევების პოტენციური ზემოქმედება კომპენსაციის მიღების უფლებაზე<br>• ზემოქმედება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე<br>• დაინტერესება პოტენციური ეკონომიკური სარგებლებით |
| 20 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფელი წკერეს მოსახლეობა | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 14 სექტემბერი 2018, წკერე | დაახლ. 4 (3 ქალი, 1 მამაკაცი) | მიწის შეძენისა და განსახლების დაგეგმვა | • დაინტერესება პროექტით, მისასვლელ გზასთან დაკავშირებული სარგებლების გამო, რომლებსაც ის სოფელს მოუტანს<br>• მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები |
| 21 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფელი ქვეშეთის მცხოვრებნი | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 15 სექტემბერი 2018, ქვეშეთი | დაახლ. 25 (20 მამაკაცი, 5 ქალი) | მიწის შეძენისა და განსახლების დაგეგმვა | • ზოგიერთმა მცხოვრებმა აღნიშნა, რომ გზა მდინარის მეორე ნაპირზე უნდა აშენდეს<br>• გარკვეული ოპონირება პროექტის წინააღმდეგ ქონებასა და სახლებზე პოტენციური ზემოქმედების გამო<br>• მოითხოვეს მეტი ინფორმაცია პროექტის დაგეგმარების ალტერნატივების შესახებ |
| 22 | საზოგადოე- | სოფელი | ზემოქმედე- | 15 | დაახლ. 6 | მიწის შეძენისა | • მიწის შეძენისა და განსახლების პროცესთან და |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბასთან კონსულტაცია | ზაქათკარის მოსახლეობა | ბის ქვეშ მოყოლილი თემები | სექტემბერი 2018, ზაქათკარი | (4 მამაკაცი, 2 ქალი) | და განსახლების დაგეგმვა | შესაბამისობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკითხები<br>• ახალი გზით სხვადასხვა ადგილას მიღწევასთან დაკავშირებული სარგებლები |
| 23 | ექსპერტებთან შეხვედრა | საქართველოს ბიომრავალფე-როვნების კონსერვაციისა და კვლევის ცენტრი „ნაკრესის" წარმომადგე-ნელი | ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზაცი-ები | 26 სექტემბერი 2018, თბილისი | 2 | საბაზისო მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის ბიომრავალ-ფეროვნების შესახებ | • მოგვაწოდეს ინფორმაცია „ნაკრესის" საქმიანობის შესახებ<br>• „ნაკრესმა" შემოგვთავაზა დახმარება პროექტის ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით და დააფასა აქამდე განხორციელებული ბიომრავალფეროვნების შეფასების სამუშაო |
| 24 | ექსპერტებთან შეხვედრა | ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის წარმომადგე-ნელი | ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზაცი-ები | 26 სექტემბერი 2018, თბილისი | 2 | საბაზისო მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის ბიომრავალ-ფეროვნების შესახებ | • მოგვაწოდეს ინფორმაცია დაცული ტერიტორიების პროექტთან დაკავშირებით, რომელსაც KfW აფინანსებს და რომელიც ყაზბეგის ეროვნულ პარკში ხორციელდება<br>• ყურადღება გაამახვილეს ადგილობრივ ადამიანებსა და დაცული ტერიტორიების განვითარებას შორის არსებულ საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობს იქიდან, რომ მკაცრი კონტროლი ზემოქმედებას ახდენს საარსებო საშუალებებზე |
| 25 | ექსპერტებთან შეხვედრა | კავკასიის ბუნების ფონდის | საერთაშო-რისო არასამთავ- | 28 სექტემბერი 2018, | 3 | საბაზისო მონაცემების და ინფორმაციის | • მოგვაწოდეს ინფორმაცია კავკასიის ბუნების ფონდის საქმიანობის და ყაზბეგის ეროვნულ პარკთან დაკავშირებული ისეთი საკითხების შესახებ, |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წარმომადგენ-ლები | რობო ორგანიზაცი-ები | თბილისი | | შეგროვება პროექტის ტერიტორიის ბიომრავალ-ფეროვნების შესახებ | როგორებიც არის ბრაკონიერობა, მიწის გამოყენება, ზონირება და ტურიზმი<br>• კავკასიის ბუნების ფონდმა დასვა კითხვები ხადას ხეობაზე პროექტის ზემოქმედების, სავარაუდო გზის ალტერნატიული ვარიანტების და გადამზიდავი ტრანსპორტისა და ტრანსპორტით დაბინძურების შესახებ |
| 26 | ექსპერტებთან შეხვედრა | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ბიომრავალფე-როვნებისა და სატყეო დეპარტამენ-ტის წარმო-მადგენელი | ცენტრალუ-რი მთავრობა | 28 სექტემბერი 2018, თბილისი | 2 | საბაზისო მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის ბიომრავალ-ფეროვნების შესახებ | • მოგვაწოდეს ინფორმაცია ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოების გეგმების და ზურმუხტის ქსელთან დაკავშირებული გეგმების შესახებ<br>• ისაუბრეს იმაზე, რომ გზის პროექტის სხვადასხვა ზემოქმედება სავარაუდოდ შედარებით მსუბუქი იქნება, მაგრამ აღნიშნეს, რომ თავიდან უნდა იქნეს აცილებული ზემოქმედება ქაცვის გავრცელების ტერიტორიებზე |
| 27 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა | ქალები ქვეშეთიდან | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 16 ოქტომბერი 2018, ქვეშეთი | n/a | მიწის შეძენისა და განსახლების გეგმასთან დაკავშირე-ბული დისკუსიები | n/a |
| 28 | ფოკუს-ჯგუფში | ქალები | ზემოქმედე- | 16 | n/a | მიწის შეძენისა | n/a |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | განხილვა | წკერედან | ზის ქვეშ მოყოლილი თემები | ოქტომბერი 2018, წკერე | | და განსახლების გეგმასთან დაკავშირე-ბული დისკუსიები | |
| 29 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა | ქალები ბენიანი-ბეგონიდან | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 16 ოქტომბერი 2018, ბენიანი ბეგონი | n/a | მიწის შეძენისა და განსახლების გეგმასთან დაკავშირე-ბული დისკუსიები | n/a |
| 30 | ფოკუს-ჯგუფში განხილვა | ქალები კობიდან | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები | 17 ოქტომბერი 2018, კობი | n/a | მიწის შეძენისა და განსახლების გეგმასთან დაკავშირე-ბული დისკუსიები | n/a |
| 31 | ექსპერტთან შეხვედრა | SABUKO-ს წარმომადგე-ნელი | ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზა-ციები | 16 ნოემბერი 2018, თბილისი | 2 | საბაზისო მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება პროექტის ტერიტორიის ბიომრავალ-ფეროვნების | • მოგვაწოდეს ინფორმაცია ამ ტერიტორიაზე SABUKO-ს საქმიანობის შესახებ<br>• ხაზი გაუსვეს, რომ პროექტის ტერიტორიაზე ბინადრობს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფასკუნჯი |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | შესახებ | |
| 32 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფელი კობის მცხოვრებნი, SABUKO-ს, მწვანე ალტერნატივის, მთის განვითარების ცენტრის წარმომადგენ-ლები | ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი თემები და დაინტერე-სებული მხარეები | 10 დეკემბერი 2018, კობი | დაახლ. 17 (11 მამაკაცი, 6 ქალი) | ეროვნული გზშ-ს გაცნობა | • მშენებლობის პოტენციური ზემოქმედება მახლობლად განლაგებულ წმინდა ადგილებზე<br>• თემების უფრო მეტი ჩართულობა შეფასების ეტაპზე პროექტის ტერიტორიაზე განლაგებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით<br>• დაისვა კითხვები ხადას ხეობის შემოვლითი გზის ალტერნატიულ ვარიანტებზე და ამ კითხვებს გაეცა პასუხები<br>• პროექტის მთლიანი ღირებულება |
| 33 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფლების მლეთის, ბედონის, არახვეთის, ქვეშეთის მცხოვრებნი, 5 არასამთავ-რობო ორგანიზაციის წარმომად-გენლები | პოტენციუ-რად ზემოქმედე-ბის ქვეშ მოყოლილი და დაინტერე-სებული მხარეები | 10 დეკემბერი 2018, მლეთა | დაახლ. 29 (18 მამაკაცი, 11 ქალი) | ეროვნული გზშ-ს გაცნობა | • დაისვა ტექნიკური კითხვები გეოსაინჟინრო საკითხებზე და მშენებლობისას ამოღებული მიწის განთავსებაზე<br>• პოზიტიური კომენტარი გზშ-ს ხარისხზე<br>• მიწის რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხები |
| 34 | საზოგადოე-ბასთან კონსულტაცია | სოფლების ბეგონის, არახვეთის, | პოტენციუ-რად ზემოქმედე- | 9 იანვარი 2019, მლეთა | 30 | საჯარო მოსმენა მიწის შეძენისა და განსახლების | • ზოგადად პოზიტიური და კონსტრუქციული<br>• მიწის რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხები. |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ქვეშეთის მცხოვრებნი, ადგილობრივი მთავრობა | ზის ქვეშ მოყოლილი დაინტერე-სებული მხარეები, ადგილობ-რივი მთავრობა | | | გეგმასთან დაკავშირებით | |
| 35 | ექსპერტებთან შეხვედრა | საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია | ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზა-ცია | 30 იანვარი 2019, თბილისი | 5 | პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის კომპონენტის შესახებ დისკუსიები | • მოგვაწოდეს ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობაზე<br>• დაგვეთანხმნენ, რომ ხადას ხეობას ეკოტურიზმის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს<br>• აღნიშნეს, რომ საჭიროა მეტი ანალიზი, ვიდრე ეს გზშ-შია, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მემკვიდრეობის ასპექტების შესაფასებლად, რათა დაიგეგმოს შესაფერისი და მდგრადი ტურისტული აქტივობები<br>• ივარაუდეს, რომ არ არის აუცილებელი სხვა ტურისტული ცენტრი |
| 36 | ექსპერტებთან შეხვედრა | CENN | ადგილობ-რივი არასამთავ-რობო ორგანიზა-ცია | 1 თებერვალი 2019, თბილისი | 12 | პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის კომპონენტის შესახებ დისკუსიები | • აღნიშნეს, რომ სასურველი ვარიანტია არსებული გზის რეაბილიტაცია ხადას ხეობაზე სხვადასხვა ზემოქმედების გათვალისწინებით<br>• შევთანხმდით კიდევ ერთ შეხვედრაზე, რათა უფრო სიღრმისეულად ვისაუბროთ იმის ტექნიკურ მიზეზებზე, თუ რატომ არ არის შესაძლებელი არსებული გზის რეაბილიტაცია |

| № | დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესებული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწილეთა რაოდენობა | დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 37 | ექსპერტებთან შეხვედრა | SABUKO | ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია | 1 თებერვალი 2019, თბილისი | 6 | პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის კომპონენტის შესახებ დისკუსიები | • აღნიშნეს, რომ ფრინველთა ბიომრავალფეროვნების მონაცემებთან დაკავშირებით გზშ-ში მოცემული შეფასება საჭიროებს დამატებით მუშაობას და შემოგვთავაზეს დამატებითი მონაცემების მოწოდება<br>• დაგვეთანხმნენ, რომ ეკოტურიზმის აქტივობებს კარგი პოტენციალი აქვს, თუმცა ეს აქტივობები თემზე დაფუძნებული უნდა იყოს და მოიცვას დახმარება შესაძლებლობათა განვითარებაში |
| 38 | ექსპერტებთან შეხვედრა | WWF | საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია | 1 თებერვალი 2019, თბილისი | 10 | პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის კომპონენტის შესახებ დისკუსიები | • საკმაოდ პოზიტიურად არიან განწყობილნი პროექტის და ამ ტერიტორიისთვის ეკოტურიზმის პოტენციური სარგებლების მიმართ<br>• შემოგვთავაზეს თანამშრომლობა პროექტისთვის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაზე მუშაობაში |
| 39 | შეხვედრა | დუშეთის მერი | ადგილობრივი მთავრობა | 4 თებერვალი 2019, დუშეთი | 8 | პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის კომპონენტის შესახებ დისკუსიები | • მერმა ხაზი გაუსვა, რომ სასურველია ხადას ხეობაში ტურიზმის განვითარება და მას კარგი პოტენციალი აქვს, თუმცა აქამდე აბრკოლებდა სეზონური ხასიათი და ინფრასტრუქტურის არარსებობა<br>• მიესალმა პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული გუდაურში მისასვლელი გზის ინიციატივას და ასევე პროექტის მიერ მხარდაჭერილი ტურისტ ვიზიტორთა ცენტრის პოტენციალს |
| 40 | შეხვედრა | ყაზბეგის მერი | ადგილობრივი მთავრობა | 4 თებერვალი 2019, | 8 | პროექტის პოტენციური ეკოტურიზმის | • მერმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი/მოსახლეობა ძალზე უჭერენ მხარს პროექტს, ვინაიდან არსებულ გზებზე მნიშვნელოვანი პრობლემებია, რომლებიც |

| № | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის აქტივობა | მონაწილეები | დაინტერესე-ბული მხარის კატეგორია | თარიღი და ადგილი | მონაწი-ლეთა რა-ოდენობა | დაინტერესე-ბულ მხარეთა ჩართვის მიზანი | განხილული თემები და წამოჭრილი საკითხები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სტეფან-წმინდა | | კომპონენტის შესახებ დისკუსიები | ხელს უშლის ტურიზმს<br>• დაინტერესებულნი არიან იმით, რომ პროექტმა მხარდაჭერა გაუწიოს პროექტის ტერიტორიის კობის მხარეს ტურიზმის ინიციატივას |

დანართი „გ“

# დაინტერესებულ მხარეთა ჩართვისთვის გამოსაყენებელი მეთოდების მიმოხილვა

წინამდებარე დანართში აღწერილია მეთოდები, რომელიც გამოყენებული იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მთლიან პროცესში, და მათი გამოყენების გზები პროექტის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. თითოეული აქტივობა იძლევა ჩართვის სპეციფიური მიზნის მიღწევის და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფის ჩართვის საშუალებას, რაც გულისხმობს სხვადასხვა ვალდებულებათა დონეებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან. ის, თუ როგორ უნდა განხროციელდეს ეს აქტივობების პროექტის სხვადასხვა ფაზაში, აღწერილია წინამდებარე ანგარიშის თავში 6.2.

სასურველია, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობები მოიცავდნენ შემდეგს:

1) **ღია საჯარო შეხვედრები ყველა დაინტერესებული მხარისთვის:** ეს აქტივობა იძლევა მრავალი დაინერესებული მხარის ჩართვის და მათთან კავშირის დამყარების საშუალებას. ინტერაქტიული მიდგომის შედეგად დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული პრობლემებისა და კითხვების განხილვა შეიძლება უშუალოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, ხოლო შესაძლო პასუხების მიღება - შეხვედრის განმავლობაში. თუმცა საჯარო შეხვედრებისას შეიძლება წარმოიქმნას ჯგუფები, რომლებიც უპირტესობას მოიპოვებენ სხვებთან შედარებით შეხვედრის მსვლელობისას, და გაჩნდეს რისკი იმისა, რომ განხილული იქნება მხოლოდ ზოგადი ან ერთხელ უკვე განხილული საკითხები. გარდა ამისა, არის რისკი, რომ მონაწილეობას მიიღებენ იგივე დაინტერესებული პირები ან დროთა განმავლობაში შემცირდება დამსწრეთა რაოდენობა. ასეთ შემთხვევებისთვის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა იფიქროს განსხვავებული აქტივობების განხორციელება.

   პროექტის გეოგრაფიული განლაგების გათვალისწინებით შეხვედრების ჩატარება საჭირო გახდება სხვადასხვა ადგილებში, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების დასწრებასა და მონაწილეობას. ასეთ ადგილებად განიხილება არახვეთი, ქვეშეთი, კობი, ბედონი/წკერე, სვიანა-როსტიანი/ გომუნი/ ბენანი და ზაქათკარი. თითოეული შეხვედრისთვის უნდა დადგინდეს ყველაზე მოსახერხებელი ადგილი შეხვედრის მიზნებიდან გამომდინარე და მონაწილე დაინტერესებული მხარეების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ორგანიზება უნდა გაუწიოს ყველა დაინტერესებული პირის ტრანსპორტით გადაყვანას შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მათ შორის, შეზღუდული მობილურობის მქონე ადამიანებაც. განცხადება შეხვედრის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს, სულ ცოტა, ორი კვირით ადრე. შეხვედრის საკითხები უნდა აიტვირთოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე (http://www.georoad.ge/?lang=geo). გარდა ამისა, ბროშურები და პლაკატები გავრცელდება თემის წარმომადგენლებს შორის და ხელმისაწვდომი იქნება დადგენილ ადგილებში, როგორიცაა თემის ცენტრი. საავტომობილო გზების დეპარტამენტს უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს თემის წარმომადგენლებთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია შეხვედრის შესახებ.

   შეხვედრას თავმჯდომარეობას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელი. შეხვედრას, ასევე, უნდა ესწრებოდნენ კონტრაქტორები. სადაც ეს შესაძლებელი იქნება, შეხვედრისას ზეპირად მიწოდებული ინფორმაცია, ასევე, წერილობითაც უნდა იქნეს გავრცელებული საინფორმაციო ფურცლის ან ბროშურის სახით. დაინტერესებულ მხარეთა დასწრება დარეგისტრირდება სპეციალურ ფორმაში შეხვედრის მსვლელობისას.

   შეხვედრის დასრულების შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა ჩაიწეროს ინფორმაცია სპეციალურ ფორმაში და შეაგროვოს შეხვედრასთან დაკავშირებული მასალები ერთ დოკუმენტად.

   საჯარო საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებიც უნდა ჩატარდეს როგორც სკოპინგის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ნაწილი, ჩატარდება საქართველოს კანონმდებლობის, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მოთხოვნების დაცვით, როგორც ეს აღწერილია მე-3 თავში.

2) **ყველა დაინტერესებული მხარისთვის ღია საჯარო შეხვედრები, რომლებიც მოითხოვება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად:** სამინისტრომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების

ანგარიშის განხილვის მიზნით საჯარო შეხვედრა ჩაატარა 25-30 დღის შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განაცხადის წარდგენის თარიღიდან. ორი შეხვედრა შედგა დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. ამ ფაზის განმავლობაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაუკავშირდა სამინისტროს, რათა დადგენილიყო სათანადო ადგილები შეხვედრისთვის და, თუ საჭირო გახდებოდა, მას მზად ჰქონდა სატრანსპორტო საშუალებები დაინტერესებული მხარეების გადასაყვანად შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით, შეზღუდული მობილურობის მქონე ადამიანების ჩათვლით. განცხადება შეხვედრის შესახებ სამინისტრომ გააკეთა 10 დღით ადრე. განცხადება გამოქვეყნდა ადგილობრივ და სახელმწიფო გაზეთებში, ბიულეტენები გავრცელდა სოფლებში და ინფორმაცია აიტვირთა ეკონომიკის სამინისტროს და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდებზე. შეხვედრებს თავმჯდომარეობა გაუწიეს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

3) **განხილვა ფოკუს-ჯგუფებში თემის წევრებთან ერთად,** რაც ნიშნავს გარკვეული ჯგუფის (ადგილობრივი ხელისუფლება, ბიზნესის ადგილობრივი წარმომადგენლები ან არასამთავრობო ორგანიზაციები) წარმომადგენლობას. ასეთ შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჩაატარებს უფრო მცირე შეხვედრებს სპეციფიურ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ პროექტისთვის, და რომლებმაც გამოამჟღავნეს ქმედითი და წარმომადგენლობითი უნარები წინა აქტივობებისას. აქტივობა იძლევა ფოკუსირების საშუალებას სპეციფიურ საკითხზე და მხარეებს შორის შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლოას. თუმცა ასეთი შეხვედრა დახურულია და, აქედან გამომდინარე, არ იძლევა ყველა დაინტერესებული მხარის სრული მონაწილეობის საშუალებას და გამოკლებული დაინტერესებული მხარეების აზრის გაგების შესაძლებლობას. განცხადებას შეხვედრის შესახებ გააკეთებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდება შერჩეულ დაინტერესებულ მხარეებს. საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტი ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის შეზღუდული მობილობის მქონე ადამიანების, გადასაყვანად შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

   შეხვედრას თამვჯდომარეობას გაუწევენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის და კონტრაქტორების წარმომადგენლები. შეხვედრისას ზეპირად მიწოდებული ინფორმაცია წერილობით უნდა გავრცელდეს საინფორმაციო ფურცლების ან ბროშურების სახით. დაინტერესებული მხარეების დასწრება აღირიცხება სპეციალურ ფორმაში შეხვედრის მსვლელობისას. შეხვედრის დასრულების შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჩაიწერს ინფორმაციას სპეციალურ ფორმაში და შეაგროვებს შეხვედრასთან დაკავშირებულ მასალებს ერთ დოკუმენტად.

4) **პირისპირ ინტერვიუები:** ჩართვის ამგვარი მეთოდი იძლევა უფრო სიღრმისეული დიალოგის წარმართვის საშუალებას დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუების გზით შესაძლებელია დაინტერესებული მხარეების საპასუხო მოსაზრებების გაგება და სპეციფიური პრობლემების განხილვა მიზნობრივი ინფორმაციის მიწოდებით. ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია მოწყვლადი დაინტერესებული მხარეების ჩასართავად. მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოწყვლადად დაინტერესებულ მხარეებს შეიძლება გაუჭირდეთ მონაწილეობის მიღება ჩართვის ისეთ კონკრეტულ აქტივობებში, როგორიცაა საჯარო შეხვედრები, ამიტომ, პირისპირ შეხვედრებმა შეიძლება გაამარტივოს დაკავშირება ასეთ ჯგუფებთან.

5) **ძირითადი საინფორმაციო შეხვედრები / ინტერვიუები მცირე ჯგუფებთან:** ჩართვის აღნიშნული მეთოდის მიზანია პროექტისთვის მნიშვნელოვანი ისეთი ინფორმაციის და საპასუხო მოსაზრებების შეგროვება დაინტერესებული მხარეებისგან (ინდივიდებისა თუ მცირე ჯგუფებისგან), რომლებსაც აქვთ სპეციფიური ინტერესების საგნის ცოდნა (მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობა, ტურიზმი და ა.შ.). ეს მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელეოვანია გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების ფაზაში, ვინაიდან იგი იძლევა საბაზისო ინფორმაციის შეკრების და, ამავე დროს, შერბილების შესაძლო ზომების განხილვის საშუალებას დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

6) **პერიოდული შეხვედრები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან:** მოსალოდნელია, რომ, განსაკუთრებით მშენებლობის განმვლობაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხშირად იქნება ველზე აქტივობების მიმდინარეობის შეფასების, შესაძლო საჩივრების შემოწმების და კონტრაქტორებთან კავშირის დამყარების მიზნით. ველზე გასვლები იძლევა დაინტერესებულ მხარეებთან არაოფიციალური შეხვედრის და გასაუბრების საშუალებას და მათგან ზოგადი საპასუხო მოსაზრებების მიღება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღია კომუნიკაციის დამყარებისთვის და, ასევე, დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების და პრობლემების მიმართ ინტერესის და პასუხისმგებლობების გამოსაჩენად. ამ შეხვედრებისას საავტომობილო გზების დეპარტამენტს შეუძლია ინფორმაციის მიწოდება სამუშაოთა მსვლელობის შესახებ, მოთხოვნებისა თუ პრობლემების შეგროვება და პასუხების მიწოდება მარტივ საკითხებზე. თუ დაინტერესებულ მხარეს აქვს ოფიციალური საჩივარი, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა სთხოვოს მას, გამოიყენოს საჩივრების დაკმაყოფილების ოფიციალური მექანიზმი. ასევე, თუ დაინტერესებულ მხარეს აქვს კომპლექსური მოთხოვნა, რომელიც საჭიროებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ან კონტრაქტორების მონაწილეობას, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა მიაწოდოს მას შუალედური პასუხი და კვლავ დაუკავშირდეს მას, როცა შესაძლებელი გახდება სრული პასუხის გაცემა.

   გარდა ამისა, თუ ამგვარი შეხვედრებისას აშკარა გახდება, რომ კონკრეტული საკითხები თუ პრობლემები შეიძლება პერიოდულად წამოიჭრას ან შემოვიდეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და მისმა ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს საჯარო შეხვედრის მოწყობის შესაძლებლობა ერთი და იმავე ინფორმაციის მიწოდების მიზნით ყველა დაინტერესებული მხარისათვის ერთ შეხვედრაზე ან მოამზადოს წერილობითი ინფორმაცია.

7) **ღია კარის დღე:** ეს აქტივობა მოიცავს საზოგადოების მიწვევას სამშენებლო აქტივობების უშუალოდ დასახმარებლად. წინამდებარე პროექტის შემთხვევაში იგი იძლევა გვირაბის მშენებლობის ნახვის საშუალებას, რაც ადამიანებისთვის იქნება საინტერესო და უკეთეს წარმოდგენას შეუქმნის მათ გამოყენებულ ტექნოლოგიებზე და მიღებულ შემარბილებელ ზომებზე.

   ღია კარის დღე, ჩვეულებრივ, იწყება გაცნობითი შეხვედრიდან, რასაც მოჰყვება შერჩეული ობიექტის დათალიერება საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლების თანხლებით და საბოლოო კითხვა-პასუხის ღონისძიება. აქტივობა ყურადღებით უნდა დაიგეგმოს მონაწილეთა სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და, აქედან გამომდინარე, მისი ორგანიზება უნდა მოხდეს სათანადო რესურსების ხელშეწყობით. სარგებელი, რომელიც უნდა მოიტანოს ამგვარმა აქტივობამ, მოიცავს ფაქტს, რომ საზოგადოებას თავისი თვალით შეუძლია ობიექტზე მიმდინარე საქმიანობის ნახვა, რაც შეამცირებს უსაფუძვლო შიშს მათი მხრიდან და გააუმჯობესებს პროექტთან და მის ბუნებასთან დაკავშირებულ მათ ცოდნას. გარდა ამისა, ღია კარის დღე აუმჯობესებს მხარდამჭერების რეპუტაციას, რომლებიც გამჭვირვალედ და ქმედითად ახორციელებენ თავის საქმიანობას. ჩართული უნდა იქნეს დაინტერესებული მხარეების ისეთ სპეციფიური ჯგუფები, როგორიცაა სკოლები, უნივერსიტეტის სტუდენტები ან პროფესიონალთა ასოციაციები (მაგალითად, ინჟინრების თუ გეოდეზისტების), რომლებიც განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი სამშენებლო ობიექტის მონახულებით.

   განცხადება ღია კარის შესახებ გავრცელდება, სულ ცოტა, ორი კვირით ადრე. იგი გაიგზავნება წერილობითი შეტყობინების სახით იმ დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც ადრე მიღებული აქვთ მონაწილეობა დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობაში, და დაფიქსირებულნი არიან რეესტრში. შეხვედრის დეტალები აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე, ხოლო ბროშურები ან პლაკატები გავრცელდება თემის წარმომადგენლებს შორის და ხელმისაწვდომი იქნება ისეთ სპეციალურ ადგილებში, როგორიცაა თემის ცენტრი. გარდა ამისა, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უშუალო კავშირი უნდა დაამყაროს თემის წარმომადგენლებთან მათთვის შეხვედრის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი ორგანიზებას გაუწევს ყველა დაინტერესებული

მხარის გადაყვანას შეხვედრის ადგილამდე, მათ შორის, შეზღუდული მობილობის მქონე ადამიანებისაც. აქტივობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა დაადასტურონ თავისი მონაწილეობა და ობიექტებზე დაიშვებიან მხოლოდ ისინი, ვისგანაც მიღებული იქნება სათანადო თანხმობა. ღონისძიებას გაუძღვება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური ექსპერტი, რომელსაც შეეძლება პროექტის გარკვეული ასპექტების უფრო დეტალურად განმარტება. დაინტერესებული მხარეების დასწრება აღირიცხება სპეციალურ ფორმაში შეხვედრის მსვლელობისას. შეხვედრის დასრულების შემდეგ საავტომობილო გზების დეპარტამენტი გააკეთებს ინფორმაციის ჩანაწერს სპეციალურ ჩანაწერების ფორმაში და შეაგროვებს შეხვედრასთან დაკავშირებულ მასალებს ერთ დოკუმენტად.

8) **ახალი ამბების ბიულეტენები და გამოქვეყნება ინტერნეტში:** აღნიშნული მიდგომა ნაკლებ დროს მოითხოვს საავტომობილო გზების დეპარტამენტისგან და იძლევა მრავალ დაინტერესებულ პირთან დაკავშირების საშუალებას. ახალი ამბების ბიულეტენი გაეგზავნება ყველა რეგისტრირებულ დაინტერესებულ მხარეს და აიტვირთება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, ნაბეჭდი ასლები გამოიფინება თვალსაჩინო საინფორმაციო დაფაზე ისეთ ადგილებში, როგორიცაა თემის ცენტრი, და გაეგზავნება სპეციფიურ დაინტერესებულ მხარეებს მათი შემდგომი გავრცელების მიზნით. ახალი ამბების ბიულეტენში მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია აქტივობების მსვლელობის, განრიგის შესაძლო ცვლილებების, მონიტორინგის შედეგების და სხვა ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც საინტერესოა დაინტერესებული მხარეებისთვის. ახალი ამბების ბიულეტენში ყოველთვის უნდა დაეთმოს ადგილი საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმს იმისათვის, რომ დაინტერესებული მხარეები ერკვეოდნენ პროცედურაში, რომელიც მოჰყვება საჩივრის შეტანას.

9) **წერილები და სატელეფონო ზარები:** საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უნდა მისწეროს ან დაურეკოს დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელს და შეატყობინოს აქტივობების მიმდინარეობა და განიხილოს წამოჭრილი კრიტიკული საკითხები. ეს ადვილია განსახორციელებლად და ქმნის მტკიცე კავშირს გარკვეულ დაინტერესებულ მხარეებთან და ისინი ერთად წინასწარ ადგენენ შესაძლო პრობლემებს.

10) **გარე ანგარიში:** შესრულებული აქტოვობების და საჩივრების დაკმაყოფილების მექანიზმის განხორციელების შედეგები, ასევე, დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი მთავარი საკითხები, შეგროვდება ანგარიში, რომელიც პერიოდულოად გავრცელდება დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორც ეს მითითებულია თავში 9.2.2.

დანართი „დ“

# სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის გეგმა

## სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გეგმა

| სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფი | მათი ინტერვენციის გეგმა | მიდგომა მონაწილეობისადმი და მისი სიღრმე | მონაწილეობის მეთოდები | | ვადა | ხარჯების აღრიცხვა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რატომაა ჩართული | | მეთოდი | ვინ არის პასუხისმგებელი | | |
| **სამოქალაქო საზოგადოება**<br><br>საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებები (არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით) გამოცდილებით გარემოს დაცვის, კონსერვაციისა და სოფლის განვითარების საკითხებში, | მათი გამოცდილების ჩვენება პროექტის მიზნობრივი თემების ჩართვაში, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების „ნულიდან" შესაძლებლობების განმტკიცება სპეციფიური აქტივობების შესრულების, პროექტის ეფექტიან განხორციელებაში წვლილის შეტანის მიზნით.<br><br>მათ აქვთ გამოცდილება თემის ინფორმირებულობის ამაღლების პროგრამის შედგენასა და მიწოდებაში, ხოლო სხვებს აქვთ გამოცდილება ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობაში თემზე | თანამშრომლობა (მაღალი) | **კონსულტაციები, ინტერვიუები, საჯარო შეხვედრები** პროექტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან (ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით) საპასუხო მოსაზრებების მიღების და პროექტის ხელშესაწყობად პროექტის მომზადებისას და მისი განხორციელების დროს, სულ ცოტა, ექვსი თვის განმავლობაში.<br><br>პროექტის ზემოქმედების და შედეგების და ინკლუზიური ზრდის საკითხის მნიშვნელობის **გაგების უზრუნველყოფა.**<br><br>ინფორმაციის რეგულარული მიწოდება პროექტის აქტივობების და შესაბამისი განვითარების შესახებ. | რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი<br><br>რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი<br><br>სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაცია ან განვითარების | პროექტის შექმნის და მისი განხორციელების მთელი ვადის განმავლობაში. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დაფუძნებული კოლექტიურად ინტეგრირებული რესურსების მართვის დაგეგმვაში. | | | პარტნიორი, ჩართული სპეციფიური ქვე-აქტივობა, მუშაობა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებებთან, დაგეგმვასა და მიწოდებაში<br><br>სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები, ჩართულები წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ან განვითარების პარტნიორის მიერ | | |
| **სამოქალაქო საზოგადოება**<br><br>ბენეფიციარი თემები და სოფლები (ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანების ჩათვლით), მოწყვლადი ჯგუფები, სიღარიბეში მცხოვრები საოჯახო მეურნეობები, მრევლში შემავალი ჯგუფები, ქალთა ჯგუფები, ახალგაზრდობის ჯგუფები | თემის საჭიროებების/ არჩევანის დადგენა, პროექტისთვის ხელშეწყობის შექმნა და ეკოტურიზმის განვითარების კომპონენტი ბენეფიციარებს შორის.<br><br>მრევლში შემავალ და ახალგაზრდულ ჯგუფებს და მათ ლიდერებს მჭიდრო კავშირი და დიდი გავლენა აქვთ | ინფორმაციის შექმნა/ გაზიარება<br><br>(მაღალი)<br><br>კონსულტაცია (საშუალო) | **ინფორმაცია**: სათემო შეხვედრების ჩატარება და საინფორმაციო ბროშურების გავრცელება პროექტის მოცულობის, სტრუქტურის ელემენტების, მონაწილეობის მექანიზმების და ანაზღაურების შესახებ გზის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ადამიანებისთვის.<br><br>**ინფორმაციის გაზიარება**: საჯარო შეხვედრების ჩატარება და ინფორმაციის მიწოდება პროექტის მიზნის, | რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი<br><br>წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ან განვითარების | პროექტის შექმნის და მისი განხორციელების მთელი ვადის განმავლობაში. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თემებზე და მათ შეუძლიათ დახმარება პროექტთან დაკავშირებული ინფორმირებულობის შექმნაში თემში და დახმარების გაწევა თემის არჩევანის და სხვა საკითხების დადგენაში. | | მოცულობის, სარგებლის და გზის მშენებლობის განრიგის შესახებ.<br><br>ადგილობრივი თემების საჭიროებების და წვლილის **გასაზღვრა** პროექტის სტრუქტურაში: პროექტის სარგებლის, მშენებლობის ზემოქმედების, გენდერული ინფორმირებულობის და ა.შ. განმარტება.<br><br>**მონაწილეობის მეთოდები** (ფოკუს-ჯგუფები, სათემო კონსულტაციები), გამოყენებული მრევლის, ქალების და ახალგაზრდობის ჯგუფების ჩასართავად პროექტის სტრუქტურაში და ადრეულ განხორციელებაში საპასუხო მოსაზრებების მისაღებად გზის პროექტის ჩამოაყლიბების და მიწოდების შესახებ.<br><br>მრევლის, ქალების და ახალგაზრდობის ჯგუფების და **თემის ჩართვის არსებული მექანიზმების გამოყენება**, მუშაობა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პროექტის მიწოდებასთან დაკავშირებით (შეხვედრების ქალთა/ | პარტნიორი და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჩართული/ შეამხანაგებული პროექტის სპეციფიური ინფორმირებულობის ამაღლები კომპონენტის ჩამოყალიბების/ მიწოდების მიზნით.<br><br>რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ახალგაზრდობის ჯგუფებთან, საეკლესიო მსახურებები).<br><br>**ადვოკატირება გავლენიანი ლიდერების მიერ** პროექტის გაუმჯობესებული შედეგებისთვის.<br><br>**ინფორმაციის გავრცელება პროექტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის** განმახორციელებელი სააგენტოს მიერ.<br><br>**პროექტის განხორციელება**: შესაძლებლობათა განვითარება გენდერულ ინფორმირებასთან,<br><br>შრომის შესაძლებლობებთან და ა.შ. დაკავშირებით.<br><br>**შეხვედრების ჩატარება** მათთან ეკოტურიზმის და ტრანს-სასაზღვრო ტურიზმში თანაშმრომლობის სარგებელთან დაკავშირებით ინკლუზიური ზრდისთვის, როგორც ძირითადი სექტორისთვის ეკონომიკის განვითარების მიზნით.<br><br>**შეფასება მხარეთა აზრის გათვალისწინებით:** | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ინფორმაციის მიღება პროექტის კომპონენტების, სარგებლის, ზემოქმედების შესახებ; საწყისი მონაცემების მიწოდება კონსულტაციებისას ქვე-პროექტის სტრუქტურის განსახილველად მომიჯნავე ტერიტორიებისთვის პროექტიდან მიღებული სარგებლის გაზრდის მიზნით.<br><br>**მშენებლობა**: ინფორმაციის მიწოდება სოფლებისთვის და პრიორიტეტის მინიჭება კვალიფიცირებული მუშახელისთვის პროექტის ობიექტების ტერიტორიაზე განლაგებული დაბალი შემოსავლების მქონე თემებიდან. | | | |
| **სამოქალაქო საზოგადოება**<br><br>ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (ადვოკატური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით) გამოცდილებით ეკონომიკური პოლიტიკის და მეწარმეობის განვითარებაში, სოციალური ანგარიშგების ინსტრუმენტებსა და მიდგომებში | თემის საჭიროებების/ არჩევანის დადგენა, პროექტისთვის ხელშეწყობის შექმნა და ეკოტურიზმის განვითარების კომპონენტი ბენეფიციარებს შორის.<br><br>გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართვის წინ წამოწევა. | თანამშრომლობა (საშუალო) | სათანადო გამოცდილების მქონე **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აყვანა კონტრაქტით** ადგილობრივი, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ ტერიტორიებზე არსებული თემებისთვის შესაძლო ბიზნეს-შესაძლებლობების კვლევის ჩატარების მიზნით.<br><br>**კონტრაქტით აყვანილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც ტრენინგებს ჩაუტარებენ** | აზიის განვითარების ბანკი, არასამთავრობო ორგანიზაციის კონსულტანტი<br><br>წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების ორნგანიზაცია ან განვითარების პარტნიორი | პროექტის შექმნის და მისი განხორციელების მთელი ვადის განმავლობაში. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სამოქალაქო საზოგადოებას, გამოცდილებით სოციალური ანგარიშგების მექანიზმებში, შეუძლია თემის სასარგებლო საპასუხო მოსაზრებების და მონიტორინგის უზრუნველყოფა პროექტის განორციელების განმავლობაში. | | **კონტრაქტორის თანამშრომლებს:** სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჩაატარებენ სამუშაო უსაფრთხოებასთან და პირველ დახმარებასთან დაკავშირებულ ტრენინგებს.<br><br>**აყვანა კონტრაქტით** ადგილობრივი თემებისთვის მცირე მეწარმეებისთვის ტრენინგების ჩატარების მიზნით ეკობიზნესისა და ცხვორების დონის საკითხებზე, სპეციალური ტრენინგების ჩათვლით ქალებისთვის ბიზნეს-შესაძლებლობების შესახებ მათი ცოდნის გაზრდის მიზნით.<br><br>**სოციალური ანგარიშგების ინსტრუმენტები და მიდგომები,** გამოყენებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ პროექტის აქტივობების მონიტორინგის და საპასუხო მოსაზრებების მიღების მიზნით, ყოველწლიურად.<br><br>**ინფორმაციის გავრცელება ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის** განმახორციელებელი სააგენტოს მიერ. | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება პროექტის აქტივობების და შესაბამისი განვითარების შესახებ. | | | |
| **სამოქალაქო საზოგადოება**<br><br>თემზე დაფუძნებული ორგანიზაციები | ადგილობრივი ცოდნის გამოყენება და ეფექტიანი ჩართვა პროექტის მიზნობრივ თემებთან.<br><br>ინფორმირებულობის გაზრდა ეკოტურიზმის განვითარების და ტრანს-სასაზღვრო ტურიზმში თანაშმროლობის შესახებ ძირითადი სექტორის ინკლუზიური ზრდისთვის ეკონომიკის განვითარების მიზნით. | ინფორმაციის შექმნა/ გაზიარება<br><br>(მაღალი)<br><br>თანამშრომლობა საერთაშორისო ან ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან | **კონსულტაციები, ინტერვიუები, საჯარო შეხვედრები** პროექტის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან (ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით) საპასუხო მოსაზრებების მიღების და პროექტის ხელშესაწყობად პროექტის მომზადებისას და მისი განხორციელების დროს, სულ ცოტა, ექვსი თვის განმავლობაში.<br><br>**სოციალური ანგარიშგების ინსტრუმენტები და მიდგომები,** გამოყენებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ პროექტის აქტივობების მონიტორინგის და საპასუხო მოსაზრებების მიღების მიზნით, ყოველწლიურად.<br><br>**პროექტის განხორციელება**: უშუალო კონსულტაციები და მონაწილეობა პროექტის | რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | პროექტის შექმნის და მისი განხორციელების მთელი ვადის განმავლობაში. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | განხორციელებაში თანამშრომლობით ადგილობრივ მთავრობასთან და წარმომადგენლობით მუნიციპალურ საკოორდინაციო კომიტეტში.<br><br>**შეხვედრების ჩატარება** მათთან ეკოტურიზმის და ტრანს-სასაზღვრო ტურიზმში თანაშმრომლობის სარგებელთან დაკავშირებით ინკლუზიური ზრდისთვის, როგორც ძირითადი სექტორისთვის ეკონომიკის განვითარების მიზნით.<br><br>**მონიტორინგი**: წარმომადგენლობა შეხვედრებში მუნიციპალიტეტის და რაიონის განსახლების/ პროექტის ზემოქმედების კომიტეტების დონეებზე. | | | |
| **სამოქალაქო საზოგადოება**<br><br>პროფესიონალთა ასოციაციები და აკადემია | | ინფორმაციის შექმნა/ გაზიარება<br><br>(მაღალი)<br><br>თანამშრომლობა (საშუალო) | **პროექტის განხორციელება**: უშუალო კონსულტაციები და მონაწილეობა პროექტის განხორციელებაში.<br><br>ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება ელ.ფოსტით პროექტის აქტივობების და | რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო | პროექტის შექმნის და მისი განხორციელების მთელი ვადის განმავლობაში. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესაბამისი განვითარების შესახებ. | | | |

დანართი „ე“

# დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების რეესტრის ნიმუში

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობების რეესტრის ნიმუში

| საიდენტიფიკა-ციო ნომერი | ტიპოლოგია | თარიღი | ადგილი | შეხვედრის თემა |
|---|---|---|---|---|
| 1 | საზოგადოე-ბასთან შეხვედრა | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |

დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის აქტივობის ფორმის ნიმუში

| | |
|---|---|
| საიდენტიფიკაციო ნომერი: | |
| ჩართვის აქტივობა: | |
| ადგილი და თარიღი: | |
| **აქტივობის ან ღონისძიების აღწერა** | |
| პროექტის ფაზა: | |
| ტიპოლოგია: | |
| განცხადებები და კომუნიკაცია: | |
| შეხვედრის ოქმი: | |
| **დამსწრეები, დაინტერესებული მხარეები** | |
| | |
| **დამსწრეები, საავტომობილო გზების დეპარტამენტის გუნდი** | |
| | |
| **აქტივობის დეტალები** | |
| დღის წესრიგი: | |
| გამოყენებული საპრეზენტაციო მასალები: | |

<table>
<tr><td>განსახილველი საკითხები:</td><td></td></tr>
<tr><td>შედეგები:</td><td></td></tr>
<tr><td>მისაღები ზომები:</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2">მიღებული გაკვეთილები</td></tr>
<tr><td colspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">სხვა ჩანაწერები</td></tr>
<tr><td colspan="2"></td></tr>
</table>

golder.com